ეროვნული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №2*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

*საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის #1 საჯარო სკოლა*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: დავით ჭეიშვილი

**წევრები:**

ეთერ მეტრეველი
მაია ფხაკაძე
მანანა ჯაყელი
ლალი ლალიაშვილი
ნანა ჩარკვიანი
ხათუნა რუსეიშვილი
ნატო კვეტენაძე
თამარ მურუსიძე
მარინა ანესაშვილი
ნინო ჭიჭინაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის #1 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 224081482 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ახალციხე, ქალაქი ვალე |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქ. #9 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქ. #9 |
| საფოსტო ინდექსი | 0804 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge) |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | vale1@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 591411840 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 2 23 0000656078 07.06.2023 წ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 04 და 05 ივლისი 2023 წლის |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | I საფეხური (I – VI კლასები) | სახელმწიფო ენა (ქართული ენა) | ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქ. #9 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | II საფეხური (VII – IX კლასები) | სახელმწიფო ენა (ქართული ენა) | ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქ. #9 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | III საფეხური (X – XII კლასები) | სახელმწიფო ენა (ქართული ენა) | ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქ. #9 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლაში.
ექსპერტთა ჯგუფი, ვიზიტის დაწყებამდე გაეცნო სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას. ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას.
დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუირება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ: სკოლის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან, სკოლის ექთანთან და საქმისმწარმოებელთან.
ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდული ფორმით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი იმყოფებოდა ადგილზე ვიზიტით, ხოლო დანარჩენ საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუ .
აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. სკოლამ უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დასასრულს გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი პროფესიულ სასწავლებელ „ოპიზართან“ და სკოლის მოსწავლეები სურვილის მიხედვით ეცნობიან და ეუფლებიან ისეთ პროფესიულ მიმართულებებს როგორიცაა: „ჭრა - კერვა“, „სტილისტი“, „ხეზე კვეთა“, „სურსათის უვნებლობა“, „საბაჟო საქმე“. საპილოტე რეჟიმში ისწავლება „სამხედრო საქმე“.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4** | ☐ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | |
|---|---|
| ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | **V მეტწილად შეესაბამება**<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 325 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>V | **აღწერა**<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | სკოლის მატერიალური – ტექნიკური რესურსი საკამარისია 325 მოსწავლისთვის. კერძოდ სკოლაში არსებული ინდივიდუალური მერხები და სკამები შეესაბამება მოთხოვნილ რაოდენობას, სკოლას აქვს 325 ერთეული მოსწავლის ინდივიდუალური მერხი და მისი შესაბამისი სკამი. სკოლაში არის 14 საკალასო ოთახი, მათ შორისაა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია. სკოლას აქვს არასტანდარტული ზომის 9 მ. X 18 მ. სპორტული დარბაზი არსებული რესურსი საკმარისაია იმ შემთხვევისთვის თუ სკოლაში იქნება თითო კლასი, პირველი კლასიდან მე - 12 კლასის ჩათვლით. პარალელური კლასების არსებობის შემთხვევაში სკოლას მოუწევს სასწავლო პროცესის წარმართვა ორ ცვლაში.<br>ინტერვიუს დროს სკოლის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში იქნება ორ ცვლაში. |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, I საფეხური (I – VI კლასები);
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, II საფეხური (VII –IX კლასები);
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, III საფეხური (X – XII კლასები);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტო 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტო N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტო N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტო N2* | სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხური) | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტო N2* | სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზ საფეხური) | *ხარვეზი* |
| | | |
| *სტანდარტო N2* | სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალ საფეხური) | *ხარვეზი* |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| ინდიკატორი 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობ გეგმაში მითითებულ ვადაში „შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახ დასკვნის“ წარმოდგენა. |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

### VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცეს | *რჩევა* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| | **ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა** | |
| *ინდიკატორი* 3.1.2.3 | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა დ პროცედურები უზრუნველყოფ პოზიციის შესაბამისი კადრებ მოზიდვასა და დასაქმებ ობიექტურობისა დ გამჭვირვალეობის პრინციპებ დაცვით; | სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდება ერთიან სისტემაში გააზრებული პროცესი საკადრო პოლიტიკის კუთხით , მაგალითად: დირექტორი მოადგილის, ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში მათი აყვანის წესი და ა.შ |
| *ინდიკატორი* 3.1.2.4 | პერსონალის კვალიფიკაც შეესაბამება დაკავებუ თანამდებობას; | სკოლამ, შეიმუშაოს სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი კონკრეტული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი დოკუმენტი. |
| *ინდიკატორი* 3.2.1.1 | სკოლას აქვს პერსონალის შეფასები და პროფესიული განვითარებ საჭიროებათა დადგენის მექანიზმებ | სკოლამ ერთი დოკუმენტის სახით შეიმუშავოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის დოკუმენტი. |
| *ინდიკატორი* 3.2.1.2 | პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; | სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პროფესიული განვითარების მიზნით თანამშრომელთა მხარდამჭერი სტრატეგიის ან პოლიტიკის მექანიზმი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების გეგმა. |
| *ინდიკატორი* 3.3.1.3 | სკოლაში არსებობს თანამშრომლები მოსწავლეების/მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემ | სასურველია სკოლაში შეიქმნას, ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ,ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმები/სისტემა. |
| ინდიკატორი 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორი საგანგებო სიტუაციებში რეაგირება | სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ლაბორატორიაში სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირი გაკეთდეს ცეცხლგამძლე მასალისგან. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| | და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | |
| ინდიკატორი 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორი საგანგებო სიტუაციებში რეაგირება და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მოეწყოს ჰაერის გამწოვი კამერა |
| *ინდიკატორი* 3.4.1.2. | სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; | სკოლამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. |
| *ინდიკატორი* 3.4.1.6. | სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; | სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტის სახი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, რომელიც განსაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვ პრინციპებს და ინფორმაციული უსაფრთხოებ დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირებ პროცედურებს. |
| ინდიკატორი 3.5.1.5. | სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები | სასურველია სკოლამ საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დაამუშაოს ბილიოთეკაში არსებულ წიგნები და შექმნას წიგნადი ფონდის კატალოგი, რაც გაუადვილებს სკოლის საზოგადოებას ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობებს. |
| ინდიკატორი 3.5.1.5. | სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები | სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ფართი გამოყენებული იქნეს მხოლოდ საბუნებისმეტყველო საგნების სადემონსტრაციო, ლაბორატორიული და სასწავლო მიზნებისთვის. |
| ინდიკატორი 3.5.1.5 | სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები | ფიზკულტური აღზრდისა და სპორტის დარბაზი დამხმარე ფართი (გასახდელი ოთხები) გამოყენებულ იქნეს მიზნობრივად, რომელიც სკოლას გამოყენებული აქვს სამეურნეო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| | | ნივთების/“საქონლის“ საწყობად. |
| *ინდიკატორი* 3.6.1.1. | ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვა | სასურველია სკოლამ ერთიანი დოკუმენტის სახი შეიმუშავოს სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციის და სარგებლობის წესი. |
| *ინდიკატორი* 3.6.1.2. | ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. | სკოლამ, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) დაამტკიცოს არსებული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი. |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *რჩევა* |
| | | |

| *სტანდარტი N2* | **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე)** | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.1.2.2.* | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | ბუნებისმეტყველებაში კარგი იქნება შერჩეული აქტივობები საშუალებას იძლეოდეს მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი აზრების დაფიქსირება და შესაბამისად კრიტიკული აზროვნების განვითარება. |
| *ინდიკატორი 2.1.2.2.* | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); | სასურველია ჭადრაკში გრძელვადიანი მიზნები არჩეულ იქნეს სტანდარტიდან გამომდინარე. |
| *ინდიკატორი 2.1.2.3.* | სასწავლო პროცესი ითვალისწინებ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; | საზოგადოებრივ მეცნიერებებში მკაფიოდ იყ წარმოჩენილი ადაპტირებული დავალებები ი - ში. |
| *ინდიკატორი 2.1.2.3.* | სასწავლო პროცესი ითვალისწინებ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; | ბუნებისმეტყველებაში ..შედეგიანი იქნე გამოიყენონ ტიპიურ მოსწავლე საჭიროებების დასადგენი ინსტრუმენტე (დაკვირვება, გასაუბრება, სვადასხ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| | | შინაარსობრივი დატვირთვის კითხვარები) შესაბამისად მოახდინონ დიფერენცირებულ სწავლების სტრატეგიების გამოყენე (აქტივობის განხორციელებისთვის დრო მენეჯმენტის მორგება, დავალების სირთულ მიხედვით შერჩევა— სასწავლო მენიუს და სხ ). ასევე შეიმუშაონ სსსმ პირთათვ საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებ მექანიზმები და მიუხედავად იმისა, სკოლ ეყოლება, თუ არა სსსმ მოსწავლე ისინი მზა იყვნენ ნებისმიერ მომენტში მომსახურეო გაუწიონ სსსმ მოსწავლეს. |
| *ინდიკატორი 2.1.2.4.* | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა მეთოდიკურ ორიენტირებს; | სასურველია მათემატიკაში I – IV კასებში შეფასების რუბრიკები შეიქმნას თემების მიხედვით კომპლექსურ დავალებებზე მორგებით. |
| *ინდიკატორი 2.1.2.4.* | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა მეთოდიკურ ორიენტირებს; | სასურველია ფიზიკურ აღზრდაში შეფასების რუბრიკები შეიქმნას თემების მიხედვით. |
| *ინდიკატორი 2.1.2.4.* | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასე მიემართება გრძელვადიან მიზნებსა მეთოდიკურ ორიენტირებს; | ბუნებისმეტყველებაში მუშაობის პროცე გაადვილებს შეფასების რუბრიკების შექმნის მაქსიმალურად გამოყენებულ იქნ კრიტერიუმთა მიმართება განმსაზღვრელ რუბრიკებისთვის სტანდარტის შედეგთა ხოლო განმავითარებელი რუბრიკებისთვ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. |
| *ინდიკატორი 2.1.2.5.* | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ წინარე გამოცდილების ანალიზი. | ბუნებისმეტყველებაში სასურველ ერთობლივად, კათედრაზე მუშაობით იქნ შერჩული ისეთი კომპლექსური დავალებებ რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლე საჭიროებებს და დაცული იქნება სკოლ მეთოდური ორიენტირები. |
| *ინდიკატორი 2.2.1.1.* | სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში | კარგი იქნება თუ ბუნებისმეტყველებაში კომპლექსური დავალებები მეტი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| | ჩართულობის შესაძლებლობას; | რაოდენობით და ხარისხის უზრუნველყოფი იყოს წარმოდგენილი კურიკულუმში და მათი განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას |
| *ინდიკატორი 2.2.1.2.* | ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდე წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; | ბუნებისმეტყველებაში სასურველ კომპლექსური დავალებებით მუშაობა მე ინტენსივობით და სტუქტურირებუ შესაბამისობით დაინერგოს 2023–20 სასწავლო წლისთვის, რაც არის ერთ–ერთ საფუძველი წინარე ცოდნაზე დაყრდნობი ახლის დაშენების. |
| *ინდიკატორი 2.2.1.3.* | სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლ სწავლაზე; | ბუნებისმეტყველებაში სასურველია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სწავლა–სწავლების პროცესში მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მიღწევებისთვის. როგორიცაა: დამოუკიდებელი სწავლება, სტრატეგიის მოდელირება, ტექსტის დანაწილებით გააზრება და მთავარი ასპექტების გამოკვეთა და სხვა. |
| *ინდიკატორი 2.2.1.5.* | სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება ურთიერთდაკავშირება. | ბუნებისმეტყველებაში სასურველ მოსწავლეთა პირობისეული ცოდნ გააქტიურება სხვადასხვა მარტი მოქმედებებით. დუნდ დაუსვან თავიანთ თა შეკითხვა: როგორ გამოიყენონ და ვ გამოადგება მათი შექმნილი შემოქმედებით პროდუქტი? |
| *ინდიკატორი 2.2.2.2* | საგნობრივი კონტექსტები ემსახურე მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალუ განვითარებას; | საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოკვეთ დაწყებით საფეხურზე საგნობრი კონტექსტები მეტი სიხშირით, რაც ხე შეუწყობს მოსწავლის სოციო-ემოციუ განვითარებას. |
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზ | ტექნოლოგიებში სასწავლო პროცეს |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| | ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენებ გათავისებას საგნობრივ საკითხებზ დაყრდნობით; | შემდგომში გაითვალისწინონ კონტექს მაგალითებიც. |
| *ინდიკატორი 2.2.2.4.* | შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, | სასურველია დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწ რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნ შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნე გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი. |
| ინდიკატორი 2.1.2.1 | სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე | მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზის ეფექტურა წარმოსადგენად კურიკულუმები შემუშავების უნდა გაითვალისწინოს სკოლის მიერ განსაზღვრული მისია, ხედვა და ფილოსოფია. შესაბამისად ამ თვალსაზრისით გაამდიდროს საგნობრივი კურიკულუმები კომპლექსური დავალებების იდეებით. ამით უზრუნველყოს თემის ფარგლებში საგნისათვის ყველა სამიზნ ცნების დაფარვა. |
| ინდიკატორი– 2.3.1.1. | სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. | გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სწავლა–სწავლების ეფექტურობისთვის შეიმუშაოს სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები. |
| ინდიკატორი–2.3.1.2. | სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. | გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სწავლა–სწავლების ეფექტურობისთვის შეიმუშაოს სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები. |
| ინდიკატორი–2.3.1.3. | სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. | გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სწავლა–სწავლების ეფექტურობისთვის შეიმუშაოს სამიზნე ცნებების მკვიდრ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| | | წარმოდგენებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები. |
| ინდიკატორები– 2.3.2. 1 | სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. | იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის შეფასება სრულფასოვნად ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს, სასურველია სკოლამ დანერგოს მოსწავლისა და მასწავლებლის პორთფოლიოს წარმოების პრაქტიკა. |
| ინდიკატორები-2.3.2.2. | სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. | იმისათვის, რომ სასწავლო პროცესის შეფასება სრულფასოვნად ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს, სასურველია სკოლამ დანერგოს მოსწავლისა და მასწავლებლის პორთფოლიოს წარმოების პრაქტიკა. |
| ინდიკატორი N 2.1.2.1 | სახელმწიფო ენის კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე | მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზის ეფექტურად წარმოსადგენად კურიკულუმებ შემუშავებისას უნდა გაითვალისწინოს სკოლის მიერ განსაზღვრული მისია, ხედვა და ფილოსოფია შესაბამისად ამ თვალსაზრისით გაამდიდროს საგნობრივი კურიკულუმები კომპლექსური დავალებების იდეებით. ამით უზრუნველყოს თემის ფარგლებში საგნისათვის ყველა სამიზნე ცნების დაფარვა. |
| *ინდიკატორი* 2.1.1.2. | კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; | **სასურველია,** არსებობდეს ინსტრუმენტი, რომლითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა გამოვლენა და მისი გათვლისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ პროცესს შეიძლება ხელი შეუწყოს კათედრებისა და სკოლის ადმინისტრაციის ერთობლივმა მუშაობამ ამ მიმართულებით, კერძოდ, კითხვარებით, ერთობლივი ანალიზით, მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* 2.1.1.3. | კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; | **სასურველია,** არსებობდეს მშობლებთან კავშირის უფრო სისტემატიური და ინტენსიური მექანიზმი, კათედრის წევრთა ან სხვადასხვა კათედრებს შორის ერთობლივი მუშაობის სივრცეები, თითოეული ჯგუფიდან უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, რათა სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესი და დამოკიდებულებები იქნას გათვალისწინებული. |
| *ინდიკატორი* 2.3.1.1. | მონიტორინგი და შეფასება ხორციელდე კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდოლოგიის შესაბამისად; | კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სასურველია გამოყენებულ იქნას შესაბამისი ინსტრუმენტი, მაგალითად, ე.წ. SWOT ანალიზის ინსტრუმენტებიდან ერთ ერთი. |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. კერძოდ:
სკოლამ შექმნა ვებგვერდი და სკოლის საზოგადოებაში და ზოგადად გააზიარა სკოლის, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები. შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რის გამოც პირველი სტანდარტის „სკოლის ფილოსოფის“ 1.1. კომპონენტი „სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები“ და 1.2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპონენტი „სკოლის დაგეგმვა და განვითარება“ შესაბამისი გახდა სტანდარტის და ავტორიზაციის პირველი სტანდარტიც დაკმაყოფილდა;
სკოლამ წარმოადგინა, დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე და შესაბამის დაწესებულებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შექმნა ვებ გვერდი. აღნიშნულის შემდეგ 3.4. კომპონენტი „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება“ მეტ წილ შესაბამისობაშია სტანდარტთან, ხოლო 3.6. კომპონენტი „საინფორმაციო რესურსები“ შესაბამისობაში მოვიდა ავტორიზაციის სტანდარტთან;
სკოლის მიერ შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან/მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი რითაც სტანდარტთან შესაბამისობაში მოვიდა 4.2. კომპონენტი „მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები“ და სრულა დაკმაყოფილდა მე - 4 სტანდარტი „მოსწავლეთა მხარდაჭერა“;
სკოლის მიერ შემუშავებულია/შექმნილია, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რითაც სტანდარტის შესაბამისი გახდა 2.2. კომპონენტი „კურიკულუმის განხორციელება“ და დაკმაყოფილდა ავტორიზაციის მე - 2 სტანდარტი „სასკოლო კურიკულუმი“.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.





**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სკოლის მისია და ხედვა წარმოდგენილია 2019 - 2025 სტრატეგიული განვითარების 6 წლიან გეგმაში (სკოლას არ აქვს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა). სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის მისია და ხედვაა: **,, მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარების მიზნით შექმნას შესაბამისი გარემო და საჭირო პირობები, რათა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებას, განავითაროს მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, უზრუნველყოს აუცილებელი ცოდნით, ხელი შეუწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ხელი შეუწყოს საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება - მოვალეობების გაცნობიერებაში. ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების დანერგვას; მუდმივად გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი და იზრუნოს თანამშრომლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე; უზრუნველყოს ზოგადი განათლების ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა; მოსწავლეებს ადრეული ასაკიდანვე განუვითაროს დამოუკიდებლად და კრიტიკულად აზროვნების უნარი უზრუნველყოს ოპტიმალური პირობები თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის გამოსავლენად და დაეხმაროს მათ განვითარებაში**“. ამ ჩანაწერიდან არ ჩანს სად იწყება და მთავრდება **მისია**, სად **კი ხედვა.** აქ მოცემული დებულებები შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, თუმცა კიდევ ერთხელ განვმარტავთ, ამ დებულებებიდან სად იწყება და მთავრდება სკოლის „მისია“, ან სად იწყება და მთავრდება სკოლის „ხედვა“ გაურკვეველია. უმჯობესია სკოლამ მკაფიოდ გამოყოს ერთმანეთისგან მისია და ხედვა.

სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმა რომელშიც მოცემული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სკოლის მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე მიზნები და ამოცანები, რომლებიც გაწერილია სკოლის ექვსწლიან (2019 -2025წ) (სკოლა მუშაობს ახალი, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებასა და დანერგვაზე) სტრატეგიული განვითარების გეგმაში გვაძლევს საშუალებას, რომ დავინახოთ სკოლის სამომავლო სახე, სადაც შექმნილია ისეთ სასკოლო სასწავლო გარემო, რომელშიც თითოეული მოსწავლე შეძლებს ისწავლოს უსაფრთხო, კეთილმოწყობილ, პოზიტიურ გარემოში, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო - კულტურულ სივრცის შექმნაზე და მოსწავლეს აქვს თავის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოავლენის საშუალება. სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს თითოეული მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ და ემოციურ განვითარებაზე, ვინაიდან მოსწავლეები უნდა ჩამოყალიბდნენ შემოქმედებით, კრეატიულ, კომუნიკაბელურ, ციფრულ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ტოლერანტ და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. ამასთანავე აღიჭურვონ 21-ე საუკუნის ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, შეძლონ ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2019-2025 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სკოლის დირექციის მიერ და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან (სკოლის სამეურვეო საბჭო შედგება: მოსწავლისაგან, მოსწავლეთა მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან და მასწავლებლებისაგან. ჩამოთვლილი ადამიანები არიან სკოლის საზოგადოების წარმომადგენლები და ამიტომ ვთვლით, რომ წარმოდგენილი სკოლის მისი და ღირებულებები შემუშავებულია სკოლის საზოგადოების მიერ), 2019 წლის 05.09.2019 წელს, ოქმი N 3 -ით. სკოლა მუშაობს ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესაქმნელად, რისთვისაც უკვე ჩატარებულია პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა. სკოლა გეგმავს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშავოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. თუმცა სკოლას არ აქვს შემუშავებული სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღსანიშნავია, რომ სკოლა მუშაობს ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნაზე, ჩვენი ვიზიტის პერიოდში, უკვე ჩატარებული ჰქონდათ პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების დამუშავების შემდეგ სკოლა გეგმავს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშავოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

სკოლის მიერ წარმოდგენილია, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ, სკოლის მიერ წარმოდგენილ 2019 - 2025 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. ამ შემთხვევაში იგულისხმება სკოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების სრული სპექტრი. სკოლა მუშაობს ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნაზე, რისთვისაც უკვე ჩატარებული ჰქონდათ პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა. სკოლა გეგმავს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიმუშავოს და გააზიაროს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო სივრცეში შემდეგი ფორმით/ფორმებით: გამოაკრან სკოლის შენობაში ყველასთვის ხილულ ადგილას, კლასის დამრიგებლების მეშვეობით მშობელთა კრებებზე გააცნონ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, გაავრცელონ სოციალური ქსელით და ა.შ. სკოლის ვებგვერდის შექმნის შემდეგ განთავსდება ვებ გვერდზე.

სკოლამ შექმნა ვებ გვერდი, დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის, N 131 ბრძანებ - ით განისაზღვრა ვებ გვერდზე ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირები, რომელთაც უზრუნველყვეს სკოლის მისის, ხედვისა და ღირებულებების





გამოქვეყნება სკოლის ვებ გვერდზე. დღევანდელი მონაცემებით სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ 2019 - 2025 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის შესასვლელში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე. სკოლას არ აქვს ვებ გვერდი, ამიტომ დოკუმენტები მხოლოდ მატერიალური სახით არის გაზიარებული სკოლის დერეფანში. სასურველია სკოლამ შექმნას ვებ გვერდი, სადაც საჯაროდ გამოაქვეყნებს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას ან სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაავრცელოს სოციალური ქსელის მეშვეობით.

სკოლამ შექმნა ვებ გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

სკოლის სახელწოდება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N 1 საჯარო სკოლა, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N2005 წლის 13 სექტემბრის # 448 13.09.2005 ბრძანებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ( 2019-2025 ს/წ);
- ბრძანება 28 02.04.2023 წ;
- ბრძანება 27 31.03.2023 წ;
- 2022-2023 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მისიის, ხედვასა და ღირებულებების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების სხდომის ოქმი N 2.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- v **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N 116 (1) ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების სტრატეგიები. აღწერილია თუ რას უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმა, რა ცოდნის, ღირებულებების და უნარების ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს, დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სკოლას არ ააქვს შიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. თუმცა სკოლის დირექტორის განმარტებით, მიმდინარეობს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). იქნება მისიის მიზნებთან თავსებადი და შესაბამისი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისწვდომი იქნება საჯაროდ, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, 2023 წლის 07 სექტემბრის N 5 სხდომის ოქმი, სადაც მეორე საკითხად წარმოდგენილია სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმის შემუშავება/ შეთანხმების საკითხი. ასევე სკოლის დირექტორის, 2023 წლის 08 სექტემბრის N 118(1) ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. აღნიშნული გეგმა მოიცავს 2023 - 2030 წლებს, შესაბამისად არის 7 წლიანი, ციკლური - ექვემდებარება გადახედვა - რევიზირებას, ცვლილებების შეტანას მოქმედების პერიოდში. მონიტორინგისთვის განიხილავენ ორ ალტერნატიულ გზას. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნის შესაბამისად გამოყოფილია ამოცანები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძვნება სკოლის 2019 – 2025 წლების ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმას. ვინაიდან სკოლას არ ააქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემუშავების პროცესშია, შესაბამისად წარმოდგენილი

ერთწლიანი გეგმა შესაძლებელია შესაბამისობაში იყოს ახლად შემუშავებულ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთანაც, რადგან მომავალი სასწავლო წლის ის საკითხები, რომლის გადაჭრასაც გეგმავდა სკოლა არსებული სამოქმედო გაგმის ფარგლებში ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს რომ, სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ერთის მხრივ დაეფუძვნება სტრატეგიული მიზნებს და ამოცანებს, ხოლო მეორეს მხრივ, გაითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს ასევე სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება და გათვალისწინებული იქნება მათი ინტერესები და წინადადებები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლაში არსებული ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, კერძოდ: 1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება; 2. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება; 3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება; 4. . ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია; 5. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა; 6. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით; 7. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; 8. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; 9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; 10. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება. გეგმაში მითითებულია აქტიობების განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**
სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად არა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებიც. სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მოხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. პროცესები იქნება ციკლური და დაეფუძნება მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებს, სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, მოხდება გეგმების მოდიფიცირება.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის N116(1) ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მოხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. პროცესები იქნება ციკლური და დაეფუძნება მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებს, სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, მოხდება გეგმების მოდიფიცირება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

სკოლას არ აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად არ ააქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასების მექანიზმები. გამომდინარე ნათქვამიდან ცხადია, რომ სკოლა ვერ განახორციელებს მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.
2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა გეგმავს შეიმუშავოს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, რომლის დროსაც გაითვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულება ამ ეტაპზე გადის პირველად ავტორიზაციას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **არ განიხილება.**

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ ჯერ ვერ ექნებათ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები, შესაბამისად ვერც გაასაჯაროებენ. გამომდინარე ნათქვამიდან სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას ვერ განვიხილავთ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **არ განიხილება.**

**4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ ჯერ ვერ ექნებათ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, შესაბამისად ვერც ამ არ არსებული შედეგების სკოლის შემდგომი განვითარებისათვის გამოყენებაზე ვიმსჯელებთ. გამომდინარე ნათქვამიდან სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას ვერ განვიხილავთ.
სკოლა გეგმავს მომავალში სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **არ განიხილება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობების აღმწერ დოკუმენტში ვხვდებით სკოლაში მოქმედ სტრუქტურული ერთეულების/პირების გაწერილ ფუნქციებს. ასევე სკოლა ხელშეკრულებით არეგულირებს დასაქმებული პირების ფუნქციებს, რომელიც რეგულირდება საშტატო განრიგით.
დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სპეციალური მასწავლებელი, ექთანი, დარაჯი, დამლაგებელი,მანდატური. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. თუმცა სკოლაში არაა სკოლის სტრუქტურა სქემატურად გამოსახული.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლაში დასაქმებულია პირები, რომლებიც ითავსებენ, როგორც ადმინისტრაციულ , ასევე საგაკვეთილო პროცესს , მათი ფუნქციები გამიჯნულია, არ ხდება ფუნქციათა აღრევა , ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- გაფორმებული საკადრო ხელშეკრულებები.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებით და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრებს, მასწავლებელთა ხარისხის განვითარების ჯგუფს, მოსწავლეთა თვითმართველობას, მრჩეველთა საბჭოს) . სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები, ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით. სკოლას არ აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს აღნიშნული დოკმენტი.

სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა, სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ოქტომბრის #158 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი".
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლას პერსონალის მართვის ერთიანი ხედვა დოკუმენტის სახით არ აქვს მომზადებული, თუმცა სკოლას პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვთ პერსონალის დანიშვნის , გათავისუფლების ბრძანებები , რომელიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ოქტომბრის N 158 ბრძანებით დამტკიცდა ,,საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე კონკურსების საფუძველზე, ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, www.pedagogi.ge, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდება ერთიან სისტემაში გააზრებული პროცესი საკადრო პოლიტიკის კუთხით , მაგალითად: დირექტორის მოადგილის, ან მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში მათი აყვანის წესი და ა.შ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად საქმეებთან. თუმცა სკოლამ მიიღო რჩევა , შეიმუშაოს სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი კონკრეტული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის არ არსებობიდან გამომდინარე დადასტურებულად ვერ ვისაუბრებთ, რამდენად ეფუძვნება პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა, მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, მაგრამ სკოლაში, შეიძლება ითქვას, რომ მაღალ დონეზე იკვეთება ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების, პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა, როგორც კათედრების მუშაობაში, ასევე მთლიან კოლექტივში სკოლაში ვიზიტის

დროს ინტერვიუებითაც დადასტურდა აღნიშნული გარემოება და ინტერვიუებზე უფრო ნათელი იყო სკოლის თანამშრომლებს შორის არსებული ურთიერთობების მაღალი კულტურა. სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის მართვის დოკმენტი.

სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა, სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ოქტომბრის #158 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი“.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმი.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

V **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

### 3.2. პერსონალის განვითარება

#### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ადმინისტრაციის ინფორმაციით სკოლის დირექცია და კათედრები ახორცილებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება. თუმცა ნაკლებად იკვეთება პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით, შესაბამისი ტრენინგებით. კათედრის ოქმებში იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობა, ასევე პედაგოგთა საჭიროებიდან გამომდინარე შერჩეული ტრენინგების ჩამონათვალი. თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პროფესიული განვითარების მიზნით თანამშრომელთა მხარდამჭერი სტრატეგიის ან პოლიტიკის მექანიზმი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირების გეგმა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლა გეგმავს, პერიოდულად ჩაატაროს მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგი და გააკეთოს შედეგების ანალიზი, რის საფუძველზეც მოხდება წარმატებული მასწავლებლების წახალისება. ასევე ხელს შეუწყობს პედაგოგთა ჩართულობას კონფერენციებსა და სხვა მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი , რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, რესურს ოთახი კეთილმოწყობილია და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ასევე საკლასო და სარეკრეაციო ზონები შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. სკოლის შინაგანაწესი მოიცავს შრომის პირობების დაცვის წესებს. სკოლას შემუშავებული აქვს ახალბედა პედაგოგებთან მუშაობის გეგმა. დაწესებულის ახალბედა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე ხდება ახალბედა მასწავლებლის მხარდაჭერა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

სკოლის შინაგანაწესის მე 10 მუხლში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი. მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ასევე სკოლა გეგმავს სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში დეტალურად გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები და ფორმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირის ფორმა;
- კათედრის ოქმები;
- ახალბედა პედაგოგებთან მუშაობის გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

**შეფასება:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე. კერძოდ: კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება, მასწავლებელთა მიერ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ვკითხულობთ: ,, სკოლა ახორციელებს ყველა ამ პროცესს".მასწავლებლის სახლის დახმარებით ხორციელდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება განახლება. ეს ყოველივე გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვთქვათ, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ერთგვარი ციკლის შესაბამისად. თუმცა , აუცილებელია რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი იყოს ჩართული ზემოაღნიშნულ პროცესებში და გაზიარებული იყოს პასუხისმგებლობა. პროცესული მიდგომა არის სკოლის გრძელვადიანი მიზანი, რომელიც მისიიდან და ხედვიდან გამომდინარეობს. სკოლის არსებული მისია გადახედვასა და რევიზიას საჭიროებს, რომელშიც ჩართული იქნება მთელი სასკოლო საზოგადოება: მშობლები, მოსწავლეები. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ესმოდეს სკოლაში მიმდინარე პროცესების არსი, რომ ეს არის სკოლის გრძელვადიანი მიზანი. სკოლა შექმნის სამოქმედო გეგმას, რომელშიც გაწერილი იქნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.'' სამოქმედო გეგმა 2023 წლის სექტემბერში დამტკიცდება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

სკოლა ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელიც აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობით პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლამ ამ ეტაპისთვის დაიწყო განახლებულ სასკოლო კურიკულუმზე და სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობა, ვინაიდან წინა წლების სამართლებრივი დოკუმენტები ნაწილობრივ ასახავდა საგანმანათლებლო საქმიანობას, მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. სკოლა გეგმავს, სკოლის მისიასა და ხედვაზე დაყრდნობით, უფრო ნათლად და მკაფიოდ გაწეროს პროცესები კურიკულუმსა და შინაგანაწესში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

გასაჩივრების პროცედურები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. საჩივრების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოებია სამეურვეო საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაასაჩივროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოშია შესაძლებელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესსა და მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და ასევე დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- რეფერირების წესი;
- შინაგანაწესი;
- მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

დოკუმენტურად, ერთ კონკრეტულ დოკუმენტში, გაწერილი მექანიზმები, თუ როგორ ახორციელებს სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას არ არის წარმოდგენილი. თუმცა სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება. სასკოლო საზოგადოებას, მშობელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პასუხისმგებელი პირი არის დამრიგებელი. დამრიგებელს ხელშეკრულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობებისა და არაფორმალური განათლების შესახებ ინფორმაცია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. თითეულ მათგანში ჩართულია სკოლის საზოგადოების წევრები ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელშეწყობაა. მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა პროექტებში, კლასგარეშე თუ სკოლისგარეშე აქტივობებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის შრომითი ხელშეკრულება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სკოლის დერეფანში და საკლასო ოთახებში განთავსებული თვალსაჩინოებები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**V შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, სკოლას ემსახურება 2 მანდატური. დამონტაჟებულია ვიდეო კამერები,რომელთა მეშვეობით კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი. ექიმის საკადრო რესურსის არ არსებობის გამო სკოლას ჰყავს ექთანი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, რომელსაც შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლის დერეფანში, ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმებები. მოწყობილია სიგნალიზაციის სისტემა. სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა იგი რეაბილიტირებულია და სკოლას წარმოდგენილი აქვს აქტი რეაბილიტაციის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს,რომ სკოლამ მიმდინარე წლის 20 ივნისს MES 8 23 0000728164 წერილით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შეფასების შესახებ დასკვნის მოსამზადებლად. სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლის მიერ გააგზავნილია წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, რომელსაც შესათანხმებლად თან ერთვის ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის №1 საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა:

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 სექტემბრის ბრძანება N157 ,, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის შრომის უსაფრთხოებაზე, ადამიანებისა და პროცესების პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA 9 23 02015650 (13.07.2023 წ), სკოლის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ;
- ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;
- შ.ს.ს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N 68/10 (06.10.2023) და წერილი N 139264 (05.10.2023), რომლის საგანია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება 2023 წლის 01 დეკემბრამდე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს და პირობებს". ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ, განიხილავს არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სამედიცინო კაბინეტში არ არის დაცული პაციენტის გასინჯვისას პრივატულობა, რამდენადაც სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით არ არის გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისგან. სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ერთი ექთანი, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს, მათ შორის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგის წარმოების ამსახველ დოკუმენტს, სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებული მიმართვებს აღრიცხავს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეაქვს სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ საფუძველზე დაყრდნობით არ არის გათვალისწინებული „ს" პუნქტი, განახორციელოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად; კარგი იქნება, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მომზადდეს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები რადგან სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს სპეც-პედაგოგი. ხელშეკრულებაში გაწერილია მათი ფუნქციები. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობები ჩანს სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილი კლასის საათის თემებში, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესს. სკოლის დერეფნებში, საკლასო ოთახებსა და რესურს ოთახში წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები,რაც იძლევა შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი განცდა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლების მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი, სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად, გამოყოფილია ცალკე ოთახი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ცივი/ცხელი წყალი, ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი, ხელსახოცები და მათთვის განკუთვნილი საკიდები .

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი. მას ხელშეკრულებით ევალება სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა, რასაც ახორციელებს კიდეც. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია დაცულია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, ცალკე, ერთიანი დოკუმენტის სახით.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის N151 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმები“.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებს და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ ჯერ ვერ განახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს უსაფრთხოების ფუნქციონირების შესაფასებლად, თუმცა სკოლა გეგმავს ისეთი ინსტრუმენტის შემუშავებას, (მაგ. სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას), რომელსაც ექნება სისტემატური ხასიათი და შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სწრაფი რეაგირება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **არ განიხილება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ექთანის ხელშეკრულება;
- დამლაგებლების ხელშეკრულება;
- 2023 წლის 20 ივნისის MES 8 23 0000728164 წერილი;
- ექთანის ყოველდღიური ჩანაწერები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

**V მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სკოლა განლაგებულია 4851 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე. შენობის საერთო ფართია- 1007 კვ. მ; სართულის რაოდენობა - 3 ; სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2017 წელს.

სკოლაში ირიცხება 272 მოსწავლე. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროექტორით და ეკრანით, ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი (არის Wi-Fi), სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნებისა და კომპიუტერული ლაბორატორია, ˜ რომლებიც შეიცავს სხვდასხვა დასახელების ხელსაწყოებსა და თვალსაჩინოებებს; სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა ყოველკვირეულად ახორციელებს გაზეთი ,,ახალი განათლების'' შესყიდვას, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლას აქვს 3 შემოსასვლელ-გასასვლელი კარი, რაც შშმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის რესურს ოთახი, რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. აღჭურვილია ინდივიდუალური გეგმებით განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად საჭირო რესურსებით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები, ლაბორატორიებში ხდება საგაკვეთილო პროცესის წარმართვა, ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექიმის კაბინეტი, ადაპტირებული რესურს ოთახი და სივრცე არაფორმალური განათლების მისაღებად, სააქტო დარბაზში იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სკოლის ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო მაგიდები, სკამები, ინტერნეტი. სკოლას აქვს დიდი დერეფნები, სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შესასვლელებით შეუძლია ისარგებლონ ეტლით მოსარგებლე პირებმა. სსსმ პირისთვის პირველ სართულზე მოწყობილია რესურს ოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო -კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. ფართე დერეფნები, სკოლის ეზო, სპორტული და სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ბუნებისმეტყველებისთვის  - საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით.
საბაზო და საშუალო საფეხურები: საბუნებისმეტყველო მიმართულებით ფუნქციონირებს  ლაბორატორია, რომელიც  განთავსებულია ცალკე საკლასო ოთახში. სკოლის საბუნებისმეტყველო მეციერებების  (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია)  სასწავლო  ლაბორატორია ემსახურება  მოსწავლეთა კვლევითი უნარ–ჩვევების განვითარებას. ის მოიცავს  როგორც ლაბორატორიული სამუშაოების, ასევე გაკვეთილების ჩასატარებელ სივრცეს.  ლაბორატორიაში შესაძლებელია  თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი  გაკვეთილებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება. რომლის დროს მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ მიკროსკოპით, ჩაატარონ სხვადასხვა ცდა/ექსპერიმენტები.
ლაბორატორია აღჭურვილია ონკანებით.  სამუშაო მაგიდებთან მიყვანილია  წყალი.  არის  რეაქტივების  განსათავსებელი  კარადები, სადემონსტრაციო მაგიდა, აღჭურვილი STEM საგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით.   ასევე სხვადასხვა პროცესების ამსახველი სქემები,  პლაკატები, ადამიანის ორგანოების მულაჟები და სხვადასხვა  მოდელები, მუდმივი პრეპარატები, სხვადასხვა მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები, ეტიკეტირებული ქიმიური რეაქტივები, გამადიდებელი ხელსაწყოები – (ლუპები,  მიკროსკოპები), ნივთიერებების მოდელები, ბუნებრივი მინერალების ნიმუშები,. იზოლირებული სახელურები, შტატივები და დამჭერები, ლაბორატორიული სასწორი და საწონები, დინამომეტრი, ფაიფურის/ მინის  ცეცხლგამძლე და სხვა  ქიმიური ჭურჭლები,  სპირტქურები და ექსპერიმენტისთვის/ცდებისთვის ჩასატარებელი სხვა საჭირო ხელსაწყოები/ინვენტარი. ლაბორატორიაში დაცულია სანიტარული ნორმები.  საბუნებისმეტყველო  ლაბორატორიას  ხელმძღვანელობს  დირექტორის  მიერ განსაზღვრული შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ლაბორატორიის მოვლა-პატრონობას და უსაფრთხოების წესების დაცვას. საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიაში განთავსებული სადემონსტრაციო მაგიდის ზედაპირი არ არის ცეცხლგამძლე მასალისგან დამზადებული, მაგრამ არც სწრაფად აალებადია. ლაბორატორიაში განთავსებული ხელსაწყოები, ინვენტარი და ქიმიური რეაქტივები გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ სადემონსტრაციო ცდებისას ან ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისას ალბათობა იმისა, რომ გაჩნდეს ხანძარი ძალიან მცირეა. არაა მოწყობილი გამწოვი კარადა, თუმცა ლაბორატორიას აქვს ფანჯრები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოცემული ფართის განიავება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების მასწავლებლბთან გასაუბრებით გამოიკვეთა: ლაბორატორიაზე პასუხისმგებელი პირი მასწავლებლებთან შეთანხმებით შეადგენს ლაბორატორიაში მუშაობის გრაფიკს; ხელს უწყობს  სკოლაში სასწავლო - კვლევითი პროცესების, ლაბორატორიული კვლევების ნორმალურად წარმართვას. საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას გაუწევს საგნის მასწავლებელს ლაბორატორიაში გაკვეთილის ჩატარების დროს, სკოლის ლაბორატორიით  სარგებლობის წესს შეიმუშავებს და ბრძანებით დაამტკიცებს დირექტორი.  ასევე სადემონსტრაციო მაგიდას გაუკეთდება ცეცხლგამძლე ზედაპირი, დამონტაჟდება გამწოვი კამერა, ლაბორატორიის ფართი გამოყენებული იქნება მხოლოდ საბუნებისმეტყველო საგნების  ლაბორატორიული სამუშაოებისთვის.
სპორტის გაკვეთილებისთვის - დახურული სპორტული დარბაზი  შესაბამისი ინვენტარით. დარბაზის შესასვლელთან, გასახდელი ოთახები დაკავებულია სხვა მიზნებისთვის. აღინიშნა, რომ სკოლამ, აღნიშნული ფართი მიზნობრივად უნდა გამოიყენოს.
საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის სკოლაში არის  კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებული არაა საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. არა აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომერი და არაა დამოწმებული ბიბლიოთეკის ბეჭდით. ბიბლიოთეკას არ აქვს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული კატალოგი. სასურველია სკოლამ საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დაამუშაოს ბილიოთეკაში არსებული წიგნები და შექმნას წიგნადი ფონდის კატალოგი, რაც გაუადვილებს სკოლის საზოგადოებას ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

## დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საკადასტრო აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება.

## შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- V **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 3.6. საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ 2019 წლის 18 იანვრის N 48 ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტომ გადასცა 16 ცალი პორტაბელური კომპიუტერი. საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლას ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი, მათგან მუშა მდგომარეობაშია 10. ლაბორატორიაში არის 6 ცალი ლეპტოპი; კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიზნობრივად იმუშაონ კომპიუტერულ ლაბორატორიაში. ლაბორატორიაში მოსწავლეების და მასწავლებლების დაშვება სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს რეგულირდება გაკვეთილების ცხრილის მიხედვით, ხოლო სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ კი სკოლის დირექციასთან სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით. ფაქტიურად სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, მაგრამ არა დამტკიცებული ინდივიდულური სამართლებლივი აქტით (ბრძანებით). გამომდიმარე ნათქვამიდან სასურველია სკოლამ შემუშავებული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი დაამტკიცოს ბრძანებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პორტაბელური კომპიუტერების მიღება - ჩაბარების აქტი;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

სკოლას არ აქვს შემუშავებული კანონმდებლობის შესაბამისად საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა - ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში, ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.

სკოლამ წარმოადგინა, სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N117(1) ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის დანართშიც მოცემულია „საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი“ (საქმისწარმოების წესი).
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). პედაგოგები ანგარიშებს და სხვა ინფორმაციას, დირექციას უგზავნიან ელექტრონული სისტემა Eflow-ს მეშვეობით. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება სკოლის დირექტორის 2022 წლის წლიური ანგარიშით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები;
- სამეურვეო საბჭოს 10.12.2022 წლის N9 ოქმი;
- კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

სკოლას არ აქვს ვებგვერდი. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილია მოსწავლეთა და მშობელთა სხვადასხვა ე. წ. დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლა გეგმავს ვებ გვერდის შექმნასა და ადმინისტრირებას.

სკოლამ შექმნა ვებ გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge), სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N 131 ბრძანებით განისაზღვრა ვებ გვერდზე ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირები და ვებ გვერდზე განთავსდა ინფორმაცია სკოლის შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხიმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

სკოლას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაწერილი ექნება საზოგადოებასთან ურთიერთობის მარეგულირებელი წესები, სადაც გამოჩნდება თუ როგორ მოხდება შემოსული ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. თუმცა სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ გვერდს, რომელიც შექმნილია სოციალურ სივრცეში (ე.წ. „ფეისბუკ გვერდი") და სკოლის ელექტრონულ ფოსტას. აქ შემოსულ ინფორმაციებს სკოლა ამუშავებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, რომლებსაც შემდგომში ისახება სკოლის საქმიანობაში. სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებს და გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლა გამოთქვამს მზაობას, ერთიანი დოკუმენტის სახით შეიმუშაოს „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი".

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლას არ აქვს ვებგვერდი, თუმცა გეგმავს ვებ გვერდის შექმნასა და ადმინისტრირებას.

სკოლამ შექმნა ვებ გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge), სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N 131 ბრძანებით განისაზღვრა ვებ გვერდზე ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირები და ვებ გვერდზე განთავსდა ინფორმაცია სკოლის შესახებ ქართულ ენაზე. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლას არ აქვს ვებგვერდი, თუმცა გეგმავს ვებ გვერდის შექმნასა და ადმინისტრირებას. სკოლა გამოთქვამს მზაობას ვებგვერდის შექმნის შემდგომ მასზე განათავსოს ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლამ შექმნა ვებ გვერდი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge), სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N 131 ბრძანებით განისაზღვრა ვებ გვერდზე ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირები და ვებ გვერდზე განთავსდა ინფორმაცია სკოლის შესახებ. განთავსებული ინფორმაცია მოიცავს: მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სკოლის სტრუქტურას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, ერთწლიან სამოქმედო გეგმას, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმებს და სხვა. სკოლა ეტაპობრივად ამატებს ინფორმაციას სკოლის შესახებ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სოციალური ქსელის მისამართი: Facebook

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 10 დეკემბრის N9 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორმა სამეურვეო საბჭოს წარუდგინა 2023 წლის სკოლის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს ასევე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. სამეურვეო საბჭომ დეტალურად განიხილა დირექტორის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი და დაამტკიცა. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სასურველია წარმოდგენილი იყოს არნიშნული ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს 10.12.2022 წლის N9 ოქმი;
- 17.11.2022 წლის ბრძანება N147 (სსიპ -ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ).

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**V შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები . შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს სკოლის მანდატურის მიერ შედგენილი დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადებს და პირობებს, მოსწავლის დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, მოსწავლის წახალისების ფორმებს და მის გამოყენების წესს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. შექმნილია დისციპლინური კომიტეტის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია.) აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალე და გაზიარებულა სასკოლო საზოგადოებასთან. თუმცა იმის გამო, რომ სკოლას არ აქვს ვებ გვერდი აღნიშნული დოკუმენტები ვერ იქნება გამოქვეყნებული მასზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ორივე მხარის ინტერესები, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვისა და გამოყენების პირობა . ორივე მხარის შეთანხმების შემდეგ ხდება დოკუმენტზე ხელის მოწერა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული შინაგანაწესი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია).

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალის N1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლის საფეხურის დაძლევის, მობილობის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სწავლების საკითხებს. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის, მობილობის და სხვ. პროცედურებისთვის ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით, კერძოდ: სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვას, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებსა და პირობებს სკოლა განსაზღვრავს

2017 წლის 11 იანვრის ბრძანება N04/ნ -ით, ხოლო ესგ მუხლი 35 ის მიხედვით კი, კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს. ასევე არეგულირებს მოსწავლეთა მობილობას. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად, სკოლას გაწერილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი" რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების/გადაფასების და შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, სკოლა მიმართავს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს. ზემოთ აღნიშნული პროცედურების შესახებ სკოლა ინფორმაციას აძლევს მშობელს მშობელთა კრებებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. შემუშავებულია ახალბედა მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის გეგმა და ტრანზიციის პროგრამა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია დამრიგებლის ფუნქციები, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით სერვისებს, კერძოდ სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებითი 2022 - 2023 სასწავლო წელს მე-9 კლასს გაეწია დამატებითი სავალდებულო მომსახურება-სამხედრო საქმე, კვირაში სამი საათი, რომელშიც დაიწერა შეფასება - „ჩათვლა".

მოსწავლეთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით,სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ კოლეჯ ,,ოპიზართან".

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში განხორციელებულ პროექტებსა და დამატებით სერვისებში თანაბრად ერთვებიან მოსწავლეები და ასრულებენ მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აქტივობებს.

დაგეგმილი, განხორციელებული აქტივობებისა და მიღებული შედეგების შესახებ ინფორმაციას სკოლა აქვეყნებს სოციალურ ქსელებში, სკოლის გვერდზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგებით;
- გამოცემული ბრძანებებით მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
- გაფორმებული მემორანდუმები.
- სკოლის სოციალური გვერდი.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

V **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლას შემუშავებული აქვს ახალბედა მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის გეგმა და ტრანზიციის პროგრამა. კლასის ხელმძღვანელებს ფუნქციებში გაწერილი აქვთ ზრუნვა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებზე და მხარდაჭერა სხვადასხვა საკითხებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. შემუშავებულია ახალბედა მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის გეგმა და ტრანზიციის პროგრამა, დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია ზრუნვა და მხარდაჭერა მოსწავლეთა წამოჭრილ საჭიროებებსა და ინტერესებზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით სკოლა კონსულტირებას უწევს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, გამომდინარე იქიდან რომ, სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს მზაობა სხვადასხვა ფორმით, კონსულტირება გაუწიოს მოსწავლეებს მათი მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამავდროულად სკოლის მასწავლებლები და დირექცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მიიჩნევენ რომ ეფექტური და ნაყოფიერი იქნება, სასწავლო წლის დასაწყისში სადიაგნოსტიკო ტესტების ჩატარება და მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენება. არასაკმარისი სასკოლო მზაობის შემთხვევაში, სკოლა დანერგავს რემედიაციულ პროგრამებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სკოლამ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ მოსწავლეებს უწევენ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით, ირკვევა, რომ სკოლა ფაქტიურად ეხმარება და მოასწავლეებს უწევს დახმარებას/მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი უფლებების რეალიზებაში. მაგალითად სკოლის საზოგადოებისთვის ცნობილია მოსწავლეთა მობილობის წესი, მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრაციის წესი, პროგრამები და პირობები, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების მიღების უფლებები, პირობები და წესი და ა. შ.

დაწესებულება აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით და შექმნას ამის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის N149 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმები“.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დამატებით სერვისებს, კერძოდ სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებითი 2022 - 2023 სასწავლო წელს მე-9 კლასს გაეწია დამატებითი სავალდებულო მომსახურება - სამხედრო საქმე, კვირაში სამი საათი, რომელშიც დაიწერა შეფასება - „ჩათვლა“. მოსწავლეთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ კოლეჯ ,,ოპიზართან“.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, შესაბამისი კითხვარებით მოხდა დამატებითი სავალდებულო მომსახურება - სამხედრო საქმის შერჩევა. კოლეჯ „ოპიზართან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სკოლაში მოსწავლეთა პროფესიული უნარების განვითარებისათვის ჩატარდა მოკლევადიანი (თმის სტილისტის და მკერავის) სასწავლო კურსები. სამომავლოდ გეგმავს უკუკავშირის მიღებას, რომლის მიხედვით სკოლა გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ახალბედა მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის გეგმა;
- ტრანზიციის პროგრამა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მემორანდუმები.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. კოლეჯ ოპიზართან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სკოლაში მოსწავლეთა პროფესიული უნარების განვითარებისათვის ჩატარდა მოკლევადიანი (თმის სტილისტის და მკერავის) სასწავლო კურსები.სკოლა აღიჭურვა შესაბამისი რესურსებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

კლასის დამრიგებლები და დირექცია მუდმივად აწარმოებს შეხვედრებს და აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები პროფესიების გასაცნობად, ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, რის გამოც მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესშივერ გაითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების პროცესებს. აღნიშნულის გამო წინამდებარე ინდიკატორს ვერ შევაფასებთ. თუმცა სკოლა გეგმავს გაწეული მომსახურების შედეგების შეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ჩაატაროს გამოკითხვები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **ვერ შევაფასებთ.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- მემორანდუმი კოლეჯთან;
- ფოტომასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**
სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის განრიგი, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი და შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. თუმცა სკოლას არ აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N 123(1) ბრძანებ -ის დანართი 1 - ში მოცემულია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაზე, შესრულების რეგულაციასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები და ვადები, სკოლის ვალდებულებები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**
სკოლას აქვს რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური გეგმა;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები.
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში, რომელსაც ახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უწევს მომსახურების შესრულებას კონტროლს/შემოწმებას და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლაში არ ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

სკოლაში არ ხორციელდება დამატებითი , არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ტრანსპორტით მომსახურების ხელშეკრულება;
- სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)** | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>**კურიკულუმის შემუშავება** | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)

### 2. სასკოლო კურიკულუმი

#### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

.სკოლამ წარმოადგინა ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სასწავლო მიზნები, განმსაზღვრელი შეფასება, განმავითარებელი შეფასება და სადიაგნოსტიკო შეფასება. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ასევე აღნიშნულ ინდიკატორს სკოლა ფარავს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოების შემუშავებისას, როდესაც განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებში, სადაც ხაზგასმითაა მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების შესაბამისად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო სასწავლო პროექტები. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებისათვის მკაფიო გახდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას მისი სრულყოფისა თუ გაუმჯობესებისათვის საჭიროა სკოლის მიერ განსაზღვრულ მისიაზე, ხედვასა და ფილოსოფიაზე, სამოქმედო გეგმასა თუ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე ორიენტირება, რაც სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას უზრუნველყოფს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებს სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. მათემატიკის კურიკულუმების შემუშავება ხდება, მასწავლებელთა ჩართულობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მშობელთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა პრიორიტეტების ,რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც დაწყებით საფეხურზე თითქმის ყოველდღიურად ხდება. სასწ.წლის დასრულებისას დაწყებითის კათედრა განიხილავს მიღწეულ შედეგს ,განიხილავს, რა არის გასაუმჯობესებელი და გამოსასწორებელი შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. მასწავლებლები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას, რაც კარგად აისახა ასევე პედაგოგებთან გასაუბრებისას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიებში თავდაპირველად წარმოდგენის მასალებში არ იყო ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ შედგენილი კურიკულუმის ჩარჩოები. დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის შემდეგ გავეცანი კურიკულუმის ჩარჩოებს. როგორც მასალების გაცნობიდან გამოიკვეთა, ტექნოლოგიების მასწავლებელი, დაწყებით საფეხურზე, აქტიუარდ ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს, ასევე მოსწავლეთა შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკურ აღზრდაში სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ჩრთულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში დამკვიდრებულია სადამრიგებლო საათის პრქტიკა. ხორციელდება სასკოლო პროექტები. სასკოლო სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ სკოლაში ხორციელდება დამატებით საგანმანათლებლო მომსახურება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის საფუძვეზე. მშობელთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სკოლაში მიმდინარეობს გახანგრძლივებული სწავლება; სკოლის მხრიდან შეთავაზებულია წრეები უცხო ენებში, სამოქალაქო განათლებაში, საბუნებისმეტყველო საგნებში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე 2022-23 წწ. სავალდებულო დამატებითი მომსახურების სახით ტარდებოდა სწავლება კვირაში 3 სთ. სამხედრო საქმეში. საგნობრივი კურიკულუმებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სკოლა ჩართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების გააზრებისა და განხორციელების პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ჩანს მის ელმენტებში: საგნობრივი კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ესგ მოთხოვნების შესაბამისად, არსებობს მშობელთა ბარათების ნიმუშები, არსებობს საერთო სივრცე სოციალურ ქსელებში, გამოყენებულია ელექტრონული ურნალი, მასწავლებლებთან ინტერიუების დროს გამოითქვა მზაობა, რომ ჩატარდეს სასკოლო წერები მოსწავლეთა დიაგნოსტირებისთვის, რათა გამოვლინდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები დიფერენცირებული მიდგომების განსახორციელებლად;

**რჩვა –** სასურველია, შემუშავდეს ერთიანი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, რომელიც სასკოლო საზოგადოების არა მხოლოდ ინფორმირებულობას უზრუნველყოფს, არამედ - უკუკავშირის შესაძლებლობასა და ინტერესების, შეხედულებების, პრიორიტეტების გათვალისწინებასა და დანერგვას კურუკულუმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის N153 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის „კურუკულიუმის განვითარების მეთოდოლოგია“.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სპორტის პედაგოგებთან გასაუბრებით აღინიშნა და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება ( სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა ) სკოლის კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომ პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე თანამშრომლობით შეიმუშავებენ კურიკულუმებს. სასწავლო თემების შერჩევისას ითვალისწინებენ სკოლის ინფრასტუქტურას, საგნობრივ, საფეხურებრივ სტანდარტს. დაწყებით საფეხურზე სკოლაში შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას მათ სამომავლოდაც გამოთქვეს მზაობა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. ( მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენებში ამ ეტაპზე, სკოლას არ აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი. მისი შემუშავება იგეგმება ახალი სასწავლო წლისთვის. როგორც გასაუბრებიდან ირკვევა, კათედრის მუშაობს ამ მიმართულებით და განიხილავს კურიკულუმის შემუშავების იმ მეთოდებს, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები; კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, პირველი და მეორე უცხო ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური დავალებების სახით, შეფასების ინსტრუმენტები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებით კლასების წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ სკოლა ითვალისწინებს დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს. საკუთარი და კოლეგათა გამოცდილების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს დაწყებითი კლასის ყველა საგანში. საგულისხმოა, რომ დღეის მდგომარეობით ჭადრაკში სასკოლო კურიკულუმი არ აქვთ, ვინაიდან პედაგოგი გარდაიცვალა და სხვა მასწავლებელმა გადაიბარა საგანი, დაჩქარებულ რეჟიმში კურიკულუმი ვერ ააგო. რჩევისამებრ და პედაგოგის დასტურით, სტანდარტსა და სასწავლო პროგრამაზე დაყრდნობით ჭადრაკის კურიკულუმს შექმნიან სექტემბრამდე.

სკოლამ წარმოადგინა ჭადრაკის კურუკულიუმი. ჭადრაკის სასკოლო სასწავლო გეგმაში სტანდარტზე დაყრდნობით დასაკორექტირებელია სამიზნე ცნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში .სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ ასახულია დაწყებითებში კათედრებზე კურიკულუმის შემუშავების პროცესისას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილია ინდივიდუალური ხედვა, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალების შერჩევისას გათვალისწინებულია ჩატარებული საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი სადიაგნოსტიკო და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის შესაბამისად. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა კათედრაზე განხორციელებულ პროექტში – „მკითხველთა თეატრი“, ასევე პროექტი „ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობის გაცნობა“ რაშიც პროექტის ფარგლებში დასახული იყო ილუსტრირებული წიგნის შექმნა მშობელთა ჩართულობით. აქვე იკითხება ისგ-ს გეგმაზე დაფუძნებული პროცესები, რომლითაც ნათელი ხდება, მისი შემუშავების პროცესში, რამდენადაა ჩართული მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი და სპეც. მასწავლებელი მოსწავლის ინტერესების გათვალისწინების მიზნით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმში აისახება სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესები. პედაგოგები აღნიშნავენ რომ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშავეს თანამშრომლობითი პრინციპით. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ წინა წლის შეგროვებული ინფორმაციას მიხედვით გამოკვეთენ პრობლემები და მისი გადაჭრისთვის დასახული გზები კურიკულუმში გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწევების ასამაღლებლად. საგნობრივ კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ დიფერებცირებულ მიდგომებს მათ შორის ისგ-ს სახით, თემატურ კონტექსტები კი ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებებსა და მათთვის აქტუალურ საკითხებს. კურიკულუმში ასახულია პროექტები; კომპლექსური ბუნების დავალებები. დიფერენცირების მაგალითებია კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც მოსწავლეებს პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის საშუალებას აძლევს. ამის დასტურია კომპლექსური დავალება „მოძრავი მანქანა“, „გასართობი პარკის შექმნა“, „გახდი კონსტრუქტორი“ „ვირტუალური ფერმა“, „სასაჩუქრე ყუთები“ პროექტი „სიკეთის ქალაქი“ ; ისგ გეგმები და სადამრიგებლო პროექტები. სადამრიგებლო პროგრამაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ინტერესები. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ გაზარდონ თანამშრომლობა მშობლებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიებში, დაწყებით საფეხურზე, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს და აქედან გამომდინარე შეიმუშავებს კომპლექსურ დავალებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკურ აღზრდაში სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს ითქვა, რომ სკოლაში მუშაობს საგნობრივი წრეები, იქმნება პროექტები, კომპლექსური დავალებები... ეწყობა საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტების პრეზენტაციები სკოლასა და ინტერნეტ სივრცეში, და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ჩართულია. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას გარკვეულწილად გამოვლინდეს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, თუმცა

**რჩევა** - სასურველია, არსებობდეს ინსტრუმენტი, რომლითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა გამოვლენა და მისი გათვლისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ პროცესს შეიძლება ხელი შეუწყოს კათედრებისა და სკოლის ადმინისტრაციის კიდევ უფრო ინტენსიურმა ერთობლივმა მუშაობამ ამ მიმართლებით, კერძოდ, კითხვარებით, ერთობლივი ანალიზით, მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის N153 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის „კურუკულიუმის განვითარების მეთოდოლოგია“.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სპორტში შერჩეული სასწავლო თემებით ჩანს და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, , რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებეს-შესაძლებლობეს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან., ითვალისწინებენ კათედრის სხვა წევრების მოსაზრებებსა და გამოცდილებას და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების შექმნისას. შექმილი აქვთ 1-6 კლასის კურიკულუმები, რომელიც გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტებიდაან და ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების მიმართულებით მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს, ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლა გეგმავს გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის შეჯამებას. მოცემულ ანალიზზე დაყრდნობით სკოლა განახორციელებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებას, რომელიც შემდგომ სასკოლო საზოგადოებაში განიხილება და გაზიარდება. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა უცხოური ენების მასწავლებლები გამოიყენებენ მშობლებთან ჩართულობისათვის ე.წ ,,მშობლის ბარათებს“ რაც თავის თავად გულისხმობს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული პირისგან წამოსულ უკუკავშირების მოსმენას და გაზიარებას. შესაძლოა დავასკვნათ, რომ *წარმოდგენილი კურიკულუმები* ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, რაც გულისხმობს იმას, რომ მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები. სკოლას წარმოდგენილი აქვს პირველი და მეორე უცხო ენების კურიკულუმის ჩარჩო. სკოლას შექმნილი აქვს ახალი სასწავლო წლისთვის უცხო ენის კურიკულუმი დაწყებითი საფეხურისთვის. მასში ასახული წინა წლის/წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმებში, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მოსწავლეებზე დაკვირვების და ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებელი ადგენს მათ ინტერესებს და შესაძლებლობებს, რომელსაც ითვალისწინებს სამუშაო პროცესში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება კრებები, სადაც საუბრობენ მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე. ჭადრაკის სწავლებისას, დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება კრებები, სადაც საუბრობენ მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე, სწორედ ამის გათვალისწინებით ყოველ ახალ საკითხს სკოლაში შესწავლის შემდეგ ამტკიცენებ შინ, ჭადრაკს ეთამაშებიან მშობლებსაც. რაც მომავალში კურიკულუმშიც აისახება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. მნიშვნელოვანია, რომ პროცესებში კანონის შესაბამისად მონაწილეობს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის შემუშავებულ კურიკულუმს დაამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სკოლასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. ასევე წინარე გამოცდილების მსგავსად, მომავალშიც გეგმავენ მშობელთა ბარათების გამოყენებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო წლის ბოლოს პედადოგთა ჩართულობით დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრაზე გასული წლის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავენ მომავალი წლის კურიკულუმებს. სკოლას აქვს უკვე შემუშავებული დაწყებითი საფეხურის მათემატიკის საგნის კურიკულუმები. ზაფხულის პერიოდში მოხდება კურიკულუმების დახვეწა, შევსება კომპლექსური დავალებებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, გასაუბრებისას გამოჩნდა პედაგოგების თანამშრომლობა, რასაც ასევე ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიების წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიების დოკუმენტში აღწერილია ეტაპები, რომლებსაც გადის სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შესადგენად. ასევე როგორც სკოლის მიერ

წარმოდგენილი მასწავლებელთა პორტფოლიოს დოკუმენტებიდან ირკვევა, მასწავლებლებს გაწერილი აქვთ წლის დასაწყისში კურიკულმის შედგენამათ წლიურ სამოქმედო გეგმაში, და კათედრის წინაშე წარდგენა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
ესთეტიკურ აღზრდაში თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს ითქვა, რომ სკოლაში კურიკულუმის შედგენაში ძირითადად მონაწილეობენ მასწავლებლები, ხოლო დირექცია ფასილიტაციას უწევს პროცესს, აწვდის რესურსებს, ხდება ნამუშევრების, შედეგების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.
**რჩევა** - სასურველია, არსებობდეს მშობლებთან კავშირის უფრო სისტემატიური და ინტენსიური მექანიზმი, კათედრის წევრთა ან სხვადასხვა კათედრებს შორის ერთობლივი მუშაობის სივრცეები, თითოეული ჯგუფიდან უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, რათა სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესი და დამოკიდებულებები იქნას გათვალისწინებული.
სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის N153 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის „კურუკულიუმის განვითარების მეთოდოლოგია“.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
სპორტის მასწავლებლებთან ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს და თვითშეფასების ფორმიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებსა და აქტივობებს. საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ სამომავლოდაც უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
სასკოლო კურიკულუმი უცხოური ენების კათედრაზე ძირითადად მუშავდება მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილია საკუთარ თემზე მორგებული პირველი და მეორე უცხო ენის საგნობრივი კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის ,რომელშიც დაგეგმილია მომდევნო სასწავლო წლისთვის გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელი შუალედური მიზნები. როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს, ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე შეიტანეს ცვლილებები. პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები, მოსწვალის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვას კურიკულუმში. დოკუმენტებში და ასევე, გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან).
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

დაწყებით კლასებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი. ერთად განსაზღვროავენ, მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. თანხმდებიან, რომელ თემებს ასწავლიან. რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ. რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. გასაუბრების შედეგად, გაიცა რჩევა, რომ პირველი კლასის პედაგოგმა, კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღოს მთელმა კათედრამ (ჭადრაკის პედაგოგებიც) და არა ერთმა მასწავლებელმა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმებითა და საგნობრივი კათედრის ოქმების საშუალებით. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ვებ-გვერდსა და სკოლის ფეისგვერდზე ზიარდება ყველა საჯარო ინფორმაცია. სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათრედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელთა მიერ მშობელთათვის მიწოდებული ბარათების გამოყენების პრაქტიკა, ინფორმაციის ვერბალურად გაზიარება, საგნის კურიკულუმის, პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ ღიაობა, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სკოლის მიერ ახლად შემუშავებული კურიკულუმი კვლავ იქნება გაზიარებული სასკოლო საზაოგადოების მიერ. ამ მიმართულებით სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ფუნქციურად გაწერილი მეთოდოლოგიის შემუშავებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკაში კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ: მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ პროექტებისა და სადამრიგებლო პროექტების შესახებ ინფორმაციას. მათემატიკის საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, საკითხთა ტრანსფერის არიალებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, ასევე იმ რესურსთა ჩამონათვალს, რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში კურიკულუმს იზიარებს და მხარს უჭერს მთელი სასკოლო საზოგადოება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ესთეტიკურ აღზრდაში კულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შედგენილია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმი ხელოვნებასა და მუსიკაში მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით. დამატებით იგეგმება მშობელთა ბარათების შედგენა, კათედრების შემდგომი მუშაობა შეფასების რუბრუკებსა თუ სადიაგნოსტიკო კვლევების ჩასატარებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
სპორტის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლის თვითშეფასების ფორმაც მოწმობს, რომ შექმნილ კურიკულუმების და დაგეგმილ საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას და უკუკავშირს იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა , მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე შასაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. თუმცა ამისთვის სკოლას ჯერ არა აქვს ვებგვერდი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
უცხო ენების კურიკულუმის მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ: საგნობრივი პროგრამები, დანართები კომპლექსური დავალებების სახით, სასწავლო რესურსები). შესაძლოა დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას კურიკულუმის შედგენაში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კურიკულუმების გაზიარება მოხდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის, ასევე მშობლებსაც წარედგინებათ სასწავლო წლის დასაწყისს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლის შეფასების ფორმა დაწყებით საფეხურზე;
- პადაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სადამრიგებლო პროექტები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ქართული ენისა და ლიტერატურის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია სავალდებულო ველები: თემები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა გეგმავს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ კათედრა გეგმავს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმის ჩარჩოებში დაამატოს კომპლექსური დავალებების იდეები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, რაც აისახება დაწყებითი საფეხურის მათემატიკის საგნის კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ დაწყებითი მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, თუმცა ყველა თემასთან კავშირში არაა. დასახვეწია კურიკულუმების ჩარჩოები, ძირითადად სწორია, მცირე უზუსტობებია შესასწორებელი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმები სექტემბრამდე დაიხვეწება, შეივსება კომპლექსური ბუნების დავალებებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შესაბამისად ყველა კლასში. შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. კათედრის წევრებთან ერთად ხდება კურიკულმების გადახედვის და შემდეგში განხორციელებული კომპლექსური დავალებების მონიტორინგი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები სასწავლო რესურსების შერჩევისას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები საგან მე და საზოგადოებაში და ჩვენ საქართველოში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად; საგან ჩვენი საქართველოს და მე და საზოგადოების მიმართულებით კურიკულუმში ძირითადად მოცემულია შესასწავლი საკითხები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რესურსები; რაც შეეხება კომპლექსური დავალების იდეებსა და კონტექსტ მაგალითებს, ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა კურიკულუმების დახვეწისათვის; ასევე, გამოჩნდა მათი სამომავლო ხედვა, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიანი მიზანთან მისასვლელად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში კურიკულუმი სრულყოფილად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, ინგლისური ენის III, IV, V, VI კლასების კურიკულუმებში, იმ სასწავლო თემების შესაბამისად, რომლებშიც ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალება, არ არის წარმოდგენილი ჩარჩოს სავალდებულო კომპონენტები: ქვეთემები, სასწავლო რესურსები. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფეროვანი გახადოს დაწყებითი კლასების კომპლექსური დავალებები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ბუნებისმეტყველების წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგიდან გამოიკვეთა , რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებები). მიზნების განსაზღვრა კი ესგ–ის მიხედვით შედეგების მისაღწევად. შუალედური მიზნების სახით შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულებისას მოსწავლე განივითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს. ასევე კურიკულუმში იტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, რაც დასტურდება კომპლექსური დავალების ბარათებსა და მატრიცებში განთავსებული კითხვებით– „შეკითხვები რეფლექსიისთვის" მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე. კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავების კუთხით მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მისი შექმნისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. გამოიკვეთა, რომ შექმნილი კურიკულუმის გადახედვისას გაითვალისწინებენ მიცემულ რეკომენდაციებს და შესაბამისად ახალ კურიკულუმში იქნება წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით დავალებები, რომლებიც ყველაზე მეტად იქნება მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებს და მათი წარმატების მიღწევის საფუძველი იქნება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის პირველ ეტაპზე, დაწყებითი კლასის სასკოლო სასწავლო გეგმები წარმოდგენილია, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი და განვითარების გზა. კათედრის წევრები შეთანხმდნენ თემატურ საკითხზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოაჩინეს, ყველა სამიზნე ცნებებათა დამუშავების გზა და რესურსი. ჭადრაკში სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილი არ გახლდათ. (ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო) დაწყებითი კლასის ჭადრაკის პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ შეიმუშავებენ კურიკულუმებს, რომელშიც ასახულ იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი და განვითარების გზას. სექტემბრამდე მოხდება კურიულუმის შემუშავება, 2023 – 2024 სასწავლო წელს დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კათედრის წევრები შეთანხმდებიან თემატურ საკიხზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოაჩანენ, ყველა სამიზნე ცნებების დამუშავების გზას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ესთეტიკური ციკლის საგნების სასკოლო სასწავლო გეგმებიდან, ასევე მასწავლებელთა ინტერვიუებიდან ნათელი გახდა, რომ სკოლაში მოქმედებს საგნობრივი და შემოქმედებით წრეები, მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო კონკურსებში, სხვადასხვა ოლიმპიადებში, საერთაშორისო კონკრსებში, ახორციელებენ პროექტებს. დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა კლასში ხორციელდბა კომპლექსური დავალებები, მომავალ სასწავლო წელს დაწყებითი საფეხურის თითოეულ კლასში იგეგმება კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელება საწინდარი იქნება იმისა, რომ შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. მათში გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ვინაიდან საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება ქართულ ენაში განსაზღვრულ სამიზნე ცნებაზე, ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. აღნიშნული კონცეპტების დანერგვის შესაძლებლობები იკითხება თემატური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მატრიცებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალებისა და მისი განხორციელების ეტაპების წარმოდგენით. სკოლაში ვიზიტისას, მასწავლებლები საუბრობენ გრძელვადიანი მიზნებისა და ფუნქციური უნარების გამომუშავების პრაქტიკაზე სწავლა–სწავლებისას. ფიქრობენ, რომ იგი მიიღწევა საგანში კუ რ იკუ ლ უ მის ჩარჩოებში კო მპლ ექსუ რ ი დ ავალ ებების იდ ეების გამდ იდ რ ებისა დ ა მისი შესაბამისი დ ანერ გ ვის გზ ით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკაში წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, , რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-6 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „სასაჩუქრე ყუთები", მე-2 კლასის პროექტი „სიკეთის ქალაქი" მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა. ასევეა სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას; კურიკულუმში წარმოდგენილი თემები ფარავს ყველა სამიზნე ცნებას, მიზნების შესაბამისად შერჩეულია საკითხები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიებში კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: პირობითი ნიშნები, პროგრამული კოდი (ალგორითმი), ინფორმაცია, ინტერნეტი, ციფრული მოქალაქეობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ხელოვნებასა და მუსიკაში მიემართება ესგ განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ამის დასტურია ის, რომ ზემოაღნიშნული საგნების კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლება კომპლექსური დავალებების საშუალებებით, სადაც თემებისა და საკითხების შესწავლის პროცესში გათვალისწინებულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების, როგორც შუალედური მიზნების გამოყენება, თითოეული საგნის, მათ შორის ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლებს საშუალებას აძლევთ სასწავლო პროცესში ჩრთული იყოს მაკრო ცნებები. დაწყებით საფეხურის, განსაკუთრებით მე5, მე-6 კლასების კურიკულუმის ჩრჩო დოკუმენტში მოხმობილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი რესურსები კი იმის საფუძველია ვიფიქროთ, რომ მათი დამუშავება დაკავშირებული იქნება გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებასთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს: სამიზნე ცნებების, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი; გლობალური ფუნქციური უნარებსა (6 უნარი ) და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე , წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალედური მიზნების როლს და ემსახურება საფეხურის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებას . კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათი განხორციელებისას აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას ( კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა. აღნიშნულზე დაყრდნობით და ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დაწყებით საფეხურზე, ჭადრაკში სასწავლო გეგმა, რომელიც შეიქმნება და მასში გაიწერება სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები იმგვარად შეირჩევა, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეებში გლობალურ - ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბება. პედაგოგის საუბრიდან იკვეთება რომ გაკვეთილების მიმდინარეობისას მუშაობდა მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, კომუნიკაციის და ურთიერთშეფასების უნარების ჩამოყალიბებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ბუნებისმეტყველებაში ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო დაგეგმილია ესგ–ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდეგენების დამუშავება ხდება კომპლექსური დავალებების საშუალებით, ან თემის დასამუშავებელი საკითხებით. კომპლექსური დავალებები მეტწილად შერჩეულია მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით. გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა და სხვა) განვითარებას–დასტურდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედები თი პროდუქტებით და ერთობლივად შექმნილი სხვადასხვა მაკეტით/მოდელით. შერჩეული აქტივობები სასურველია იძლეოდეს მოსწავლეთა საკუთარი აზრის დაფიქსირების და შესაბამისად კრიტიკული აზროვნების საშუალებას, რაც კიდევ უფრო მეტად ხელს შეუწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. ჩანს რომ გამოყენებულია მაკროცნება კვლევა და მოსწავლეებს არაერთი კვლევითი სამუშაო აქვთ შესრულებული, რომელიც დასტურდება გადაღებული ფოტომასალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე საგანში თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, რაც ეფუძნება სკოლის მიერ ისგ–ს გეგმების შემუშავებისა და განსაზღვრული გეგმის შესაბამისად მიმდინარე პროცესების შიდა მონიტორინგის დამადასტურებელი

დოკუმენტით. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს საშუალებას აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მოსწავლის მზაობიდან გამომდინარე. რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია. დამატებით ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. გაგვიზიარეს გამოცდილება კომპლექსური დავალების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტაციის კუთხით, მეხუთე კლასის მოდიფიცირებული დავალების მაგალითზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში .სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, რესურსების სახით, თუმცა ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან მიმართებაში. მასწავლებლემს მოსწავლეებისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული აქვთ მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებს მივეცი **რჩევა,** რომ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინონ ადაპტირებული დავალებები ისგ - ში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიებში, როგორც მასწავლებლებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა კათედრები და შესაბამისად პედაგოგები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, სსსმმოსწავლეებისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სპორტში თვითშეფასების ფორმაშიცაა აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში , ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. არ წარმოუდგენიათ საგანში ინდგეგმა, რადგან ფიზიკურ აღზრდაში არ ყავთ სსმ მოსწავლე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უცხო ენების წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობის.კათედრები აანალიზებს გასული სასწავლო წლის შედეგებს, იყენებს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს: თვითშეფასების კითხვარებს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენად, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსაკვეთად. სსსმ მოსწავლესთან მუშაობენ ინდივიდუალური გეგმის საშუალებით, სკოლა აქტიურად ეცნობა ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე ცვლილებებს და გამოწვევებს. საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან კურიკულუმების ადაპტირებისა და ახალი ისგ-ს შემუშავების მიზნით. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი კლასის პედაგოგების თქმით და წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. ასევე აღნიშნეს კათედის წევრებმა, რომ მუშაობის პროცესში მოახდენენ დავალებების ადაპტირებას. საჭიროებისამებრ, პირობას გაართულებენ და პირიქით. რჩევისამებრ, კათედრა გაითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთავენ, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური გეგმას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ბუნებისმეტყველებაში I-IV და V-VI კლასის კურიკულუმებში ჩანს, რომ - სწავლება მიმდინარეობს ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომ ფორმაში. ბუნებისმეტყველების თემატური მატრიცები გაწერილი განსახორციელებელი აქტივობებით , იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას, ასევე შექმნილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები დასტურია იმისა, რომ მოსწავლეს აქვს საშუალება თვითონვე შეარჩიოს მისთვის სასურველი და გასაკეთებლად ხელმისაწვდომი პროდუქტი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროებების შემთხვევაში აქვთ დავალებები დიფერენცირებული, რაც კონკრეტული მოსწავლის საჭიროების შესაბამისია და აღნიშნეს, რომ ისგ –ში სსსმ მოსწავლისთვის აქვთ გათვალისწინებული მოსწავლის საჭიროების შესაბამისად მოახდინონ აქტივობის, ან მიცემული დაავალების მოდიფიცირება. წარმოადგინეს ასეთი მოდიფიცირებული დავალება, სადაც სამიზნე ცნება შეცვლილი არ იყო, მაგრამ მისი გააზრებისთვის საკმად მარტივი და მისაღები გზით იყო დაგეგმილი აქტივობა და მოსწავლის მიერ მიზნისკენ სწრაფვა გაცილებით მარტივი სტრატეგიით იყო შერჩეული. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ ინკლუზიური მიდგომებისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით, რაც მთლიანად იქნება აგებული მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. სასურველია მეტი ინტენსივობით გამოიყენონ ტიპიურ მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენი ინსტრუმენტები ( ხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის კითხვარები) და შესაბამისად მოახდინონ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გამოყენება (აქტივობის განხორციელებისთვის დროის მენეჯმენტის მორგება, დავალების სირთულის მიხედვით შერჩევა— სასწავლო მენიუ და სხვა ). ასვე სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების მექანიზმების არსებობა, მიუხედავად იმისა სკოლას ეყოლება თუ არა სსსმ მოსწავლე, საშუალებას მისცემს სკოლა ნებისმიერ მომენტში მომსახურეობა გაუწიონ სსსმ მოსწავლეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე ქართულში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს მეორე მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. შესაბამისად, კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები თუ საგნის მიერ საფეხურზე შემოთავაზებული თემატური მატრიცებში გამოტანილი კომპლექსური დავალებების პირობები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: „აზრის ლოგიკური თანმიმდევრობის სქემა", „პრეზენტაციის შეფასებოს სქემა", „თვითსეფასების რუბრიკა", „ჯგუფური მუშაობის სქემა", „დებატების შეფასების სქემა", „გასასვლელი ბარათები", „დაკვირვების დაფა" და სხვა. კათედრასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გეგმავს მოსწვალის შეფასების მექანიზმად ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომის გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკაში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა სოლო ტაქსონომიას, ასევე მოსწავლეთა „დაკვერვების დღიურები", რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის დაწყებითი საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეხმარება მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას. ასევე აღინიშნეს, რომ შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს თემების მიხედვით, რომელიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. შესაქმნელია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

მათემატიკაში არის მიმდინარე შეფასების ცხრილი. კარგი იქნება დაურთონ მათემატიკის 1–4 კლასის კურიკულუმს კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივ მეცნიერებებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკური ორიენტირებისაკენ. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, კათედრაზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიების სწავლება ხდება დაწყებით საფეხურსე, აქედან გამომდინარე მასწავლებელი კათედრასთან შეთანხმებით იყენებს, როგორც განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში, ასევე იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებასაც, მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან და მეექვსე კლასში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ხელოვნებასა და მუსიკაში სკოლაში, დაწყებით საფეხურზე, გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. სკოლას მოეპოვება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ძველი თაობის ესგ-ის პრინციპებით შემუშავებული კრიტერიუმები, ასევე მესამე თაობის ესგ-ს პრინციპებით შედგენილი სხვადასხვა საგნებისთვის განკუთვნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მიმართული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებებისკენ. რამდენადაც კურიკულუმები მომდევნო წლისთვის შემუშავებულია გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების გათვალიწინებით, შეფასებებიც, შესაბამისად გრძელვადიანი მიზნებისკენ იქნება მიმართული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ, ეყრდნობა თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. **რჩევა,** სამომავლოდ სასურველია შეფასების რუბრიკები შექმნან თემების მიხედვით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხოურ ენებში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ზოგადი ან კერძო ნიმუშები, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ავღნიშნავ რომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კათედრას აქვს მზაობა შექმნან განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის #153 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შეფასების რუბრიკები) ირკვევა რომ სკოლა გამოიყენებს განმავითარებელი, შეფასების რუბიკებს, რომელიც კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული. რჩევისამებრ, სექტემბრამდე შექმნილ დოკუმენტაციაში წარმოაჩენენ ჭადრაკში შექმნილ შეფასების რუბრიკებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
ბუნებისმეტყველებაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ძირითადად მიმართულია მოსწავლის შეფასება–განვითარებისკენ, ასევე იძლევა საშუალებას, რომ შეფასებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც მასწავლებელმა, ისე თავად მოსწავლემ . ამის დასტურია თუნდაც მატრიცაში, ბოლო ეტაპზე მოცემული კითხვები რეფლექსიისთვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და მოსწავლის თვითშეფასებას. ასევე აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მე–5 და მე–6 კლასებისთვის ესგ–სთან შესაბამისობით (საგნის სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები) შეფასების კრიტერიუმებით და სამიზნე ცნებების მიხედვით ქულათა განაწილების სრული დაცვით. სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას კრიტერიუმთა მიმართება განმსაზღვრელი რუბრიკებისთვის სტანდარტის შედეგთან, ხოლო განმავითარებელი რუბრიკებისთვის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილებასა და მის ანალიზზე დაფუძნებით, არსებული გამოწვევებისა თუ მიგნებების გათვალისწინებით, იგი თვლის, რომ კურიკულუმების დანერგვისას შექმნას 2023 – 2024 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები. ეს ფაქტი ნათლად იკითხება დაწყებითი საფეხურის ქართულის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში და კურიკულუმების ჩარჩოებში იმდენად, რამდენადაც სკოლის მიერ დაგეგმილია კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება. სკოლასთან ვიზიტისას რევიზირების პრაქტიკულ გამოცდილებას გაესვა ხაზი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლეს კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საზოგადოებრივ მეცნიერებებში დაგეგმვის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს. წარმოდგენილია გასულ სასწავლო წელს დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც შექმნილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. შესაბამისად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიებში კურიკულუმების შედგენის დროს სკოლამ გაითვალისწინაქოუჩინგის პროცესში შეძენილი ცოდნა. კათედრის სხდომებზე მსჯელობენ მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტებზე, განიხილავენ კარგ და შემაფერხებელ ფაქტორებს. ამის შემდეგ გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლაში უკვე განხორციელებულია კომპლექსური დავალებები, რომელთა გამოყენება შესაბამისად გულისხმობს კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენებას, მათ შორის წინარე გამოცდილების გათვალისწინებას. დაგეგმილი კურიკულუმები, რომლებშიც ჩართულია ახალი კომპლექსური დავალებები, დაწყებითი საფეხურის თითოეულ კლასში როგორც ხელოვნებაში, ასევე მუსიკაში, თავისთავად გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესის დაფუძნებას წინარე გამოცდილებაზე.

**რჩევა** - იმისთვის, რომ კათედრაზე მომავალი სამუშაოების დასაგეგმად სისტემატურად, საგანგებოდ მოხდეს წინარე გამოცდილების ანალიზი და მისი შედეგების გათვალისწინება, სასურველია, შეიქმნას შესაბამისი ინსტრუმენტი.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის N153 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის „კურუკულიუმის განვითარების მეთოდოლოგია“.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სპორტში კათედრული ოქმებით და ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ კოლეგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, . უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზიც , პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდაც ასე დაგეგმავენ სასწავლო პროცესებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. სასურველია, უფრო ნათლად ჩანდეს რომელ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით ხდება კურიკულუმის განვითარება და რამ განაპირობა ცვლილებები წლევანდელ კურიკულუმში. მით უმეტეს მასწავლებლებში არსებობს იმის მზაობა , რომ რეფლექცია და ცვლილებები გახდეს უფრო მიზანმიმართული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, კერძოდ, სამუშაო შეხვედრებზე, იმსჯელეს, განიხილეს, გაიზიარეს გამოცდილება სხვადასხვა კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების შესახებ. განსაზღვრეს, რომელი კომპლექსური დავალება, რომელი პროექტი გამოიწვევს მოსწავლეთა მეტ დაინტერესებას, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ? ერთად გააანალიზეს და დაგეგმეს მომდევნო წლის კურიკულუმი. რჩევისამებრ სხვა საგნების გამოცდილებას გააანალიზებენ და შექმნიან ჭადრაკის კურიკულუმსაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ბუნებისმეტყველების 2023–2024 ს.წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გამოიყენებულია წინა წლების გამოცდილება. სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებების, სასწავლო პროექტებისა თუ კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისას წარმოშობილი პრობლემების და მიგნებების გაანალიზებით მოახდენენ ახლი კურიკულუმის შექმნას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მეტი აქცენტი გაკეთდება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობაზე და აქტივობების ცვლილებებზე,რაც სრულად იქნება მორგებული მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყურადღებას ამახვილებენ, რომ აქტივობების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნას მეთოდური ორიენტირებები (ხარისხიანი განათლება, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, მეტაკოგნიცია, საგანთა შორის ინტეგრირება, ტექნოლოგიების გამოყენება), ასევე საგანმანათლებლო პრინციპები (მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურება, წინაწე ცოდნაზე ახლი ცოდნის კონსტრუირება, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, სწავლების სტრატეგიები და ცოდნის სამი კატეგორიის შესაბამისი აქტივობები) და ფუნქციურ–კომპონენტური უნარების (კრიტიკული აზროვნება,შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, მოსწავლეთა ხასიათი/ნებელობა) განვითარება. გამოიკვეთა, რომ კურიკულუმზე მუშაობისას მასწავლებლები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს წინარე გამოცდილებას და ურთიერღშეთანხმებულად გეგმავენ ახალ კურიკულუმს განვითარებისა და დინამიურობის პრინციპით. მზად არიან ჩაატარონ რეგულარული მონიტორინგი და გააკეთონ შედეგების ანალიზი. ამ ანალიზის შედეგად დაგეგმონ სასწავლო პროცესი და მოახდინონ შესაბამისი ცვლილებები კურიკულუმში. სასურველია ერთობლივად, კათედრაზე მუშაობით იქნას შერჩული ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მორგებული იქნება მოსწალეთა საჭიროებებს და დაცული იქნება სკოლის მეთოდური ორიენტირები.

**რჩევა ბუნებისმეტყველებაში:**

1.. სასურველია გარკვეული ინსტრუმენტებით გაზომილ იქნას მოსწავლეთა სურვილები და მათი რელევანტურობის შემთხვევაში ისინი გათვალისწინებული იქნას თემის შესასწავლი საკითხების შერჩევის დროს.

2.. კარგი იქნება შერჩეული აქტივობები საშუალებას იძლეოდეს მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი აზრების დაფიქსირება და შესაბამისად კრიტიკული აზროვნების განვითარება.

3..შედეგიანი იქნება გამოიყენონ ტიპიურ მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენი ინსტრუმენტები (დაკვირვება, გასაუბრება, ხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის კითხვარები) და შესაბამისად მოახდინონ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გამოყენება (აქტივობის განხორციელებისთვის დროის მენეჯმენტის მორგება, დავალების სირთულის მიხედვით შერჩევა— სასწავლო მენიუს და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

). ასვე შეიმუშაონ სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების მექანიზმები და მიუხედავად იმისა, სკოლას ეყოლება, თუ არა სსსმ მოსწავლე ისინი მზად იყვნენ ნებისმიერ მომენტში მომსახურეობა გაუწიონ სსსმ მოსწავლეს.
4.. მუშაობის პროცესს გაადვილებს შეფასების რუბრიკების შექმნისას მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას კრიტერიუმთა მიმართება განმსაზღვრელი რუბრიკებისთვის სტანდარტის შედეგთან, ხოლო განმავითარებელი რუბრიკებისთვის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.
5.. სასურველია ერთობლივად, კათედრაზე მუშაობით იქნას შერჩული ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მორგებული იქნება მოსწალეთა საჭიროებებს და დაცული იქნება სკოლის მეთოდური ორიენტირები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლის შეფასების ფორმა დაწყებით საფეხურზე;
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი (I - VI კლასის) ბუნებისმეტყველების კურიკულუმები.
- *ტრანზიციის პროგრამა;*
- *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;*
- *ბრძანება 111, ისგ სამუშაო ჯგუფის შექმნა;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #9*

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**V შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**
**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**
მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული მასალები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტები: „ მკითხველთა თეატრი“, „ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობის გაცნობა“ დასტურია ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები – ინდივიდუალური გეგმები, სამეურვეო საჭოს ოქმით დადასტურებული მასწავლებელთა თანამშრომლობა, შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, სემესტრული ანგარიშები საფუძველია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხის წარმოჩენისათვის.
სასწავლო პროცესი ისეა ორგანიზებულია, რომ გამოწვევები დაკავშირებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, ამაღლებს მოტივაციას იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც დასტურდება კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით. კერძოდ კომპლექსური დავალება: „მოძრავი მანქანა“, „გასართობი პარკის შექმნა“, „გახდი კონსტრუქტორი“ „ვირტუალური ფერმა“, „სასაჩუქრე ყუთები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ტექნოლოგიების სწავლების დროს არის შესაძლებლობა მოსწავლეებმა ყველა ახალი თემის შესწავლის შემდეგ შექმნას ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის მიერ შექმნილი პროდუქტები. აქ ყველა თემას მოსწავლე ითვისებს კეთებით. წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუში საშუალებას იძლევა შევაფასოთ რამდენად შემოქმედებითია სასწავლო პროცესი, მოსწავლეები კეთებით სწავლების ხელშემწყობ გარემოში მუშაობენ.

სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები, რესურსები. გასაუბრებისას კათედრის წევრები აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით  პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს.

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რამოდენიმე წლია ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში" და აქედან გამომდინარე, უცხოური ენის კათედრა მუშაობის პროცესს სისტემატიურად ახორციელებს კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. პედაგოგთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ასეთი სტილის მუშაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრა ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ დავალებებს (მაგ: რუსული ენა Vკლასი - „ილუსტრირებული ტექსტი წელიწადის სხვადასხვა დროს სამოგზაუროდ წასაღები ნივთების აღსაწერად"; ინგლისური ენა III კლასში - ილუსტრირებული ტექსტი „ჩემი საყვარელი ცხოველი"...). უცხოური ენის კათედრის პედაგოგები მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს აქტიურად რთავენ სასწავლო პროცესში. ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახელმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის"  შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და  ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგ., რუსული ენის მე-5 კლასში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ალბომის პრეზენტაცია თემაზე: „Русский алфавит", სადაც  მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც "მაგალითი შედარებისთვის" პრეზენტაციის მახასიათებლები და პრეზენტაციის ნიმუში ანბანის შესახებ. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე.  კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ტექნოლოგიების სწავლების დროს არის შესაძლებლობა მოსწავლეებლა ყველა ახალი თემის შესწავლის შემდეგ შექმნას ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის მიერ შექმნილი პროდუქტები. აქ ყველა თემას მოსწავლე ითვისებს კეთებით. წარმოდგენილი კურიკულუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნიმუში საშუალებას იძლევა შევაფასოთ რამდენად შემოქმედებითია სასწავლო პროცესი, მოსწავლეები კეთებით სწავლების ხელშემწყობი გარემოთი მუშაობენ.
.დაწყებითი საფეხურის ჭადრაკის სამუშაო პროგრამა, რომელსაც ეყრდნობა პედაგოგი, უზრუნველყოფს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. მისი საუბრიდან იკვეთებოდა თუ როგორ აქტიურად ყავდა ბავშვები ჩართული დაკვირვების თუ ურთიერთსწავლების მეთოდების დახმარებით რთავდა მათ პროცესში. მან აღნიშნა რომ მას შემდეგ რაც მოსწავლეები დამოუკიდებლად თამაშს შეძლებენ შემოქმედებით უნარებზეც იმუშავებს, იზრუნებს კურიკულუმის შექმნისა და პროცესის დაგეგმვისას შემოქმედებითი გარემოს შექმნაზე.
დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასები) კურიკულუმებში შეტანილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, დაგეგმილი ფესტივალები , სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

დაწყებითის კათედრაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს, რომ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები ააგოს წინარე ცოდნასა და კონტექსტმაგალითებზე დაყრდნობით, რომელიც ასევე უკავშირდება მოსწავლეთა წინარე ცოდნას და აღძრავს მათში საკითხის შესწავლის ინტერესს.
ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. თემის შიგნით არის ლოგიკური კავშირები საკითხების სწავლავლებასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. რაც დასტურდება მასწავლებლების გასაუბრების საფუძველზე, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნის კონსტრუირების გზა, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება, კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლის გამოცდილებას და ნაცნობ კონტექსტს უკავშირდება ხელს უწყობს ცოდნის აგებას.
საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის

გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც იშვიათად/ფრაგმენტულად მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, რაც გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ სწავლა - სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აგებულია სტანდარტით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით, თემა ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და ბუნებრივად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, ნაცნობი კონტექსტები იკვეთება ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებშიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.

საგანში - ფიზიკურ აღზრდა, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს ახალს. რაც გააადვილებს სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ამის დამადასტურებლად, კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში, რაც ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობისას საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების დანერგვის მიზნებსა და არსებულ მტკიცებულებებში ამოიცნობა კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენა – გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახით. ასევე წარმოდგენილ მასალებში აისახება სწავლის სწავლა მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში, შეფასების მექნიზმებში. სკოლა საუბრობს მასზე, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში შეფასების კრიტერიუმების დაფარვის უზრუნველყოფა, მრავალფეროვანი დავალებები, ჩანაწერის დღიურები, შესასვლელი - გასავლელი ბარათები სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმაა და მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რასაც სკოლაში ვიზიტისას გაესვა ხაზი.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა. (ექვსი კომპონენტური უნარი) კერძოდ მე-6 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „სასაჩუქრე ყუთები“, მე-2 კლასის პროექტი „სიკეთის ქალაქი“ ხელს უწყობს ფუნქციურ უნარების

განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები, და დავალებებლი უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. ასევე გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შესრულებულ დავალებაზე მოსწავლეები საუბრობენ: - რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რას შეცვლიდა კეთების პროცესში და ა. შ. რაც გულისხმობს რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში ყველა საგანში არ იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მაგრამ მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს უსვავენ მეტაკოგნიტურ კითხვებს და ხელს უწყობენ მოსწავლეების რეფლექსიას.

სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ლაპარაკის და წერის თვითშეფასების რუბრიკები და ლაპარაკის და წერის სტრატეგიებზე სამუშაო რესურსები. ამას გარდა, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ მაგალითად, სწავლის წინმსწრები და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.

მეთოდოლოგიური ორიენტირებებიდან იკვეთება საგანთა შოის ინტეგრაცია, ტექნოლოგიების გამოყენება, მეტაგოგნიცია ანუ მოსწავლეს უწევს საკუთრი სწავლის სტრატეგიების გაანალიზება - როდის ისწავლა კარგად, რა გამოუვიდა კარგად და ა.შ.

მომავალი წლის კურიკულუმი დამყარებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმაზე, კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, რისი დასტურიცაა წარმოდგენილი კურიკულულმის ჩარჩოები დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასისთვის. თითოეულ კლასში ხელოვნებასა და მუსიკაში დაგეგმილია ახალი კომპლექსური დავალებები, დანარჩენი თემები განაწილებულია გრძელვადიანი მიზნების, სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიხედვით. ზემოხსენებული ფაქტორები კი იმის საწინდარია, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა გაიაზრონ სწავლის სწავლის, ე.წ. მეტაკოგნიციის პრინციპები და სტრატეგიები.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ხედვები, მათ მიერ პრობლემის მიგნებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. (აღნიშნული ცნობილია მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად) სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ამოიცნობა. სადაც, ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს (დეკლარატიული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტული სწავლებები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და შესაბამისი აქტივობების განხორციელება. მაგალითად, როგორებიცაა: „მკითხველთა თეატრი“, პროექტი „ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობის გაცნობა“, ხოლო წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები კი არის მოსწავლის მიერ მოძიებულ, გადამუშავებულ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზის დემონსტრირება, რაც დაწყებითების კათედრის პრაქტიკაა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. კერძოდ: კომპლექსური დავალებები „მოძრავი მანქანა“, „გასართობი პარკის შექმნა“, „გახდი კონსტრუქტორი“ „ვირტუალური ფერმა“, „სასაჩუქრე ყუთები“

სასწავლო პროცესი იქნება ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მე-5 და მე-6 კლასებშიც შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით.

სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის მე-4 კლასის დავალება „კითხვარის გამოყენებით ჩაატარე გამოკითხვა ოჯახში. სურათების და წარწერების გამოყენებით პოსტერზე ასახე ოჯახის რომელ წევრს რომელი საჭმელი უყვარს. პოსტერი წარმოადგინე კლასის წინაშე“ და რუსული ენის მე-6 კლასის დავალება „ მოამზადე კომიქსი შენი საყვარელი ზღაპრის გმირის შესახებ და წარადგინე კლასის წინაშე.“ გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.
წორმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ ტექნოლოგიების საგნის თემატური მატრიცით, ჩანს, რომ სასწავლო პორცესში ხდება ცოდნის ორგანიზება, თემები გამომდნარეობს ცნებებიდან.
დაწყებითი საფეხურის ჭადრაკის კურიკულუმი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ აქცენტი გაკეთდეს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. პედაგოგის საუბრიდან ჩანდა, რომ ის ამ კუთხით მუშაობს, რომ აწვდის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას, სხვაგვარად თამაშს ბავშვები ვერ შეძლებენ. მისი თქმით ამას ასახავს კურიკულუმშიც.
პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. ამაის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

დაწყებითების კათედრაზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.
კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებეები და პროექტები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. შეხვედრაზე პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგებზე დაყრდნობით, რამდენად უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალება და პროექტული სწავლება გამოცდილების მობილიზებითა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით გამოწვევების გამკლავებას და პრობლემის გადაჭრას. ამის დასტურია ინტეგრირებული პროექტი „სიკეთის ქალაქი"
სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, იგეგმება დავალბების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია

მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის და განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილვევი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარსა და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. მაგალითად, რუსული ენის მე-6 კლასის დავალების პირობა ასეთია „შექმენი შენი საყვარელი კერძის რეცეპტი შესაბამისი პროდუქტების და მისი მომზადების ეტაპების მითითებით და წარადგინე კლასის წინაშე პრეზენტაციის სახით.“ მოცემული დავალება ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ლოგიკურად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს მოძებნოს გამოსავალი. ეს აქტივობები კი მისგან მოითხოვს სხვადასხვა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

წარმოდგენის საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს საწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად ცხოვრების ყოველდღიური ციკლის, ალგორითმის შედგენა, პირობითი ნიშნების გამოყენება ყოველდღიურობაში. ინტერნეტში საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა.

საწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ითხოვს ჭადრაკის თამაში, მოსწავლე იგებს ფიგურას, მის სვლებს, კომბინაციებს და უწევს თამაში. პედაგოგმა ეს მიმართულება ნათლად უნდა წარმოაჩენს საგნობრივ კურიკულუმში.

**რჩევები: ბუნებისმეტყველებაში**

1.. მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალებები მეტი რაოდენობით და ხარისხის უზრუნველყოფით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმში და მათი განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას

2.. სასურველია კომპლექსური დავალებებით მუშაობა მეტი ინტენსივობით და სტუქტურირებული შესაბამისობით დაინერგოს 2023–2024 სასწავლო წლისთვის, რაც არის ერთ–ერთი საფუძველი წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახლის დაშენების.

3.. ცხადია სწავლის სწავლა ერთ–ერთი ხელშემწყობია მოსწავლის ცოდნის დუფლების და მისი უნარების განვითარების, რადგან სხვადასხვა ტიპის უნარის მქონე მოსწავლეებისთვის სწავლის სხვადასხვა სტრატეგიაა საჭირო, რომ მოსწავლე დაეუფლოს სასწავლო მასალას, მოახდინოს გააზრება სამიზნე ცნებების და შედეგად გავიდეს ესგ–ის საგნობრივი სტანდარტის შედეგებზე. სასურველია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სწავლა–სწავლების პროცესში მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მიღწევებისთვის. როგორიცაა: დამოუკიდებელი სწავლება, სტრატეგიის მოდელირება, ტექსტის დანაწილებით გააზრება და მთავარი ასპექტების გამოკვეთა და სხვა.
4.. სასურველია მოსწავლეთა პირობისეული ცოდნის გააქტიურება სხვადსასხვა მარტივი მოქმედებებით. დუნდ დაუსვან თავიანთ თავს შეკითხვა: როგორ გამოიყენონ და ვის გამოადგება მათი შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი?
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საკლასო პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში.
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებები;
- მოსწავლის ნამუშევარები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

დაწყებითი საფეხურის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ქართულში ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათს რეფლექსიებში, რაც განხორციელდება როგორც მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით, ასევე ამ პროცესში მშობლისა და სხვა კათერდრების ჩართვით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზრვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების და ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებითა, კომპლექსური დავალებისა და საკითხის შესასწავლად გამოყენებული რესურსებით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით. კერძოდ: მე-2 კლასის კომპლექსური დავალება „გახდი კონსტრუქტორი“ სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი კლასის კურიკულუმში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეა სრულყოფილად არაა განსაზღვრული, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერწარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ტექნოლოგიების ყველა სამიზნე ცნება: პირობითი ნიშნები, კომპიუტერის აგებულება, პროგრამული კოდი(ალგორითმი), მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი, ინტერნეტი, ინფორმაცია და ციფრული მოქალაქეობა. მაგრამ წარმოდგენილი არ არის კონტექსტ მაგალითები, ინტერვიუს დროს პედაგოგს ვურჩიე შემდგომში მოეყვანა კონტექსტ მაგალითებიც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი, როგორც ხელოვნებაში, ასევე მუსიკაში, ცხადყოფს, რომ ყველა შესასწავლ თემატური ბლოკი თუ თემა მიმართულია შესაბამისი სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნობრივი საკითხის გააზრებაზე, რაც საწინდარია გრძელვადიანი მიზნების მიღწევისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სპორტის მასწავლებლებთან გასაუბრებით, ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესში გათვალისწინებულია სამიზნე ცნებეზე სამუშაოდ. პედაგოგემა გამოთქვა სამომავლოდაც მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგარძელებისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი საფეხურის, უცხო ენების კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის. უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა არა დაწყებითი, არამედ საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კერძო ნიმუში. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მოლოდინები განსაზღვრულია თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძმებით, რაც უზრუნველყობს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. ამასთანავე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს ( სწავლის მექნიზმს) შორის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ ამ ეტაპზე არის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა საგნის სამიზნე ცნებები და შესასწავლი საკითხები. თუმცა არის გარკვეული კორექტირება შესატანი, რომელსაც რჩევისამებრ გაითვალისწინებენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

I – VI კლასის ბუნებისმეტყველბის საგნობრივ კურიკულუმებში ,მესამე თაობის ესგ–ის სტანდარტით დადგენილი სავალდებულო თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გასააზრებლად შერჩეულია საკითხები და საკითხთა კლასტერები, რომელთა დამუშავება გათვლილია კომპლექსური დავალებებით. მათი განხორციელება განსაზღვრავს სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, იმ ცოდნის შეძენას და უნარების განვითარებას, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს სავალდებულო თემისა და შერჩეული საკითხის შესწავლისას. ზოგიერთი თემის შესწავლისთვის არ არის კომპლექსური დავალება შერჩეული, მაგრამ ჩანს თემის შესასწავლად და შესაბამისად სამიზნე ცნების გააზრებისთვის შერჩეული საკითხები, ძირითადი და დამატებითი რესურსები.

გასაუბრების დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა სასწავლო წლის დასაწყისისთვის მოახდინონ კურუკულუმის ჩარჩოების შევსება კომპლექსური დავალებებით და ქვეცნებებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. სკოლას, დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში აქვს ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს შუწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. აღნიშნული მკაფიოდ ამოიცნობა კომპლექსურ დავალებებსა და მასწავლებელთა მიერ შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში. სასკოლო კურიკულუმი ითვალისწინებს არაფორმალური განთლების მიმართულებითაც სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, როგორებიცაა მოსწავლეთა ინიციატივით პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობებს განივითარონ პიროვნული თვისებები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ არ ჩანს რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ზოგიერთ ისეთ კითხვას რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. შესასების მექანიზმებში ჩართულია თანატოლთა შეფასების და თვითშეფასების ფორმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული, კათედრას ამ ეტაპზე დამატებითი საგნობრივი კონტექსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის თუმცა, ინტერვიურების დროს გამოიკვეთა ,რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლებს ინტერვიულს დროს მივეცი **რჩევა**, გამოკვეთონ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები მეტი სიხშირით, რაც ხელს შეუწობს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაწყებითი კლასების ტექნოლოგიების მასწავლებელი ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები იაზრებენ პასუხისმგებლობას და იღებენ ახალ ცოდნას. მაგალითად, ინფორმაციული ეთიკის ნორმების და სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინება ონლაინ სერვისებთან მუშაობისას; პირადი სივრცის მართვა; ციფრულ სამყაროში საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
ხელოვნებისა და მუსიკის შესასწავლი თემები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი საფეხურის, პირადი გამოცდილების, კონტექსტების აქტუალობის გათვალისწინებით, რაც დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა როგორც კოგნიტურ, ასევე პიროვნულ, ემოციურ, ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
სპორტის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი , არაფორმალური განათლება ( რაც ინტერვიუში აიასახა) და სკოლის თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს, უზრუნველყოფს ფიზიკური უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
უცხო ენებში წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ეს ასახულია საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკაში. გასაუბრებისას კი გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს (იგივე მასწავლებლებო ასწავლიან დაწყებით საფეხურზეც) გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის აუცილებლობას).
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
კურიკულუმებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის დავალებებს, სადაც საგნობრივი კონტექსტი იძლევა მოსწავლის პიროვნულ თუ ფსიქო–სოციალური განვითარების საშუალებას, მაგალითად ურთიერთსწავლების მოდელი, სადაც მეგობარი დამკვირვებელია და აფასებს კლასელის ნამუშევარს. ეს მოდელი ერთი მხრივ დაკვირვების მონიტორინგის უნარებს ავითარებს, მეორემხრივ შეცდომის დაშვების უსაფრთხო გარემოსაც ქმნის. რჩევისამებრ, მსგავსი მიდგომებით გაგძელდება მუშაობა და აისახება ჭადრაკის სასკოლო კურიკულუმშიც. .გასაუბრებიდან ირკვევა, რომ დაწყებითი კლასების ჭადრაკის მასწავლებლები ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის დავალებებს, სადაც საგნობრივი კონტექსტი იძლევა მოსწავლის პიროვნულ თუ ფსიქო–სოციალური განვითარების საშუალებას, მაგალითად ურთიერთსწავლების მოდელი, სადაც მეგობარი დამკვირვებელია თამაშის, ის აფასებს კლასელის სვლებს. ეს მოდელი ერთი მხრივ თამაშის ტექნიკის, დაკვირვების მონიტორინგის უნარებს ავითარებს, მეორემხრივ შეცდომის დაშვების უსაფრთხო გარემოსაც ქმნის. მსგავსი მიდგომებით გაგძელდება მუშაობა და აისახება სასკოლო კურიკულუმის დანართებშიც.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
ბუნებისმეტყველების საგნობრივი კონტექსტი მთელი რიგი სპეციალისტების მიერ არის ისე შერჩეული, რომ მისი გავლენა მოსწავლეზე არ იწვევს მისი ქცევისა და ფსიქოლოგიის ნეგატიურ სპეციფიკურ ცვლილებებს. ამას ხელს უწყობს მასწავლებლის მიერ საგნობრივი კონტექსტის პოზიტიურად მიტანა მოსწავლესთან და დამატებით ისეთი შინაარსის კონტექსტის შეთავაზება, რომელიც ასევე მისაღები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

არა გამაღიზიანებელია მოსწავლისთვის. ამ მხრივ კურიკულუმებში შეტანილი საკითხები, რომლებიც მასწავლებლის შემოქმედებითობით არის არჩეული თემის დასამუსავებლად სრულად შეესაბამება მოსწავლეების ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს. განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ს მატრიცებში კი მუშაობის ოგანიზების ფორმები, როგორიცაა წყვილში, ჯგუფური, ინდივიდუალური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფსიქო–ემოციური და სოციალური თავისებურებების რეგულირებას. არის საშუალება მოსწავლისთვის, რომ თვითონ შეარჩიოს მუშაობის ორგანიზების ფორმა. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ ჩამოყალიბებას. რაც გამოიხატება მისი პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის, სხვისი აზრის მოსმენა/გაზიარების უნარების განვითარებაში, დაამყაროს ურთიერთობა თანატოლებთან, ჩამოყალიბდეს პიროვნებად და არა მხოლოდ ცოდნა შეიძინოს და ურთიერთობები მისთვის უცხო იყოს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლის ფსიქო სოციო - ემოციურ, განვითარებას, მათ პიროვნებად ჩამოყალიბებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელი შეფასებათა ინსტრუმენტები („პრეზენტაციის შეფასებოს სქემა", „თვითსეფასების რუბრიკა", „ჯგუფური მუშაობსი სქემა", „დებატების შეფასების სქემა", „გასასვლელი ბარათები", და სხვა.) ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა დააკვირდეს თავის სწავლის პროცესს, რომელიც ეხმარება კოგნიტური უნარების განვითარებაში. საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ( „აზრის ლოგიკური თანმიმდევრობის სქემა", „დაკვირვების დაფა" და სხვა.) მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებაზე არის ორიენტირებული, რადგან ფასდება როგორც მოსწავლის ცოდნა, ასევე ხდება მისი სოციალურ-ემოციური მხარდაჭერა. კათედრას ასევე აქვს განსაზღვრული შეიმუშაოს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა, კერძოდ, კომპლექსური დავალებისათვის შემუშავებული განმავითარებელი შეფასება სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებით, რომელიც მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში, რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიების მიმართულებით მოსწავლეების შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების სქემებით. ორივე შემთხვევაში ფასდება სამიზნე ცნებები და მისაღწევი მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლები იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და სექტემბრისთვის გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სასკოლო სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლა ხელოვნებაში და მუსიკაში იყენებდა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, ასევე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკას. იგივე განაცხადეს მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც, მომავალში უფრო სისტემურად შემუშავდება ხვადასხვა სახეობის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს ჰოლისტურად განიხილოს ბავშვის როგორც კოგნიტური, ასევე ფსიქო-ემოციური განვითარება. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრინციპები ჩართულია კომპლექსური დავალებების შეფასების ინდიკატორებშიც, რაც გულისხმობს სამი ტიპის ცოდნის გამთლიანებას. ამდენად, კომპლექსური დავალებების ჩართვა სასკოლო კურიკულუმში საწინდარია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექნიზმის არსებობისა სკოლაში.

**რჩევა** - სასურველია, შეფასების ნებისმიერი სისტემა მიმართული იყოს გრძელვადიანი მიზნებისკენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ შედგენილი ფიზიკური აღზრდის საგნისთვის შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, კოლეგების თქმით, ისინი ხშირად იყენებებ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. ( წარმოდგენილ შეფასებისბ რუბრიკებში იყი მცირედ უზუსტობა,, რაც გაითვალისწინეს კოლეგებმა).

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის უცხო ენების კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით საფეხურზე არ წარმოუდგენიათ უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები, საბაზო საფეხურზე წაროდგენილია ინგლისური ენის ორივე ტიპის რუბრიკები. იქ მკაფიოდ იკითხება ორივე ტიპის შეფასების მიზნები, ამოცანები, კრიტერიუმები მათი შეფასების ფორმები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. ასევე, ინტერვიუს შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა მიმართულების ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

.დაწყებითი საფეხურის დაწყებითების მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული კი ასაკულია კურიკულუმის დანართებშიც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მესამე თაობის ესგ ითვალისწინებს მოსწალეთა ჰოლისტურ განვითარებას. ჰოლისტური მიდგომა,როგორც განათლების მიზანი გულისხმობს , რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს რას უნდა ელოდებოდეს მოსწავლისგან და შესაბამისად სწავლების პროცესიც აქეთ უნდა მიდიოდეს. მასწავლებელი უნდა იყოს მხარდამჭერი და ხელშემშველებელი მოსწავლის ნიჭის, უნარის და შეფასების სისტემაც სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს. აღნიშნული მიდგომა იკვეთება ბუნებისმეტყველების წარმოდგენილ განმავითარებელ რუბრიკებში, სადაც შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს მოსწავლის შესაძლებლობის/ საჭიროებიდან და ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. აქცენტი კეთდება მოსწავლეების ფუნქციური უნარების განვითარებაზე , როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა. ორიენტაცია ხდება სწავლის პროცესის გაანალიზებაზე. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ჰოლისტური მიდგომა მოსწავლის განვითარებისთვის მათთვის არახალია და სასწავლო პროცესის მიდინარეობის მუდმივი თანხვედრილი პროცესია. სასურველია მოსწავლის ჰოლისტური განვითარებისთვის , მისი ინდივიდუალური გამოცდილების რეალიზებით მოხდეს მოსწავლის გონებაში ცოდნის ჩამოყალიბება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიას. კერძოდ, ხაზგასმულია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრა სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელშემწყობ ფაქტორად მოიაზრებს სასწავლო პროცესში გამოყენებულ თვითშეფასება და ურთიერთშეფასებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

მათემატიკის შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული. მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

საზოგადოებრივ მეცნიერებებში სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურიდან გამომდინარე, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ტექნოლოგიებში შეფასება არის გამჭირვალე და ვალიდური, მოსწავლეებმა იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული.იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმაში აღნიშნულია, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, კათედრები განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, სწავლობენ მოსწავლეთა მიღწევების დინამიკას, ახორციელებენ თანმდევ დამატებით სამუშაოებს. მოსწავლეები თვითონაც მონაწილეობენ შეფასების რუბრიკების შექმნაში. ხშირ შემთქვევაში შეფასების რუბრიკები გამოკრულია კლასში. შესაბამისად შეფასების მექნიზმი არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ზემოთქმული მასწავლებლებმა დაადასტურეს ინტერვიუს დროს.

**რჩევა** - სასურველია, სკოლას გააჩნდეს შეფასების ერთიანი ინსტრუმენტები, რომელზეც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი იქნება შეთანხმებული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სპორტის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღნიშნეს კოლეგებმა, რომ ისინი ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს წინასწარ დაგეგმილი კომპლესური დავალებისა თუ შემაჯამებელისათვის. მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, კონკრეტულად მათ მიერ შერჩეული იქნა ინსტრუმენტი. **რჩევის სახით,** სასურველი იქნებოდა ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების კათედრის წევრები აღნიშნავენ , მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

.შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; რის საფუძველსაც იძლევა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. პედაოგებმა საუბარში აღნიშნეს, რომ შეფასებისთვის იყენებენ დავალების კრიტერიუმებს, ამავე პრაქტიკას დანერგავენ ჭადრაკშიც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ბუნებისმეტყველების წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს შეფასების მიზანი, რომელიც დაფუძნებულია ესგ–ის გრძელვადიანი მიზნების გააზრებასა და საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევაზე. რაც შეფასებას ხდის სანდოს, სამართლიანს და ობიექტურს. ვალიდურობის თვალსაზრისით იკვეთება შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა/ ურთიერთკავშირი სასწავლო თემებთან და საკითხებთან. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასება აქვთ გამჭვირვალე, რასაც ახორციელებენ შეფასების რუბრიკების გასაჯაროებით, გაზიარებით როგორც თვით მოსწავლეებთან ასევე სასკოლო საზოგადოებასა და მშობლებთან.
გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა და იგეგმება რუბრიკების განახლება, დახვეწა. სასურველია შეფასების რუბრიკების გასაჯაროების კონკეტული სტაბილური წესი იქნას შემუშავებული, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს შეფასების გამჭვირვალობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

როგორც საერთოდ სკოლა, ისე დაწყებითების კათედრა ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. კათედრაზე სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტად მოიაზრებს პირველ მოდელს, რომლის განხორციელების მხარდაჭერა დაეკისრება ხარისხის მართვის შიდა ჯგუფს. ასევე მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებული და სავალდებულო იქნება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხორციელება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
სკოლას შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი არ აქვს შემუშავებული. მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, აგრეთვე თვითშეფასებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებას, რომელიც გათვალისწინებული და სავალდებულო იქნება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხორციელება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**
საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად. ამიტომ, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა, რომელსაც სკოლა გამოიყენებს პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, ფუქნციურ კომპონენტური უნარებსა და გამჭოლ პრიორიტეტებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

თვითშეფასების დოკუმენტში ნათქვამია, რომ სკოლა აპირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამუშავებას, შესაბამისად აღნიშნული შეეხება ხელოვნებას და მუსუკასაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

სპორტის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ნათელია და სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივშიც ჩანს, რომ წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმებს, შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტადაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

უცხო ენების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი მასწავლებლების ურთიერთდაკვირვებით, კათედრაზე შეფასების ინსტრუმენტების განხილვით და ანალიზით, რითიც ხდება შესაბამისობის დადგენა, შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. მომდევნო სასწავლო წელს კათედრა შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს. ინტერვიუდან ისახება, რომ იგეგმება და არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტის შემუშავების მზაობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 სექტემბრის #119(1) ბრძანებით დამტკიცებულია „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის #1 საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების შენახვის შესახებ. ასევე

დასძენს, 2021 - 2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალზე ხელმისაწვდომობის შესახებ და გეგმავს სკოლაში მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების შენახვას 3 წლის ვადით.
სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების გარკვეული ხედვა, თუ როგორ განახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- საკლასო პროექტები
- შეფასების ინსტრუმენტები.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**
კათედრის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. იგი იკითხება

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე. ასევე სკოლას გააჩნია თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტის ფუნქციონირებით ხორცილდება კათედრასა თუ სხვა კათედრების დინეზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა , საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. სასკოლო ცხოვრება მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საქმოანობები. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებს მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში პოზიტიური, თანამსრომლობითი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დაწყებით კათედრაზე საგანშისსწავლა–სწავლება ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, ასევე, საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლებაშიც. სკოლას ამ საფეხურე აქვს გამოცდილება „ჯიპრაიდის" პროექტის ფარგლებში მასწავლებლის მიერ პერიოდული გამოკითხვებისა და დიაგნოსტიკური შეფასებების განხორციელებისა, რაც სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებას უზრუნველყოფს. .თუმცა მნიშვნელოვან ასპექტებად უნდა იქნეს დასახული მოსწავლის საჭიროებების მუდმივი მონიტორინგი. მათ შორის ეს შეიძლება იყოს ფორმალური თუ არაფორმალური, შემაჯამებელი თუ განმავითარებელი, დაკვირვებაზე დაფუძნებული, პორტფოლიოების, რუბრიკების და სხვა მიმართულებით მუშაობა.

სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს, ჩაერთონ სხვადასხვა შემოქმედებითსა და შემეცნებით პროექტებში, ხელი შეეწყოს ფორმალური და არაფორმალურ განათლების მიღებას, განხორციელდეს მეტი კომპლექსური დავალება, ჩატარდეს კვლევები მოსწავლეთა მიღწევების გაანალიზებისთვის მესამე თაობის ესგ პრინციპების განვითარების მიმართლებით, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო როცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოიკვეთა, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრორმლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლათფორმად მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. თანამშრომლობითი კულტურის დასტურია სკოლაში პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციონირება, ასევე ,,კრიტიკული მეგობრის '' ინსტიუტი, როდესაც ხდება აზრთა გაცვლა-გაზიარება, არის მიმღებლობა და რეკომენდაციების გათვალისწინება. შესაბამისად სკოლას წარმოდგენილი აქვს კოლეგებთან ურთიერთადსწრების ფორმა.
მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ ერთმანეთთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.
სკოლის სასწავლო პროცესის აღწერისას, ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს.. მშობლებს აქვთ ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სპორტულ აქტივობების შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას სკოლის განვითარებაში, პროექტული სწავლების გამოყენებით,
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

ქართული ენისა და ლიტარატურის კათედრას გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერსებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე, რაც გულისხმობს, რომ სკოლამ უნდა შექმნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შესაბამისად სკოლას წარმოდგენილი აქვს ფოიესა და საკლასო გარემოში მშვიდი და პოზიტიური გარემოს გამომხატველი ფოტომასალები.
სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა,ნდობა,აღიარება,მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, ერთმანეთთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. კურიკულუმებში მოცემული საკითხები,

კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებების და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში. სკოლის ფოიეში გამოკრულია სკოლის ღვაწლმოსილი ადამიანებისა და წარჩინებული მოსწავლეების ფოტოები, ბავშვების ნამუშევრებითაა გამშვენებული დერეფნებისა და საკლასო ოთახების კედლები, სკოლა მოსწავლეებს ხელს უწყობს მოსწავლეებს გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, შექმნილია მშვიდი გარემო, რაც მიგვითითებს, რომ სკოლა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- განხორციელებული აქტივობების მასალები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო შინაგანაწესი.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**V შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა კურიკულუმს განიხილავს, როგორც ინსტრუმენტს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. შესაბამისად, იგი ფიქრობს, რომ კურიკულუმი არ არის ისეთი დოკუმენტი, რომელიც ერთხელ უნდა შეიქმნას და გამოიყენებოდეს მუდმივად უცვლელი სახით. კურიკულუმის შექმნა დანერგვა ციკლური პროცესია და ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს. მონიტორინგი საშუალებას იძლევა მოგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი. გამოვლინდეს მისი დადებითი მხარეები და გამოწვევები. მოიკრიბოს ობიექტური მონაცემები პროცესის შეფასებისთვის. სკოლას მონიტორინგის განხორცილების გარკვეული გამოცდილება აქვს. მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებით კათედრაზე ქართულში ჩატარდა „წიგნიერების დონის კვლევა“ და არსებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით კვლავ გეგმავს „ფორმს“–ის გამოყენებით „ჯიპრაიდის“ სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენებას. ასევე დაწყებითების კათედრაზე დაგეგმილია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან პირველი მოდელი, რაც განხორციელდება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ. შეიძლება ითქვას, რომ სკოლას სწორად აქვს დანახული ობიექტური სურათის შესაქმნელად კვლევების გაუმჯობესების საჭიროება.

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია დაწყებითი კათედრის მათემატიკის მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, თუმცა კონკრეტულად როგორ ხორციელდება არა აქვთ გაწერილი. გასაუბრებისას აღნიშნეს რომ ინტენსიურად ითანამშრომლებენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. მიაწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და რა საფუძველი ექნება სკოლას, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა.

ამ ეტაპზე სკოლა ახორციელებს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. ასევე, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნის შემდეგ მოხდება, გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანი იქნება გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის/ინსტრუმენტის შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმჯობესია პროცესი წარიმართოს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, კერძოდ, გაირკვეს, წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებით დანერგილი კურიკულუმი მოსწავლის, მასწავლებლისა და სკოლის დონეზე რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად და რამდენად შედეგის მომტანია დაგეგმილი აქტივობები. კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სასურველია გამოყენებულ იქნას ე.წ. SWOT ანალიზი ან მსგავსი ინსტრუმენტი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რომლის შემუშავებასაც გეგმავს, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებელთა ჩატარებულ გაკვეთილებს. აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებული ხარვეზებს და ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს. აღნიშნული რგოლის ფუნქციონირება დასტურდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიულ მხარდაჭერთა ჯგუფის შექმნის ბრძანებითა და პასუხისმგებელ პირთა კანონით განსაზღვრული მტკიცებულებით. ასევე „კრიტიკული მეგობრის„ ინსტიტუტის ფუნქციონირებით.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოთქმული იქნა მზაობა, შეირჩეს SWOT ანალიზის ინსტრუმენტებიდან სკოლისთვის ოპტიმალური ვერსია, რადგან კვლევის მეთოდოლოგია გამიზნულია სასკოლო საზოგადოების წევრების ურთიერთმხარდაჭერასა და დახმარებაზე.

თუმცა აღნიშნულის ამსახველი დოკუმენტაცია არ იყო.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სკოლის მიერ განხორციელული სასწვლო პროცესის სადიაგნოსტიკო შეფასებები იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სკოლა გეგმავს შიდა-სასკოლო სადიაგნოსტიკო წერების შედეგებთან შედარებას კათედრის დონეზე. რითაც განსაზღვრული აქვს, რომ შეძლებს ფართო ჭრილში დაინახოს მიგნებები და გამოწვევები, შემდეგ კი დაგეგმოს ინტერვენციები სასკოლო საზოგადოება უფრო მასშტაბურად ჩართვის გზით. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახდენს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს.

მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა

და სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. ამას ისინი განახორციელენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნის მეთოდოლოგიური ჩარჩო,
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას დაწყებითების კათედრაზე საგანში დაგეგმილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები. კერძოდ, მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელი, კლასის დამრიგებლები, სემესტრის ბოლოს სასწავლო წლის ბოლოს გაწეული მუშაობის ანგარიში, რომლის საფუძველზეც მზადდება დირექტორისა და დირექტორის მოადგილეეების ანგარიშები. ანგარიშზე დაყრდნობით კი ყალიბდება რეკომენდაციები. აღნიშნული მიდგომები დასტურდება სხვადასხვა რგოლის მუშაობის ოქმებში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ხშირად იყენებენ განხორციელებული აქტივობების შეფასების რუბრიკებს, რომლებსაც


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავსებენ მოსწავლეები. ვერბალური უკუკავშირიც იძლევა საშუალებას, განისაზღვროს, თუ რამდენად მოერგება მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს განხორციელებული აქტივობა. სემესტრის ბოლოს და სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი წერების ანალიზს, რომელიც მოიცავს მოსწავლის ძლიერ /გასაუმჯობესებელ მხარეებს და რეკომენდაციებს. მხარდამჭერთა ჯგუფი აკვირდება მასწავლებელთა სამუშაო პროცესს და უკუკავშირის საშუალებით ეხმარება ხელი შეუწყოს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას.

მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას გვაძლევს განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რომლებსაც დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები იყენებენ. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორცილებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვაალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები გეგმავენ შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით.

კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი მიზანმიმართული იქნება, მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას . დაწყებითი კლასების ჭადრაკის მასწავლებლები , პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.

.დაწყებითი საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნის განმავითარებელი შეფასებისას ითვალისწინებს , საგნის საფეხურის მისაღწევ შედეგებს, მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას. დამადასტურებელი დოკუმენტები არაა/მწირია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტარატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ მას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა „ფორმსით", თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. და აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას,არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე. თუმცა ამას სისტემური ხასიათი არა აქვს და არც მტკიცებულებებია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში.

სკოლაში გამოყენებულია, მოსწავლეთა შეფასების როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ტიპი. ინტერვიუებმა გამოვლინა სკოლის მზაობა, შეფასების პროცესი ხორციელდებოდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით სრული სურათის მისაღებად, საჭიროებების გამოსაკვეთად და შემდგომი ინტერვენციების დასანერგად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

კურიკულუმის შეფასების პროცესში კათედრა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს, როგორებიცაა: რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები, რომელშიც ჩართული არიან ძირითადად მასწავლებლები. თუმცა ასევე ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა დაწყებითების კათედრაზე საგანის შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. შეფასებისას დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრა იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს . თუმცა ამის სისტემური ხასიათი არა აქვს.

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლები გეგმავენ უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.

სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. დაწყებით საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგებმა, გამოიჩინეს ინტერესი აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023 - 2024 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას საჭიროა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომლებიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა.

დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი კონტექსტიდან მოსწავლის შედეგის შეფასებას. შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტისტრუქტურული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიულ მხარდაჭერთა ჯგუფის ოქმი;
- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**V შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

ფაქტია, რომ სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე დაადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა გადაჭრა არსებითად გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს.
პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა რომ მომდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში ? ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით. უცხო ენების კათედრას არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. სკოლაში ჩატარდა სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ქოუჩინგი, რომლის მიზანი იყო 2023 - 2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნა, შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა და შერჩევა, სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩევა სკოლის დონეზე. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იზიარებდნენ ქოუჩების მითითებებს და გეგმავდნენ სასწავლო პროცესში. მხარდაჭერ ჯგუფთან ერთად მიმდინარეობს იმ კურიკულუმების გადასინჯვა-განახლება, რაზეც დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის კათედრამ იმუშავა. თუმცა კურიკულუმზე მუშაობა გაგრძელდება 2023 - 2024 სასწავლო წლის დაწყებამდე.
.სკოლას ჭადრაკისთვის, ამ ეტაპზე არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რადგან არც კურიკულუმია შექმნილი. მაგრამ აქვთ მზაობა და აპირებენ შექმნან სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განვითარების ეტაპები,პასუხისმგბლობების დელეგირება, ვადები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ .
სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლის ბოლოსთვის კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნას თამატური მატრიცები. შეიქმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

დაწყებით საფეხურზე კათედრა გეგმავს, რომ დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებული იყოს კურიკულუმის რევიზიის პროცესში. ახალი კურიკულუმი შედგეს იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რაც გამოავლინა შეფასებამ და შეიქმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. ამ ეტაპზე 2023 - 2024 სასწავლო წლის კურიკულუმების მომზადებაში საგნობრივი ექსპერტები მხარს უჭერდნენ, თუმცა შესაბამის ვადაში განსაზღვრული აქვთ, რომ დაამტკიცონ ახალი კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს სრულყოფილი ვერსია, სადაც გაწერილი იქნება კომპლექსური დავალებები, რომლებიც დაფარავს ერთი თემის ფარგლებში ყველა ცნებას და მიეთითება საჭირო რესურსები თუ კონტექსტ მაგალითები.

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, შედეგები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო.
- მე-3, მე-4 კლასების მე და საზოგადოების, მე-5, მე-6 კლასების ჩვენი საქართველოს საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)** | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სასწავლო მიზნები, განმსაზღვრელი შეფასება, განმავითარებელი შეფასება და სადიაგნოსტიკო შეფასება. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება სამეურვეო საბჭოსადმი წარდგენილ სხდომის ოქმში, სადაც ხაზგასმითაა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო სასწავლო პროექტები. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებისათვის მკაფიო გახდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას მისი სრულყოფისა თუ გაუმჯობესებისათვის საჭიროა სკოლის მიერ განსაზღვრულ მისიაზე, ხედვასა და ფილოსოფიაზე, სამოქმედო გეგმასა თუ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე ორიენტირება, რაც სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავს საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე, მასწავლებელთა ჩართულობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მშობელთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა პრიორიტეტებს ,რასაც ძირითადად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად. სასწავლო წლის დასრულებისას საბაზო საფეხურზე კათედრა განიხილავს მიღწეულ შედეგს ,განიხილავს, რა არის გასაუმჯობესებელი და გამოსასწორებელი შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. კათედრაზე მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე. სასკოლო კურიკულუმის მიღწევის დონე საბაზო საფეხურზე ფასდება კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებელი წერების ანალიზით გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. კომპლექსური დავალება: მიუვალ წერტილებამდე მანძილის გამოთვლა, სამომხმარებლო სესხი (მიმდევრობა)

როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, კათედრა მუშაობს და განიხილავს კურიკულუმის შემუშავების იმ მეთოდებს, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები; კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, პირველი და მეორე უცხო ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური დავალებების სახით, შეფასების ინსტრუმენტები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში.

სკოლის ავტორიზაციის განაცხადიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სკოლა ჩართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების გააზრების პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესი დაწყებულია და ჩანს მისი ცალკეული ელმენტები: საგნობრივი კურიკულუმები აგებულია ახალი თაობის ესგ მოთხოვნების შესაბამისად, არსებობს მშობელთა ბარათის ცალკეული ნიმუშები, არსებობს საერთო სივრცე სოციალურ ქსელებში, გამოყენებულია ელექტრონული ჟურნალი, გამოთქმულია მზაობა, რომ ჩატარდეს სასკოლო წერები მოსწავლეთა დიაგნოსტირებისთვის, რათა გამოვლინდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები დიფერენცირებული მიდგომების განსახორციელებლად;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ ასახულია კათედრებზე კურიკულუმში. წარმოდგენილია ინდივიდუალური ხედვა, რაც იკითხება მასწავლებელთა მიერ განსაზღვრულ საგნის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, რომელშიც გათვალისწინებულია მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალების შერჩევისას გათვალისწინებულია ჩატარებული საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი. თუმცა მის შემდგომი დახვეწის საჭიროებას ხედავს სკოლა. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა პროექტებში: როგორებიცაა: კონფერენციის ინიცირება „მედიაწიგნიერების“ შესახებ, ასევე ცოდნის დღისა და ტოლერანტობის დღის აღნიშვნა. აქვე იკითხება ისგ-ს გეგმის შემუშავებისა და განხორციელების გზა, რომლითაც ნათელი ხდება, რომ მისი შემუშავების პროცესში ჩართულია მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი და სპეც. მასწავლებელი.

პედაგოგები აღნიშნავენ რომ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშავეს თანამშრომლობითი პრინციპით. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ წინა წლის შეგროვებული ინფორმაციას მიხედვით გამოკვეთენ პრობლემები და მისი გადაჭრისთვის დასახული გზები კურიკულუმში გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწევების ასამაღლებლად. საგნობრივ კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ დიფერებცირებულ მიდგომებს მათ შორის ისგ-ს სახით, თემატურ კონტექსტები მოსწავლეთათვის აქტუალურ საკითხებს. კურიკულუმში ასახულია კომპლექსური ბუნების დავალებები . კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებს პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის საშუალებას აძლევს, ასევე პროექტებში ფუნქციების განაწილება ხდება შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამის დასტურია კომპლექსური დავალება: მიუვალ წერტილებამდე მანძილის გამოთვლა, სამომხმარებლო სესხი (მიმდევრობა) .
გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ გაზარდონ თანამშრომლობა მოსწავლეებთან, სკოლის თვითმმართველობასთან, მშობლებთან. შეიმუშვებენ კითხვარის ფორმებს, რათა სასკოლო საზოგადოების წევრებმა გამოთქვან აზრი და განსაზღვრონ თავიანთი როლი კურიკულუმის განხორციელების პროცესში.
მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს, ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლა გეგმავს გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის შეჯამებას. მოცემულ ანალიზზე დაყრდნობით სკოლა განახორციელებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებას, რომელიც შემდგომ სასკოლო საზოგადოებაში განიხილება და გაზიარდება. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა უცხოური ენების მასწავლებლები გამოიყენებენ მშობლებთან ჩართულობისათვის ე.წ ,,მშობლის ბარათებს“ რაც თავის თავად გულისხმობს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული პირისგან წამოსულ უკუკავშირების მოსმენას და გაზიარებას. შესაძლოა დავასკვნათ, რომ *წარმოდგენილი კურიკულუმები* ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, რაც გულისხმობს იმას, რომ მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები. მაგლითად სკოლას წარმოდგენილი აქვს პირველი და მეორე უცხო ენების კურიკულუმის ჩარჩო და შექმნილი აქვს ახალი სასწავლო წლისთვის უცხო ენის კურიკულუმი საბაზო საფეხურისთვის. მასში ასახული წინა წლის/წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.
ავტორიზაციის განაცხადში აღნიშნულია, რომ სკოლაში მუშაობს საგნობრივი წრეები, იქმნება პროექტები, კომპლექსური დავალებები... ეწყობა საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტების პრეზენტაციები სკოლასა და ინტერნეტ სივრცეში, და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ჩართულია. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას გარკვეულწილად გამოვლინდეს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, თუმცა არ არსებობს ინსტრუმენტი, რომლითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა გამოვლენა და მისი გათვლისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ პროცესს შეიძლება ხელი შეუწყოს კათედრებისა და სკოლის ადმინისტრაციის ერთობლივმა მუშაობამ ამ მიმართლებით, კერძოდ, კითხვარებით, ერთობლივი ანალიზით, მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილ და მიზნობრივად დახვეწაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ორიენტირებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებებები, ცნებები, თემები, თემატური ბლოკები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. სკოლას მნიშვნელოვანად აქვს განსაზღვრული, რომ პროცესებში კანონის შესაბამისად მონაწილეობდეს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის შემუშავებული კურიკულუმი დაამტკიცოს პედაგოგიურმა საბჭომ. კათედრა გეგმავს კვლავ გამოიყენოს მშობელთათვის კომპლექსური დავალებების ბარათების გაზიარებისა და მათი უკუკავშირის გათვალისწინების პრაქტიკა.

პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო წლის ბოლოს პედადოგთა ჩართულობით საბაზო საფეხურზე კათედრაზე გასული წლის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავენ მომავალი წლის კურიკულუმებს. სკოლას აქვს უკვე შემუშავებული საბაზო საფეხურის საგნის/საგნების კურიკულუმები. მასწავლებლები გეგმავენ რომ კურიკულუმები წლის დასაწყისში გააცნონ მშობლებს, მშობელთა კრებებზე. პრდაგოგებმა აღნიშნეს რომ ზაფხულის პერიოდში მოხდება კურიკულუმების დახვეწა, შევსება კომპლექსური დავალებებით

სასკოლო კურიკულუმი კათედრაზე ძირითადად მუშავდება მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. მაგალითად სკოლის მიერ წარმოდგენილია საკუთარ თემზე მორგებული პირველი და მეორე უცხო ენის საგნობრივი კურიკულუმი საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის ,რომელშიც დაგეგმილია მომდევნო სასწავლო წლისთვის გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელი შუალედური მიზნები. როგორც გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე შეიტანეს ცვლილებები. პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები, მოსწვალის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვას კურიკულუმში. დოკუმენტებში და ასევე, გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან).

ავტორიზაციის განაცხადში არნიშნულია, რომ სკოლაში კურიკულუმის შედგენაში ძირითადად მონაწილეობენ მასწავლებელები, ხოლო დირექცია ფასილიტაციას უწევს პროცესს, აწვდის რესურსებს, ხდება ნამუშევრების, შედეგების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. არაა მშობლებთან კავშირის უფრო სისტემატიური და ინტენსიური მექანიზმი, კათედრის წევრთა ან სხვადასხვა კათედრებს შორის ერთობლივი მუშაობის სივრცეები, თითოეული ჯგუფიდან უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, რათა სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესი და დამოკიდებულებები იქნას გათვალისწინებული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, სამეურვეო საბჭოს ოქმითა და საგნობრივი კათედრის ოქმებით. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება და მშობელთათვის გასაგზავნი კომპლექსური დავალების ბარათები. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელთა მიერ ხორციელდება მშობელთათვის ინფორმაციის დეტალურად მიწოდება მშობელთა ბარათების მიწოდებისა და უკუკავშირის გზით. სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს ასევე უზიარებენ არამარტო საგნის, კათრედრის ფარგლებში, არამედ სკოლის დონეზე.

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ: მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, საკითხთა ტრანსფერის არიალებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, ასევე იმ რესურსთა ჩამონათვალს რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას. სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი მივა სკოლაში და მოითხოვს მას. მაგ: საგნობრივი პროგრამები, დანართები კომპლექსური დავალებების სახით, სასწავლო რესურსები). შესაძლოა დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას კურიკულუმის შედგენაში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესი.

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შედგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმი მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით. დამატებით იგეგმება მშობელთა ბარათების შედგენა, კათედრების შემდგომი მუშაობა შეფასების რუბრუკებსა თუ სადიაგნოსტიკო კვლევების ჩასატარებლად.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის .მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს, რომ შექმნილი კურიკულუმების ( შექმნილია 7-9 კლასის კურიკულუმები ), , დაგეგმილი ფესტივალები , არაფორმალური განათლებისა და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე იღებენ უკუკავშირსაც. თუმცა ამისთვის არ ქვს სკოლას ვებგვერდი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლის შეფასების ფორმა საბაზო საფეხურზე;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ბარათები.

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საბაზო საფეხურზე VII , VIII და IX კლასების, კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებულია სავალდებულო ველები: თემა, ტექსტები, რესურსები. მნიშვნელოვანია ის, რომ კათედრა გეგმავს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებები და თემის ფარგლებში დაფარულ იქნას საბაზო საფეხურის ყველა სამიზნე ცნება ქართულში. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა მასწავლებელთა მიზნები, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულყოფილად შეივსება და გათვალისწინებული იქნება სკოლის მისია, ხედვა და ფილოსოფია თუ სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ს
ტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**
მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. რაც კარგად ჩანს მე-7, მე-8, მე-9 კლასის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა . ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმში ასახული არაა კომპლექსური დავალებები, თუმცა პედაგოგები გასაუბრებისას გვიყვებიან კომპლექსური დავალებების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ. მასწალებლებმა აღნიშნეს რომ ამ კომპლექსურზე მუშაობამ მოსწავლეები დააინტერესა და კკარგ შედეგებზე გავიდნენ, ამიტომ ისევ განაორციელებენ და ასევე ფიქრობენ სხვა კომპლექსური დავალებების დამატებასაც. .დასახვეწია კურიკულუმების ჩარჩოები, დასამატებელია კომპლესური დავალებები/ მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სექტემბრამდე კურიკულუმები დაიხვეწება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები საბაზო საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, ქმნის წარმოდგენას, თუ რა მასალებზე დაყრდნობით, რა მეთოდების გამოყენებით აპირებენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნებზე გასვლას საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ფარგლებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საბაზო საფეხურის საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში კურიკულუმი სრულყოფილად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც. კერძოდ, ინგლისური ენის VII, VIII კლასების კურიკულუმებში, იმ სასწავლო თემების შესაბამისად, რომლებშიც ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალება, არ არის წარმოდგენილი ჩარჩოს სავალდებულო კომპონენტები: ქვეთემები, სასწავლო რესურსები. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფეროვნი გახადოს საბაზო საფეხურის კლასების კომპლექსური დავალებები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

ყველა საგნის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე). კურიკულუმში სწორადაა ესგ - ს სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერი. მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საკითხებისა და კომლექსური დავალებების განსაზღვრა მოხდა მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით - წინა წლის კურიკულუმის (გახორციელებული კომპლექსური დავალებების) გაანალიზების საფუძველზე. შედეგების მისაღწევად, შუალედური მიზნების სახით მეტწილად შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეები ცოდნის შეძენის გვერდით განივითარებენ ფუნქციურ–კომპონენტურ უნარებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურის კათედრას დაგეგმილი აქვს, რომ კურიკულუმები მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ვინაიდან საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უნდა ორიენტირდებოდეს ქართულ ენაში განსაზღვრულ ყველა სამიზნე ცნებაზე, ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა, იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლა–სწავლების მეთოდების შერჩევისას კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლება უზრუნველყოფს ფუნქციური უნარების ეფექტურ და ეფექტიან დანერგვას, რის გამოც გეგმავს თითოეულ კლასში სასწავლო წლის განმავლობაში 3 კომპლექსური დავალების განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

მათემატიკის წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-9 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილების გაზომვა“, მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა. ასევე სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, სკოლას აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირების გამოცდილება, 2023 - 2024 სასწ.წლისთვის შემუშავებულ კურიკულუემში ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ოროიენტირება, მაგალითად საბაზო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერების ყველა საგნის, ყველა თემაში ხდება ყველა სამიზნე ცნების დაფარვა. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მათი სამომავლო ხედვა და მზაობა მიმდინარე პროცესის მიმართ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

უცხო ენებში წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საბაზო საფეხურის საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. აქვთ მზაობა, რომ

გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად).კათედრის წევრებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები (საგნების მიხედვით) და შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება თავისივე იდეით, კონტექსტ მაგალითებით და მაგალითები შედარებისთვის, რომელიც იძლევა საშუალებას მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციური უნარები. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევისას გაითვალისწინეს მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები. კომპლექსური დავალებებზე მუშაობის პროცესში გეგმავენ ისეთი აქტივობების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ), ასევე მეთოდოლოგიური ორიენტირის მეტაკოგნიციის განვითარებას . შეძლოს მოსწავლემ გრაფიკულ–მაორგანიზებლების გამოყენება, კომპეტენცია– პასუხისმგებლობა განივითაროს. დამუშავების პროცესში გამოიყენონ მაკროცნება კვლევა და მთლიანად კომპლექსურით სწავლება ემსახურებოდეს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრებას და ესგ–ის შედეგების დაძლევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, მისი დანერგვის პრაქტიკა, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას, რაც გულისხმობს რესურსის, გარემოს, შინაარსისა თუ პროდუქტის დიფერენცირებას. კათედრა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, კერძოდ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას, რაც კათედრის შეხვედრის ოქმებში ინკლუზიური მიდგომის პროგრესის განსაზღვრის საჭიროებებში ამოიკითხება. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი პრაქტიკა ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით. კომპლექსური დავალებების „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილების გაზომვა“, პირობა , ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლეს კომპლექსური დავალების წარმოდგენა შეუძლია მისთვის სასურველი ფორმით, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია
პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.

.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. მოსწავლეებისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულია მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებული და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან ინტერვიურების დროს გამოჩნდა ,რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნან ადაპტირებული კომპლესქური დავალებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობის. კათედრა აანალიზებს გასული სასწავლო წლის შედეგებს, იყენებს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს: თვითშეფასების კითხვარებს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენად, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსაკვეთად. სსსმ მოსწავლესთან მუშაობენ ინდივიდუალური გეგმის საშუალებით, სკოლა აქტიურად ეცნობა ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე ცვლილებებს და გამოწვევებს. საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან კურიკულუმების ადაპტირებისა და ახალი ისგ-ს შემუშავების მიზნით. აქედან გამომდინარე, უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.
ყველა საგნის კურიკულუმის მიხედვით სწავლება მეტწილად წარიმართება კომპლექსური დავალებებით. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პრიორიტეტად იქნება ინკლუზიური განათლება,რასაც მიაღწევენ დიფერენცირებული სწავლებით, მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმება მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული აქტივობები . ასევე სსსმ მოსწავლესთან გამოიყენებენ ისგ, სადაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებები და შესაბამისად განსაზღვრულია სასწავლო მიზნები (გრძელვადიანი - სამიზნე ცნებების სახით და შუალედური - კომპლექსური დავალებებით.)
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საბაზო საფეხურზე ქართულში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს მეორე მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი და მტკიცებულებად გააჩნია ე. წ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრულის შექმნის მეთოდოლოგია. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით აფასებს ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესს, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარს, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესს, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. ასევე ადგენს წინარე ცოდნა/წარმოდგენებს. სკოლა მოსწვალის შეფასების მექანიზმად გეგმავს გამოიყენოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მყვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმებით სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების სახით სკოლას მოეპოვება რუბრიკები, როგორებიცაა: „აზრის ლოგიკური თანმიმდევრობის განსასაზღვრავი რუბრიკა“, თვითშეფასების რუბრიკა, პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის შეფასების სქემა, დებატების შეფასების სქემა, „დაკვირვების დაფა“ და „გასასვლელი ბარათები“. ასევე გეგმავს შეიმუშავოს „ანალიტიკური წერის“, „თხზულების წერის“ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
მათემატიკის პედაგოგებს არა აქვთ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. თუმცა გასაუბრებაზე მათ ისაუბრეს, თუ როგორ შეაფასებდნენ კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილი“ განმსაზღვრელი შეფასებით. რამაც ზოგადი წარმოდგენა შექმნა სკოლის ფარგლებში აღნიშნული შეფასების წარმოების წესზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასების ორივე ფორმა, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებს დაწყებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზრვრელი რუბრიკების შექმნა. სექტემბრისთვის შეიქმნება თემების მიხედვიტ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე. სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.
უცხო ენების წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გვხვდება საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითო კერძო ნიმუში, ასევე ზოგადი ნიმუშები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ავღნიშნავ, რომ შესაძლებელია დავასკვნათ, კათედრას აქვს მზაობა შექმნან განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება ესგ სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ გაბმსაზღვრელი შეფასებისას კრიტერიუმების ფორმირებიდას ერტმნისვნელოვნა მიმართავენ სტანდარტის შედეგებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების ფორმირებისას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგნებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავებისას სრულყოფისათვის გეგმავს კომპლექსური დავალებების განახორციელოს დეტალური ანალიზი და მასზე დაყრდნობით დაგეგმოს მომდევნო დავალებები. ასევე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინოს სწავლა- სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილება და გამოწვევები, რომელთა შესახებაც ინფორმაციიას მიღებას გეგმავენ საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე მასწავლებელთა ზეპირი რეფლექსიებიდან,  ასევე მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვებიდან ონლაინ ,,forms“ პლათფორმის მეშვეობით.
მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში.
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. სასურველია, უფრო ნათლად ჩანდეს რომელ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით ხდება კურიკულუმის განვითარება და რამ განაპირობა ცვლილებები წლევანდელ კურიკულუმში. მით უმეტეს  მასწავლებლებში არსებობს იმის მზაობა , რომ  რეფლექცია და ცვლილებები გახდეს უფრო მიზანმიმართული.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მუშავდება სკოლის საზოგადოების მიერ და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ  ახალი კურიკულუმის დახვეწისას  ისინი  გაითვალისწინებენ წინა გამოცდილებსა  და მოსწავლეთა საჭიროებებს .  შეარჩევენ  დავალებებს, რომლებიც საინტერესო  და მამოტივირებელი იქნება მოსწავლეებისთვის.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლის შეფასების ფორმა საბაზო საფეხურზე;
- კომპლექსური დავალებები;
- საგნობრივი პროგრამები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ინკლუზიური განათლებიოს სამოქმედო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

V შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ საბაზო საფეხურზე საგნობრივი სწავლება იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემოქმედებითი პროდუქტები, მოსწავლის ინტერესებზე

დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები: კონფერენცია „მედიაწიგნიერება“, ცოდნის დღე, ტოლერანტობის დღე, პროექტი“ჩემი აფხაზეთთი“, დასტურია ამ ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის. ქართული ენასა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ინდივიდუალური გეგმები, დადასტურებული მასწავლებელთა თანამშრომლობა, შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები ადასტურებენ მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის ხარისხს. რასაც სკოლა გეგმავს კიდევ უფრო გააძლიეროს კომპლექსური დავალებების დანერგვის გზით.

სასწავლო პროცესი ისეა ორგანიზებულია, რომ გამოწვევები დაკავშირებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, ამაღლებს მოტივაციას იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც დასტურდება განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებებით. კერძოდ კომპლექსური დავალება „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილი“; „სამომხმარებლო სესხი“

სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. კათედრას საგნობრივ კურიკულუმებში გარკვეულწილად ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები იდეების დონეზე, გასაუბრებისას კათედრის წევრები აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალბების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს.

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რამოდენიმე წლია ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და აქედან გამომდინარე, უცხოური ენის კათედრა მუშაობის პროცესს სისტემატიურად ახორციელებს კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. პედაგოგეთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ასეთი სტილის მუშაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრა ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ დავალებებს (მაგ: რუსული ენა VIII კლასი - საგაზეთო სტატია თემაზე „ გადავარჩინოთ ცხოველთა სამყარო“და“; ინგლისური ენა VII კლასში - პოსტერი თემაზე „უძველესი ლეგენდის წარმოშობის ისტორია“...). უცხოური ენის კათედრის პედაგოგები მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს აქტიურად რთავენ სასწავლო პროცესში. ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის“ შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგალითად, ინგლისური ენის IX კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხია „ პოსტერის პრეზენტაცია სასტუმროსთვის მომსახურე პერსონალი-რობოტის წარსადგენად“, სადაც მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც “მაგალითი შედარებისთვის” პრეზენტაციის მახასიათებლები. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.
სკოლაში მოქმედებს საგნობრივი და შემოქმედებით წრეები, მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო კონკურსებში, სხვადასხვა ოლიმპიადებში, საერთაშორისო კონკრსებში, ახორციელებენ პროექტებს.
ყველა საგნის კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. ინტერვიუდან გამოიკვეთა, მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების ფარგლებში, მრავალფეროვანი პროდუქტების შექმნის გამოცდილება. პოსტერები. პლაკატები, მოდელები და სხვა. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ დაგეგმილია სხვადასხვა სასწავლო პროექტები, მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა ორგანიზაციებთან, პროფ - ექსპერიმენტული სამუშაოები. რაც ზრდის მოსწავლეების შინაგან მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი: თემა/თემატური ბლოკები; მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები; საკითხები თუ რესურსები, რომ ჩანს ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. კათედრის მიერ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით სწავლების მიზანში მკაფიოდ ჩანს მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები იქნება შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას მოუწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. აღნიშნულის რეალიზება ასევე იკითხება კათედრის მიერ პროექტების ინიცირების წახალისებისას. სკოლა გეგმავს, რომ 2023 - 2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები აგებული იქნება კონტექსტმაგალითებზე დაყრდნობით, რომელიც უკავშირდება მოსწავლეთა წინარე ცოდნას და აღძრავს მათში საკითხის შესწავლის ინტერესს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**
მათემატიკაში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. თემის შიგნით არის ლოგიკური კავშირები საკითხების სწავლებასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. რაც დასტურდება მასწავლებლების გასაუბრების საფუძველზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს კი ააქტიურებს მოსწავლის შინაგან ძალებს. სასწავლო პროცესის დროს პედაგოგები აღნიშნავენ რომ არიან ფასილიტატორის როლში. ხოლო მოსწავლე თვითონაა აქტიური მკვლევარი და ახალი ცოდნის აღმომჩენი. მაგალითად კომპლექსური დავალებები: „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილი“; „სამომხმარებლო სესხი“ ხელს უწყობს ცოდნის აგებას ისე, რომ მოსწავლე განვითარდეს, როგორც პიროვნებად ასევე ფსიქო - სოციალურად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**
საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც იშვიათად/ფრაგმენტულად მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმში, გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ, სწავლა - სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**
უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აგებულია სტანდარტით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით, თემა ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და ბუნებრივად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, ნაცნობი კონტექსტები იკვეთება ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებშიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**
ხელოვნებასა და მუსიკაში კურიკულუმებსა და მატრიცებში იკვეთება რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში აქტივობები განხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომებით. კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა შესაძლებლობას სწავლება განხორციელდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და ყოველი ახალი ცოდნის შესაძენად პრიორიტეტი გაკეთდება მოსწავლეთა პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**
საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი, .პედაგოგეთან გასაუბრება და წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვა, მოწმობს რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ახლის დაშენებით, უადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ამის დამადასტურებლად, კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**
საბუნებისმეტყველო კურიკულუმებსა და მატრიცებში იკვეთება რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში აქტივობები განხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომებით. კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა შესაძლებლობას სწავლება განხორციელდეს

მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და ყოველი ახალი ცოდნის შესაძენად პრიორიტეტი გაკეთდება მოსწავლეთა პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 (ექვსი) კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში. ამ უნარებზე გამჭოლად მუშაობა საგნის ათვისების განუყოფელი ნაწილია. საბაზო საფეხურზე კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური დავალებები მოიცავს რა საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. ასევეა კომპლექსური ბუნების დავალებების გასიტყვებისას სწავლის სწავლაზე მხარდაჭერა რეფლექსიის სახითაა შესაძლებელი. წარმოდგენილ მასალებში სწავლის სწავლა აისახება მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში; შეფასების მექნიზმებში, იქნება ეს თანატოლთა შეფასება, თუ თვითშეფასების რუბრიკები. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სწავლის - სწავლაზე აქცენტების დასმა საბაზო საფეხურის მასწავლებელთა პრაქტიკის ნაწილია.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა - სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. მაგალითად მათემატიკის კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებები „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილი“; „სამომხმარებლო სესხი“ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა. (ექვსი კომპონენტური უნარი) მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები, და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. ასევე გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ შესრულებულ დავალებაზე მოსწავლეები საუბრობენ: - რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რას შეცვლიდა კეთების პროცესში და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

სკოლაში, სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის -სწავლაზე; სწავლა - სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

უცხო ენებში წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მაგრამ მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს უსვავენ მეტაკოგნიტურ კითხვებს და ხელს უწყობენ მოსწავლეების რეფლექსიას.

სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ლაპარაკის და წერის თვითშეფასების რუბრიკები და ლაპარაკის და წერის სტრატეგიებზე სამუშაო რესურსები. ამას გარდა, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ მაგალითად, სწავლის

წინმსწრები და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ყველა საგანში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების, შეფასების რუბრიკებისა და ინტერვიუს გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა: კურიკულუმის განხორციელების პროცესში ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე (რეფლექსიები საკუთარი სწავლის პროცესის, გამოყენებული სწავლის სტრატეგიების).
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მონათხრობით, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად, კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები და მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ჩანს. სადაც, ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინსტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის პრაქტიკა ჩანს პროექტულ სწავლებაში. მათში მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მოსწავლეთა მიერ შექმნილი და მტკიცებულებად წარმოდგენილი რესურსები კი წარმოადგენს მოსწავლის მიერ მოძიებულ, გადამუშავებულ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზის დემონსტრირებას.
კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კომპლექსური ტიპის დავალებეები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. რისი მაგალითებიცაა კომპლექსური დავალებები: „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილი“ და „სამომხმარებლო სესხი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად, ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რადგან კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას.

სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის VIII კლასის დავალება „შექმენი პოსტერი ბულინგის პრევენციის შესახებ. პოსტერი წარმოადგინე კლასის წინაშე“ და რუსული ენის VII კლასის დავალება “გაითამაშე მეწყვილესთან ერთად ინტერვიუ შენი გატაცებებისა და თავისუფალი დროის შესახებ.“ გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაკეთდეს ორიენტირება.

საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. ამის დამადასტურებლად, კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, სტრუქტურული ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კომპლექსური ბუნების დავალებები, ყოველი განსაზღვრული თემით არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში დაა ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება სკოლის მიერ ჩანს არაფორმალურ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებში. ასევე სხვადასხვა თემატიკის გაკვეთილებში, სადამრიგებლო საათებსა თუ მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ მასალებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კომპლექსური ტიპის დავალებეები მათემატიკაში „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილი“; „სამომხმარებლო სესხი“ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგებზე დაყრდნობით, რამდენად უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალება გამოცდილების მობილიზებითა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით გამოწვევების გამკლავებას და პრობლემის გადაჭრას.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები, ხდება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. გამომდინარე ნათქვამიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარსა და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. მაგალითად, ინგლისური ენის VII კლასის დავალების პირობა ასეთია “დაწერეთ ბლოგპოსტი, სადაც რჩევას მისცემ მეგობრებს როგორ მოაგვარონ მათ შორის არსებული პრობლემა. აღნიშნე პრობლემის აღმოფხვრის უპირატესობები.“ მოცემული დავალება ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ლოგიკურად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს მოძებნოს გამოსავალი. ეს აქტივობები კი მისგან მოითხოვს სხვადასხვა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

სკოლაში უკვე განხორციელებულია კომპლექსური დავალებები. დაგეგმილი კურიკულუმები, რომლებშიც ჩართულია ახალი კომპლექსური დავალებები, საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში როგორც ხელოვნებაში, ასევე მუსიკაში, თავისთავად გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესის დაფუძნებას წინარე გამოცდილებაზე. ამ მხრივ, სასურველია, კათედრაზე სისტემატურად, საგანგებოდ მოხდეს წინარე გამოცდილების ანალიზი.

კურიკულუმიდან და ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და დაკავშირებისთვის მასწავლებლები გამოიყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ და კოგნიტურ დიაგრამებს (ვენის დიაგრამა- შედარება/ ანალიზისთვის, მოვლენათა ჯაჭვი - მოვლენების ქრონოლოგიურად დასალაგებლად, მიზეზების რუკა - რატომ, რატომ? და სხვა).

ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სადაც არის როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულება, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის ინტეგრირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საკლასო პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველი ანგარიშები.
- კურიკულიუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებები;
- მოსწავლის ნამუშევარები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებული თემები,/თემატური ბლოკები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, ინდიკატორი ამოიცნობა რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათს რეფლექსიებში, რაც განხორციელდება როგორც მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით, ასევე ამ პროცესში მშობლისა და სკოლის ადმინისტრაციის ჩართვით.

წარმოდგენილი კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზრვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად კერძოდ: მე-9 კლასის კომპლექსური დავალება „მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილი“ სადაც ნათლად გამოკვეთეს პედაგოგებმა მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხბსა და საკვანძო კოთხვას შორის კონტექსტთან კავშირში.

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის. უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კერძო ნიმუში. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მოლოდინები განსაზღვრულია თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყობს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. ამასთანავე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს ( სწავლის მექნიზმს) შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ყველა საგნის კურიკულუმში , სტანდარტით დადგენილი სავალდებულო თემის შესწავლა ხდება ყველა სამიზნე ცნების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებით რაც მიმდინარეობს თემის შესაბამისი საკითხების დამუშავებით. საკითხების დასამუშავებლად მეტწილად შერჩეულია კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილია ასევე საკითხთა კლასტერი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

მოსწავლის შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის საბაზო საფეხურზე კათედრა სამომავლოდ გეგმავს სხვადასხვა სახის კვლევებს, მათ შორის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებიდან პირველ მოდელს, რომელსაც განახორციელებს ხარისხის მართვის შიდა ჯგუფთან. ასევე ფიქრობენ, რომ მოსწავლეთა საჭიროებების გამოსარკვევად, განახორციელონ მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირებული დავალებები. კათედრის ხედვათაგან ცხადი ხდება, რომ მდგრადი შედეგების მისაღწევად მას ესაჭიროება მუდმივი მონიტორინგი, თვითრეფლექსია და პროფესიულ განვითარებაზე აქტიური მუშაობა.

წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ კითხვას რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული, კათედრას დამატებითი საგნობრივი კონტექსტები აქვს შერჩეული კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის, რაც გამოიკვეთა ინტერვიურების დროს . კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილ სასწავლო პროცესში, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ნაწილი მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ეს ასახულია საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკაში. გასაუბრებისას კი გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის აუცილებლობას).

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც ( ამას თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს) და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ,აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ
ყველა საგნის კურიკულუმში ჩანს, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას მთავარი ამოსავალი არის მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დიდ ყურადღებას დაუთმობენ მოსწავლის პიროვნულ, სოციო - ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას. ამ მიზნით განხორციელდება შესაბამისი აქტივობების დაგეგმა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწა.
განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას საბაზო საფეხურზე მასწავლებლები იაზრებენ და საზღვრავენ, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამდენად, ისინი კომპლექსური დავალების განხორციელებებისას იყენებენ რა ზეპირ განმავითარებელ შეფასებას სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით, მომავალში გეგმავენ მეტი აქცენტი გააკეთონ მოსწავლეთა იდეების მხარდაჭერაზე. ფაქტია, რომ კათედრას უხვად გააჩნია და დამატებითაც გეგმავს სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკების შექმნას, თუმცა კურიკულუმის ჩარჩოში ჩადებული კომპლექსური დავალებების იდეები ცხადყოფს, რომ ისინი ასევე მიმართავენ კომპლექსური დავალებისათვის განსაზღვრულ განმავითარებელი შეფასებას, რომელიც მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას, დაინახოს საკუთარი პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარები, რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია.

მასწავლებლებლები აღნიშნავენ, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასების მექანიზმად, შედეგების დიაგნოსტირებასა და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში, რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებულია შეფასების ტიპებზე და ფორმებზე, შეფასების ჰოლისტურობაზე, საბაზო საფეხურზე შეფასების რუბრიკა არის შემუშავებული, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი.

სკოლის მიერ წამოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. საბაზო საფეხურზე წაროდგენილია ინგლისური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები. იქ მკაფიოდ იკითხება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ორივე ტიპის შეფასების მიზნები, ამოცანები, კრიტერიუმები მათი შეფასების ფორმები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. ასევე, ინტერვიუს შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა მიმართულების ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.
სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურითვის თემების მიხედვით შედგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდა და სპორტში განმავითარებელი შეფასებად აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.
წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება მოსწავლეების ცოდნის შეფასებაზე, თუმცა ინტერვიუში გამოთქვეს მზაობა მოხდეს რუბრიკების დახვეწა და კრიტერიუმებში ფუნქციური უნარების (მაგ: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და სხვა) გათვალისწინება. ორიენტაცია მოხდება ცოდნასთან ერთად, სწავლის პროცესის გაანალიზებაზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა საბაზო საფეხურზე საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით შეფასების მეორე მოდელის პრაქტიკის დანერგვას. იგი გეგმავს, რომ მოსწავლეთათვის კვლავ მოხდება არსებული თუ შემდგომში შესაქმნელი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გაცნობა–გააზრება, რათა შეფასების სისტემა მათთვის იყოს გამჭვირვალე, სანდო და სამართლიანობაზე დაფუძნებული.
მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას.
კათედრების წევრები აღნიშნავენ , მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის  დახვეწა, კიდევ ახალი რუბრიკების შექმნა შერჩეული თემების მიხედვით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს   საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას,  იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.
წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს- შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს . გაწერილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმის აღწერილობა, რაც შეფასებას ხდის  ვალიდურს, სამართლიანს და ობიექტურს.  ინტერვიუს დროს გამოიკვეთა- მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა და იგეგმება რუბრიკების შექმნა სხვადასხვა თემების შესაბამისად, ასევე  არსებულის განახლება და დახვეწა. პროცესში მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკები გაზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან და მშობლებთან, რაც კიდევ უფრო გაზრდის შეფასების გამჭვირვალობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი სკოლას არ გააჩნია ამ ეტაპზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი მასწავლებლების ურთიერთდაკვირვებით, კათედრაზე  შეფასების ინსტრუმენტების განხილვით და ანალიზით, რითიც ხდება შესაბამისობის დადგენა, შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. მომდევნო სასწავლო წელს კათედრა შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს.
ინტერვიუდან ისახება, რომ იგეგმება და არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტის შემუშავების მზაობა.
როგორც საერთოდ სკოლა, ისე საბაზო საფეხურზე  საგნობრივი შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას  ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას.  მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებლებს გააჩნიათ  შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა, რის საფუძველზედაც გეგმავენ  შეიმუშაონ მეთოდოლოგია,  რომელიშიც გათვალისწინებული და სავალდებულო იქნება მოსწავლეთა შდეგების ანალიზის განხორციელება. მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების დროს, აგრეთვე თვითშეფასებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებას, საბაზო საფეხურის შედეგების სტატისტიკური ანალიზისათვის.
როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდამჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ  არა მხოლოდ სკოლაში, უმაღლეს განათლებაში, სამუშაო ადგილზე,  არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 სექტემბრის #119(1) ბრძანებით დამტკიცებულია „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის #1 საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**
სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, კერძოდ, შემაჯამებელი სამუშაოების შენახვა და სხვა. მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით (ელ ჟურნალი), პირადი საქმე.
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა საბაზო საფეხურზე საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, აცნობიერებს შეფასებისას მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის საჭიროებას არანაკლებ 3 წლის ვადით.
სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- საკლასო პროექტები
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- კომპლექსური დავალების ბარათები;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია და ა.შ. იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა, ეთიკა).

სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მოწესრიგებული და მიზნობრივი რესურსებით სავსე გარემო; სხვადასხვა საჭიროებანი მანდატურის, ექთნის, დამრიგებლის, მორიგე მასწავლებლებისა და მთლიანად სკოლის კოლექტივის ჩართულობით. საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ მომდევნო სასწავლო წლისათვის დაგეგმილი პროცესები ასევე უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობას, რაც კომპლექსური დავალებების საშუალებითაა შესაძლებელი. იგი იკითხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე,

სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადას ტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმები. საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის წევრები ზრუნავენ თანამშრომლობის განვითარებაზე, როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. აქვთ ღიაობა და მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე,მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ.

სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამები, კლასის საათი, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესში შექმნილ მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის აღნიშნული გარემოს შექმნას , ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორებ, სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

## 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კათედრის მუშაობისას სწავლა.სწავლება ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ისინი აცნობიერებენ, რომ კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება ექნებათ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა/სწავლებაში.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ რომ, სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები „მიუვალ ადგილებამდე მანძილის პოვნე“, „ სამომხმარებლო სესხი“ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

სკოლას შემუშავებული აქვს საბაზო საფეხურზე ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას მისცემს, უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

საგნობრივ კათედრებზე ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს, ჩაერთონ სხვადასხვა შემოქმედებითსა და შემეცნებით პროექტებში, ხელი შეეწყოს ფორმალური და არაფორმალურ განათლების მიღებას, განხორციელდეს მეტი კომპლექსური დავალება, ჩატარდეს კვლევები მოსწავლეთა მიღწევების გაანალიზებისთვის

ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს და, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

გამოიკვეთა, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრორმლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლათფორმად მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. საბაზო საფეხურზე კათედრას გააჩნია საუკეთესო პრაქტიკა მათმა წევრებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, დაგეგმონ ინტედგრირებული გაკვეთილები და ერთობლივად მოაწყონ სხვადასხვა ღონისძიებები თუ მრავალფეროვანი აქტივობები. კათედრა ფიქრობს, რომ მოქმედი პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი, ასევე ,,კრიტიკული მეგობრის '' ინსტიუტი, რომელზედაც ხდება აზრთა გაცვლა-გაზიარება თუ რეკომენდაციების გათვალისწინება, ქმნის მიმღებლობით და პოზიტიურ გარემოს. გარდა ამისა სკოლის დირექცია მაქსიმალურად მხარს უჭერს თითოეული პედაგოგის პროფესიულ განვითარებას, უზრუნველყოფს ფორმალური და არაფორმალური აქტივობების წარმატებით განხორციელებას, სასკოლო საზოგადოებას აწვდის დროულ ინფორმაციას, საჭირო რესურსებს. აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, როდესაც აწყობს შეხვედრებს მშობლებთან ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის მიზნით. ეს ყოველივე თანამშრომლობითი კულტურის მაჩვენებელია.

სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის წევრების ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

საგნობრივი კათედრების წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. სკოლაში არის კათედრათაშორისი თანამშრომლობის კულტურა, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები.

სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი, „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი, კათედრებზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებასა და რესურსებს, აწყობს შეხვედრებს მშობლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით, დირექცია ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლაში დამკვიდრებულია გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებული მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და მომავალშიც სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე.დასტურდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი, სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას საბაზო საფეხურზე გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერსებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე, რის დასტურადაც მათ მოჰყავთ სკოლაში მოხატული დერეფნები, იატაკი, კედლებზე გაკრული მხიარული და სახალისო ნამუშევრები და სხვა გარემოებანი.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში.

სკოლაში ვიზიტის დროს იგრძნობოდა თანამშრომლებს შორის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული დამოკიდებულება. ჩანს, რომ სკოლას და კათედრებს აქვს ურთიერთ თანამშრომლობითი ურთიერთობები.

კათედრებზე ხდება გამოცდილებისა და თითოეულ ბავშვზე არსებული ინფორმაციის გაზიარება, სკოლის ფოიეში გამოკრულია სკოლის ღვაწლმოსილი ადამიანებისა და წარჩინებული მოსწავლეების ფოტოები, ბავშვების ნამუშევრებითაა გამშვენებული დერეფნებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საკლასო ოთახების კედლები, სკოლა მოსწავლეებს ხელს უწყობს მოსწავლეებს გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, შექმნილია მშვიდი გარემო, რაც მიგვითითებს, რომ სკოლა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. მასწავლებლებმა იგივე სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**V შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურაში სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა;

კათედრაზე პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი ახორციელებს მონიტორინგს სკოლაში შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. რომ იგი არის მექანიზმი, რომლითაც ხორციელდება დაკვირვება არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მიზნით. სკოლაში მუშაობს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რომლის მტკიცებულებად წარმოდგენილია კოლეგასთან ურთიერთდასწრების ფორმა. ბუნებრივია, მასწავლებლები იცნობენ ამ მიმართულებით მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს. მნისვნელოვანია ისიც, რომ სკოლაში კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოზე ხდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა შდეგების ანალიზი წინასწარ განსაზღვრული და შემუშავებული ინსტრუმენტების გამოყენებით. კათედრას განსაზღვრული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტთაგან პირველი მოდელი, რომელსაც ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად გეგმავს, რომ განახორციელოს ოქტომბრისა და მაისის თვეებში. შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას დანახული აქვს ობიექტური სურათი, რის გამოც კვლევის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს ეტაპობრივად გააუმჯობესოს მეთოდოლოგია.

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. თუმცა კონკრეტულად ეს პროცედურა როგორ ხორციელდება არა აქვთ გაწერილი. მათემატიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ ინტენსიურად ითანამშრომლებენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. მიაწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

კათედრების წევრები თანხმდებიან, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. კათედრა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს დამატებით ინსტრუმენტებს სარეკომენდაციო მასალებიდან.

..კურიკულუმის მონიტორინგი დაგეგმილია უმოკლეს დროში და ახალი სასწავლო წლისთვის ექნებათ განახლებული კურიკულუმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. იგი გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აკვირდება სასწავლო პროცესს, რომლის შედეგად ადგენს მოსაწვლეთა და მასწავლებელთა საჭიროებებს, პრობლემურ საკითხებს განიიხილავენ კათედრებზე და შემდეგ აწვდიან კონსტრუქციულ უკუკავშირსპედაგოგს. თუმცა საჭირეობების დადგენის შემდეგ არ ხდება ამ საჭიროებაზე მორგებული შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სამომავლოდ სკოლა ფიქრობს არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა–განახლებას, რომელიც ორიენტირებული იქნება პრობლემის გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე. მათ მიერ „ფორმსში“ წარმოებული გამოკითხვები უზრუნველყოფს მოსწავლეების, მასწავლებლებისა თუ მშობლების მხარდაჭერასა და დახმარებას.

სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებელთა ჩატარებულ გაკვეთილებს. აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებული ხარვეზებს და ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს . მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეხმარება მათ გამოიკვეთოს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასკოლო სასწავო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კათედრები პერიოდულად ახორციელებენ მონიტორინგს, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზე და არა ხარვეზების მარკირებაზე. ზეპირი განმავითარებელი უკუკავშირი მოიაზრებს მოსწავლეთა წახალისებას და კონსტრუქციული რჩევების მიცემას.

..სასწავლო პროცესისი მონიტორინგი დაიწყება ახალ სასწავლო წელს, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით და შესაბამისი ინსტრუმენტებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

საბაზო საფეხურზე კათედრა აცნობიერებს, რომ სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის საჭირო ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოებამ შეიმუშაოს შეფასების ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც პასუხებს გასცემს კვლევით კითხვებსა და დასკვნებს მოქმედებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და შეფასების ჯგუფი ახდენს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად გეგმავენ კვლევითი კითხვარის შექმნას, რომლის ანალიზის შედეგებს ასახავენ სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.
მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
იმისათვის, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმები იყოს უფრო დახვეწილი, ხდება კურიკულუმების ვერიფიკაცია. გამოვლენილი სირთულეების გაანალიზება. საბაზო საფეხურის კლასების მასწავლებლები კათედრაზე შევხედრების დროს აკეთებენ პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.

..კურიკულუმის მონიტორინგი და შესაბამისი შეფასება განხორციელდება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით და მშობლების აქტიური ჩართვით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- კათედრის ოქმები
- საგნის მეთოდოლოგიური ჩარჩო,
- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი წყაროები. კერძოდ, მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელი, კლასის დამრიგებლები, რომელთა გათვალისწინებით მომზადდება რეკომენდაციები. აღნიშნულის პრაქტიკული გამოცდილება დასტურდება სხვადასხვა რგოლის მუშაობის ოქმებსა და კათდრასთან შეხვედრისას. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ხშირად იყენებენ განხორციელებული აქტივობების შეფასების რუბრიკებს, რომლებსაც ავსებენ მოსწავლეები. ვერბალური უკუკავშირიც იძლევა საშუალებას, განისაზღვროს, თუ რამდენად მოერგება მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს განხორცილებული აქტივობა.

მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას გვაძლევს განმავითარებელი შეფასება, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებს არა აქვთ, ძირითადად ზეპირი შეფასებით სარგებლობენ, ვერბალურ უკუკავშირს ახდენენ. ხშირად სვამენ კითხვებს, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვაალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები და შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით.

მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით. უკვე შექმნილი სანიმუშო განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელ და გამანავითარებელ შეფასების რუბრიკებს, შექმნიან და განახორციელებენ თვითშეფასების რუბრიკებს და ასევე აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას.

სკოლა საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის განმავითარებელი შეფასებისას, ეყრდნობიან საგნის საფეხურის მისაღწევ შედეგებს, პიროვნულ მახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას... თუმცა .დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სრულყოფილი ინფორმაციისთვის იგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, კერძოდ მშობლებთან გასაუბრებას თუ მოსწავლეთა ინტერესის სფეროს დადგენას.

პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. და აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.**

თვითშეფასებითა და სკოლაში ვიზიტისას გაირკვა, რომ კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს, როგორებიცაა: კათედრებზე საკითხის ზეპირსიტყვიერი განხილვა, კომუნიკაცია მშობლებსა და მოსწავლეებთან. ასევე ხორცილედება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს.

საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრა იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს . თუმცა ამის სისტემური ხასიათი არა აქვს.

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლები გეგმავენ უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

კათედრაზე პედაგოგები აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. მათი აზრით, შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომლებიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის ეფექტურად შეფასების მიზნით. სკოლა ითვალისწინებს არსებულ გარემოს, კერძოდ, რელიგიას, კულტურას, ეროვნებას, სოციალ ფონს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის შედეგებზე.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები: „მიუწვდეომელ ადგილამდე მანძილის გაზომვა“, „სამომხმარებლო სესხი“ მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი კონტექსტიდან მოსწავლის შედეგის შეფასებას, თუმცა როგორ არ კონკრეტდება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.
კათედრებს გააზრებული აქვს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს. სკოლას აქვს მზაობა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიულ მხარდაჭერთა ჯგუფის ოქმი;
- კვლევა შეფასებასთან დაკავშირებით;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

**V შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

ფაქტია, რომ სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. სკოლას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც, სკოლის აზრით, ასახავს პრიორიტეტებსა და მოქმედების არეალს. მასში გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. გეგმავს, რომ არსებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოობის მიერ.
პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა რომ მომდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში ? კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები.
საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.
გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე უცხო ენების კათედრას არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი.
სკოლაში ჩატარდა სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ქოუჩინგი, რომლის მიზანი იყო 2023 - 2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნა, შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა და შერჩევა, სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩევა სკოლის დონეზე.

ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იზიარებდნენ ქოუჩების მითითებებს და გეგმავდნენ სასწავლო პროცესში. მხარდაჭერ ჯგუფთან ერთად მიმდინარეობს იმ კურიკულუმების გადასინჯვა-განახლება, რაზეც საბაზო საფეხურზე უცხოური ენის კათედრამ იმუშავა. თუმცა კურიკულუმზე მუშაობა გაგრძელდება 2023-24 სასწავლო წლის დაწყებამდე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

საგნობრივი კათედრები გეგმავს, კურიკულუმის განვითარების პროცესში დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ამ ეტაპზე 2023 - 2024 სასწავლო წლის კურიკულუმების მომზადებაში საგნობრივი ექსპერტები მხარს უჭერდნენ, შესაბამის ვადაში დამტკიცდება ახალი კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს სრულყოფილი ვერსია, რომელშიც გაწერილი იქნება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ფარავენ ერთი თემის ფარგლებში ყველა ცნებას და მიეთითება საჭირო რესურსები კონტექსტმაგალითებით.

მუშავდება კურიკულუმის ახალი ვერსია, რომელიც დეეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. საბაზო საფეხურის მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, შედეგები

უცხო ენებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკლუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, თუმცა ნაკლებადაა გათვალისწინებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ წლევანდელი სასკოლო კურიკულუმი შარშანდელთან შედარებით უფრო გამართული დოკუმენტია, რის გამოცდილებაც ქოუჩინგის პროცესში შეიძინეს და სასწავლო წლის დაწყებამდე სრულ შესაბამისობაში მოიყვანენ მოთხოვნებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო.
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  - v **შეესაბამება**
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)** | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | **V შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სასწავლო მიზნები, განმსაზღვრელი შეფასება, განმავითარებელი შეფასება და სადიაგნოსტიკო შეფასება. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება იკითხება სამეურვეო საბჭოსადმი წარდგენილ სხდომის ოქმში, სადაც ხაზგასმითაა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო სასწავლო პროექტები. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებისათვის მკაფიო გახდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას მისი სრულყოფისა თუ გაუმჯობესებისათვის საჭიროა სკოლის მიერ განსაზღვრულ მისიაზე, ხედვასა და ფილოსოფიაზე, სამოქმედო გეგმასა თუ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე ორიენტირება, რაც სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას უზრუნველყოფს.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.
მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავს საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე, მასწავლებელთა ჩართულობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მშობელთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა პრიორიტეტებს ,რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად. სასწავლო წლის დასრულებისას საშუალო საფეხურზე კათედრა განიხილავს მიღწეულ შედეგს ,განიხილავს, რა არის გასაუმჯობესებელი და გამოსასწორებელი შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. კათედრაზე მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე. სასკოლო კურიკულუმის მიღწევის დონე საშუალო საფეხურზე ფასდება კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებელი წერების ანალიზით გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. კომპლექსური დავალება: მიუვალ წერტილებამდე მანძილის გამოთვლა, სამომხმარებლო სესხი (მიმდევრობა)
როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა, კათედრა მუშაობს და განიხილავს კურიკულუმის შემუშავების იმ მეთოდებს, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები; კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები, პირველი და მეორე უცხო ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური დავალებების სახით, შეფასების ინსტრუმენტები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში.
სკოლის ავტორიზაციის განაცხადიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სკოლა ჩართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების გააზრების პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესი დაწყებულია და ჩანს მისი ცალკეული ელმენტები: საგნობრივი კურიკულუმები აგებულია ახალი თაობის ესგ მოთხოვნების შესაბამისად, არსებობს მშობელთა ბარათის ცალკეული ნიმუშები, არსებობს საერთო სივრცე სოციალურ ქსელებში, გამოყენებულია ელექტრონული ჟურნალი, გამოთქმულია მზაობა, რომ ჩატარდეს სასკოლო წერები მოსწავლეთა დიაგნოსტირებისთვის, რათა გამოვლინდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები დიფერენცირებული მიდგომების განსახორციელებლად.
**სასურველია**, შემუშავდეს ერთიანი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, რომელიც სასკოლო საზოგადოების არა მხოლოდ ინფორმირებულობას უზრუნველყოფს, არამედ - უკუკავშირის შესაძლებლობასა და ინტერესების, შეხედულებების, პრიორიტეტების გათვალისწინებასა და დანერგვას კურუკულუმში.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 ოქტომბრის N153 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის „კურუკულიუმის განვითარების მეთოდოლოგია“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც უშუალოდ ასახულია კათედრებზე კურიკულუმში. წარმოდგენილია ინდივიდუალური ხედვა, რაც იკითხება მასწავლებელთა მიერ განსაზღვრულ საგნის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, რომელშიც გათვალისწინებულია მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. საშუალო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალების შერჩევისას გათვალისწინებულია ჩატარებული საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი. თუმცა მის შემდგომი დახვეწის საჭიროებას ხედავს სკოლა. არაფორმალური განათლების კომპონენტში კი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება ამოიცნობა პროექტებში: როგორებიცაა: კონფერენციის ინიცირება „მედიაწიგნიერების“ შესახებ, ასევე ცოდნის დღისა და ტოლერანტობის დღის აღნიშვნა. აქვე იკითხება ისგ-ს გეგმის შემუშავებისა და განხორციელების გზა, რომლითაც ნათელი ხდება, რომ მისი შემუშავების პროცესში ჩართულია მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი და სპეც. მასწავლებელი.

პედაგოგები აღნიშნავენ რომ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშავეს თანამშრომლობითი პრინციპით. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ წინა წლის შეგროვებული ინფორმაციას მიხედვით გამოკვეთენ პრობლემები და მისი გადაჭრისთვის დასახული გზები კურიკულუმში გაითვალისწინეს მოსწავლეთა მიღწევების ასამაღლებლად. საგნობრივ კურიკულუმის შექმნისას ითვალისწინებენ დიფერებცირებულ მიდგომებს მათ შორის ისგ-ს სახით, თემატურ კონტექსტები მოსწავლეთათვის აქტუალურ საკითხებს. კურიკულუმში ასახულია კომპლექსური ბუნების დავალებები . კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეებს პროდუქტის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის საშუალებას აძლევს, ასევე პროექტებში ფუნქციების განაწილება ხდება შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამის დასტურია კომპლექსური დავალება: მიუვალ წერტილებამდე მანძილის გამოთვლა, სამომხმარებლო სესხი (მიმდევრობა) .

გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ გაზარდონ თანამშრომლობა მოსწავლეებთან, სკოლის თვითმმართველობასთან, მშობლებთან. შეიმუშვებენ კითხვარის ფორმებს, რათა სასკოლო საზოგადოების წევრებმა გამოთქვან აზრი და განსაზღვრონ თავიანთი როლი კურიკულუმის განხორციელების პროცესში.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სკოლა გეგმავს, ასახოს კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლა გეგმავს გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის შეჯამებას. მოცემულ ანალიზზე დაყრდნობით სკოლა განახორციელებს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებას, რომელიც შემდგომ სასკოლო საზოგადოებაში განიხილება და გაზიარდება. როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა უცხოური ენების მასწავლებლები გამოიყენებენ მშობლებთან ჩართულობისათვის ე.წ ,,მშობლის ბარათებს“ რაც თავის თავად გულისხმობს მშობლებისგან და სხვა დაინტერესებული პირისგან წამოსულ უკუკავშირების მოსმენას და გაზიარებას. შესაძლოა დავასკვნათ, რომ *წარმოდგენილი კურიკულუმები* ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, რაც გულისხმობს იმას, რომ მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები. მაგლითად სკოლას წარმოდგენილი აქვს პირველი და მეორე უცხო ენების

კურიკულუმის ჩარჩო და შექმნილი აქვს ახალი სასწავლო წლისთვის უცხო ენის კურიკულუმი საშუალო საფეხურისთვის. მასში ასახული წინა წლის/წლების გამოცდილება და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.
ავტორიზაციის განაცხადში აღნიშნულია, რომ სკოლაში მუშაობს საგნობრივი წრეები, იქმნება პროექტები, კომპლექსური დავალებები... ეწყობა საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტების პრეზენტაციები სკოლასა და ინტერნეტ სივრცეში, და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ჩართულია. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას გარკვეულწილად გამოვლინდეს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, თუმცა არ არსებობს ინსტრუმენტი, რომლითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა გამოვლენა და მისი გათვლისწინება კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ პროცესს შეიძლება ხელი შეუწყოს კათედრებისა და სკოლის ადმინისტრაციის ერთობლივმა მუშაობამ ამ მიმართლებით, კერძოდ, კითხვარებით, ერთობლივი ანალიზით, მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ წარმოდგენილ და მიზნობრივად დახვეწაზე ორიენტირებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებებები, ცნებები, თემები, თემატური ბლოკები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. სკოლას მნიშვნელოვანად აქვს განსაზრვრული, რომ პროცესებში კანონის შესაბამისად მონაწილეობდეს სკოლის დირექტორი. ხოლო ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებით სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით 2023–2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის შემუშავებული კურიკულუმი დაამტკიცოს პედაგოგიურმა საბჭომ. კათედრა გეგმავს კვლავ გამოიყენოს მშობელთათვის კომპლექსური დავალებების ბარათების გაზიარებისა და მათი უკუკავშირის გათვალისწინების პრაქტიკა.
პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო წლის ბოლოს პედადოგთა ჩართულობით საშუალო საფეხურზე კათედრაზე გასული წლის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირისა და მასწავლებლების მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე გეგმავენ მომავალი წლის კურიკულუმებს. სკოლას აქვს უკვე შემუშავებული საშუალო საფეხურის საგნის/საგნების კურიკულუმები. მასწავლებლები გეგმავენ რომ კურიკულუმები წლის დასაწყისში გააცნონ მშობლებს, მშობელთა კრებებზე. პრდაგოგებმა აღნიშნეს რომ ზაფხულის პერიოდში მოხდება კურიკულუმების დახვეწა, შევსება კომპლექსური დავალებებით
სასკოლო კურიკულუმი კათედრაზე ძირითადად მუშავდება მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. მაგალითად სკოლის მიერ წარმოდგენილია საკუთარ თემზე მორგებული პირველი და მეორე უცხო ენის საგნობრივი კურიკულუმი საშუალო საფეხურის ყველა კლასისთვის ,რომელშიც დაგეგმილია მომდევნო სასწავლო წლისთვის გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელი შუალედური მიზნები. როგორც გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე შეიტანეს ცვლილებები. პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურა, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები, მოსწვალის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვას კურიკულუმში. დოკუმენტებში და ასევე, გასაუბრებისას ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან).

ავტორიზაციის განაცხადში არნიშნულია, რომ სკოლაში კურიკულუმის შედგენაში ძირითადად მონაწილეობენ მასწავლებელები, ხოლო დირექცია ფასილიტაციას უწევს პროცესს, აწვდის რესურსებს, ხდება ნამუშევრების, შედეგების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. არაა მშობლებთან კავშირის უფრო სისტემატიური და ინტენსიური მექანიზმი, კათედრის წევრთა ან სხვადასხვა კათედრებს შორის ერთობლივი მუშაობის სივრცეები, თითოეული ჯგუფიდან უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, რათა სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესი და დამოკიდებულებები იქნას გათვალისწინებული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმებით, სამეურვეო საბჭოს ოქმითა და საგნობრივი კათედრის ოქმებით. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება და მშობელთათვის გასაგზავნი კომპლექსური დავალების ბარათები. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელთა მიერ ხორციელდება მშობელთათვის ინფორმაციის დეტალურად მიწოდება მშობელთა ბარათების მიწოდებისა და უკუკავშირის გზით. სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს ასევე უზიარებენ არამარტო საგნის, კათრედრის ფარგლებში, არამედ სკოლის დონეზე.

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ: მოსწავლეებს და მშობლებს მშობელთა კრებებზე, აცნობენ საგნობრივ ჭრილში დასამუშავებელ თემას, საკითხებს, საკითხთა ტრანსფერის არიალებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, ასევე იმ რესურსთა ჩამონათვალს რაც ხელს შეუწყობს მიზნების მიღწევას. სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი მივა სკოლაში და მოითხოვს მას. მაგ: საგნობრივი პროგრამები, დანართები კომპლექსური დავალებების სახით, სასწავლო რესურსები). შესაძლოა დავასკვნათ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას კურიკულუმის შედგენაში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესი.

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შედგენილია საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმი მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით. შედგენილია საშუალო საფეხურის მე-10 კლასის კურიკულუმი ხელოვნებაში, ხოლო მუსიკაში იგეგმება მისი შემუშავება მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით. დამატებით იგეგმება მშობელთა ბარათების შედგენა, კათედრების შემდგომი მუშაობა შეფასების რუბრუკებსა თუ სადიაგნოსტიკო კვლევების ჩასატარებლად.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის .მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს, რომ შექმნილი კურიკულუმების ( შექმნილია 10-12 კლასის კურიკულუმები ), , დაგეგმილი ფესტივალები , არაფორმალური განათლებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე იღებენ უკუკავშირსაც. თუმცა ამისთვის არ ქვს სკოლას ვებგვერდი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სკოლა აცნობიერებს, რომ საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმი უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ამჯერად საშუალო საფეხურის IX, X და XII კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებულია სავალდებულო ველები: თემა, ტექსტები, რესურსები. მნიშვნელოვანია ის, რომ კათედრა მინიმალისტურად გეგმავს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით იყოს დაფარული. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც კათედრა კლასების მიხედვით გეგმავს კომპლექსური დავალებების განხორციელებას, ჩარჩო ცხრილებში სრულადაა შევსებული თემა, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; სამიზნე ცნება / ქვეცნებები; საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა. გეგმავს სასაწვლო წლის დაწყებამდე, ახლადგამოსული XI კლასისი სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, ამავე კლასის კურიკულუმის ჩარჩოს შექმნას.

კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. დასტურდება მე-10, მე-12 კლასის კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები. თუმცა დასახვეწია კურიკულუმების ჩარჩოები, ძირითადად სწორია, მცირე უზუსტობებია შესასწორებელი მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ზაფხულის პერიოდში დაიხვეწება კურიკულუმები. შეიქმნება მე-11 კლასის კურიკულუმი

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებით, რაც ქმნის წარმოდეგნას, თუ რა მასალებზე დაყრდნობით, რა მეთოდების გამოყენებით აპირებენ საგნის სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლას საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ფარგლებში. ამ ეტაპზე საშუალო საფეხურის მე -11 და მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებული არაა, თუმცა კათედრასთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა რომ სახელმძღვანელოს გრიფირებისთანავე მოხდება კურიკულუმის შევსება, სასწავლო წლის დაწყებამდე. ასევე გამოიკვეთა მე-10 კლასის კურიკულუმების დახვეწის მზაობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საშუალო საფეხურის საგნობრივი პროგრამებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. უმეტეს შემთხვევებში კურიკულუმი სრულყოფილად არის გაწერილი, აღწერილია სამიზნე ცნებები შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების მითითებით, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კერძოდ, ინგლისური ენის X, რუსული ენის XII კლასების კურიკულუმებში, იმ სასწავლო თემების შესაბამისად, რომლებშიც ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალება, არ არის წარმოდგენილი ჩარჩოს სავალდებულო კომპონენტები: ქვეთემები, სასწავლო რესურსები. მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხოური ენების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. კათედრას აქვს მზაობა, უფრო მრავალფეროვანი გახადოს საშუალო საფეხურის კლასების კომპლექსური დავალებები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები.
საშუალო საფეხურზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნებში: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, კომპლექსური დავალებების შერჩევა მოხდა მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილია რამდენმე კომპლექსური დავალება, რაც შუალედური მიზნებია შედეგზე გასასვლელად. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აპირებენ კურიკულუმების გადახედვას და დახვეწას და აქვთ მზაობა, რომ ისინი იყოს მოსწავლეების საჭიროებებზე უფრო მეტად ორიენტირებული და მოსწავლეთა აკდემიური მიღწევების ამაღლების საშუალება.
სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის 10-11-12 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე. . მომდევნო სასწავლო წლისათვის შერჩეული სასწავლო თემები უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლა აცნობიერებს, რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმები უმდა მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. აღნიშნული კონცეპტების დანერგვის მიზნით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავენ საკუთარ პრაქტიკაში გასულ წლებთან შედ არებით მეტად დანერგონ კომპლექსური დავალებებით მუშაობა საშუალო საფეხურზე. მათი აზრით, კომპლექსური დავალებების დანერგვის გარეშე ნაკლებად ხდება სიღრმისეულად გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურება და სამიზნე ცნებებზე გასვლა, ამიტომ ფიქრობენ გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი), მაკრო ცნებების, სამიზნე ცნებებისა და საგნის სტანდარტისა თუ შედეგების დაფარვა უზრუნველყონ კომპლექსური დავალებების განხორციელების გზით.
წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-10 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა“ სამომხმარებლო სესხი“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა. ასევე პროექტი „ მონაცემთა მოპოვება და მათი ანალიზი“
კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. სკოლას აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე ორიენტორების გამოცდილება, 2023-24 სასწ.წლისთვის შემუშავებულ კურიკულუემში ხდება გრძელვადიან მიზნებზე ოროიენტირება, მაგალითად საშუალო საფეხურზე ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნების დაფარვა.

წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საშუალო საფეხურის საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). კათედრის წევრებს აქვთ მზაობა შემდგომ ეტაპზე დაამატონ უფრო მრავალფეროვანი დავალებები.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი დაგეგმილია ესგ–ის შესაბამისი სავალდებულო თემების მიხედვით, სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებისთვის შეტანილია რამდენიმე კომპლექსური დავალება კომპლექსური დავალებების იდეით, კონტექსტ მაგალითით და მაგალითები შდარებისთვის., ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწვლეები გაიუმჯობესებენ ფუნქციურ–კომპონენტურ უნარებს: კრიტიკული აზროვნება , შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა. ასევე დამუშავდება მაკრო ცნება კვლევა და თითოეული თემის შესწავლისას ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი მკვიდრი წრმოდგენებით

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ : გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე ( ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) , სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე (6 უნარი).

ყველა საგნის კურიკულუმი დაგეგმილია ესგ–ის შესაბამისი სავალდებულო თემების მიხედვით, სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებისთვის შეტანილია რამდენიმე კომპლექსური დავალება კომპლექსური დავალებების იდეით, კონტექსტ მაგალითით და მაგალითები შდარებისთვის., ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას მოსწვლეები გაიუმჯობესებენ ფუნქციურ–კომპონენტურ უნარებს: კრიტიკული აზროვნება , შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა. ასევე დამუშავდება მაკრო ცნება კვლევა და თითოეული თემის შესწავლისას ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი მკვიდრი წრმოდგენებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას, რომელშიც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სასწავლო უნარები, სწავლის სტილი და ინტერესები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდასა და ჩართულობას. ასევე მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, მიღწევის დონის, ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებას. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ ეს ყოველივე გააზრებულია და მათი გამოცდილება ფრიად რეალურია დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით.

კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია. დამატები ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. გაგვიზიარეს გამოცდილება კომპლექსური დავალების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტაციის კუთხით.

.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. მოსწავლეებისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება მათ შესაძლებლობებზე და ინტერესებზე მორგებული და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება მოახდინონ კომპლექსური დავალების ადაპტირება, მორგებული სსსმ მოსწავლისათვის.

წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სკოლას აქვს გამოცდილება კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობის. კათედრა აანალიზებს გასული სასწავლო წლის შედეგებს, იყენებს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს: თვითშეფასების კითხვარებს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენად, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსაკვეთად. სსსმ მოსწავლესთან მუშაობენ ინდივიდუალური გეგმის საშუალებით, სკოლა აქტიურად ეცნობა ინკლუზიურ განათლებაში მიმდინარე ცვლილებებს და გამოწვევებს. საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებლებთან კურიკულუმების ადაპტირებისა და ახალი ისგ-ს შემუშავების მიზნით. აქედან გამომდინარე, უცხოური ენის მასწავლებლებს აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე.

საბუნებისეტყველო საგნების კურიკულუმებში მეტნაკლებად იკვეთება მზაობა ინკლუზიური განათლებისა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ისინი მზად არიან დიფერენცირებული სწავლების ელმენტები შემოიტანონ და სასწავლო პროცესი ხელმისაწვდომი იყოს თანაბრად ყველა მოსწავლისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, საგნის პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. საგანში არაა ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე და შესაბამისად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ინდ. გეგმა, თუმცა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმაც გამოთქვე მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის
კურიკულუმებში მეტნაკლებად იკვეთება მზაობა ინკლუზიური განათლებისა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ისინი მზად არიან დიფერენცირებული სწავლების ელმენტები შემოიტანონ და სასწავლო პროცესი ხელმისაწვდომი იყოს თნაბრად ყველა მოსწავლისთვის.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც საშუალო საფეხურზე ქართულში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს მეორე მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელ შეფასებას. სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: პრეზენტაციის წარმართვის, გუნდური მუშაობის, წერითი დავალებების და ა.შ.
პედაგოგებს არა აქვთ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. თუმცა გასაუბრებაზე მათ ისაუბრეს, თუ როგორ შეაფასებდნენ კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას „სამომხმარებლო სესხი“ განმავითარებელი შეფასებით. რამაც ზოგადი წარმოდგენა შექმნა სკოლის ფარგლებში აღნიშნული შეფასების ფორმების წარმოების წესზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შეფასების ორივე ფორმა როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება შუალედურ და ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებს დაწყებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზრვრელი რუბრიკების შექმნა. სექტემბრისთვის შეიქმნება თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეებისათვის უკუკავშირის დაბრუნება ხდება შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, მოსწავლის მიღწევებსა და საფეხურის შედეგების ინდიკატორებს შორის.
უცხოე ენების წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ზოგადი ან კერძო ნიმუშები, თუმცა, სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის ორივე ტიპის რუბრიკების როგორც კერძო, ასევე ზოგადი ნიმუშები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნების მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ავღნიშნავ, რომ შესაძლებელია დავასკვნათ, კათედრას აქვს მზაობა შექმნან განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

სკოლამ წარმოადგინა უცხო ენებში განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

საბუნებისმეტყველო საგნების წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც მასწავლებელმა ისე თავად მოსწავლემ . განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას. შეფასების რუბრიკები მიმართულია გრძელვადიანი მიზნების გააზრებისკენ და შეეცდებიან ღრმად შეეხონ და საკითხთა შესწავლის დროს გათვალისწინებული იყოს მეთოდიკური ორიენტირები: განათლების ხუთივე პსკოლოის მიერ წარმოდგენილია, თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურისათვის., რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. ისინი საჭიროებს დახვეწას, რადგან იყო მცირედი უზუსტობები., რონციპი, ინკლუზიური განათლება,საგანთა შორის ინტეგრაცია და ტექნოლოგიების გამოყენება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლა აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გასათვალისწინებული უნდა იყოს წინარე გამოცდილების ანალიზი. ამისათვის მომავალი სასწავლო წლისათვის ფიქრობენ კომპლექსური დავალებების შეტანამდე დეტალურად მოხდეს კათედრებზე წინა დავალებების ანალიზი და მასზე დაყრდნობით დაიგეგმოს მომდევნო დავალებები. გავითვალისწინებულ იქნას სწავლა-სწავლების პროცესში არსებული და გამოკვეთილი წარმატებული გამოცდილება და გამოწვევები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას საგნობრივი კათედრების შეხვედრისას მასწავლებელთა ზეპირი რეფლექსიებიდან მიიღებენ, ხოლო მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებს ონლაინ Forms - ის კითხვარის საშუალებით მოიკვლევენ და გაითვალისწინებენ. .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში.
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უცხო ენების სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. დაგეგმილი შუალედური მიზნები კი სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. სასურველია, უფრო ნათლად ჩანდეს რომელ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით ხდება კურიკულუმის განვითარება და რამ განაპირობა ცვლილებები წლევანდელ კურიკულუმში. მით უმეტეს მასწავლებლებში არსებობს იმის მზაობა , რომ რეფლექცია და ცვლილებები გახდეს უფრო მიზანმიმართული.
კურიკულუმის შემუშავების დროს, აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია წინარე ცოდნა და მასზე ახალი ცოდნის კონსტრუირება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნის მასწავლებლის ანგარიში;
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;
- შეფასების ინსტრუმენტები
- კურიკულუმი,
- საგნობრივი პროგრამები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლებიოს სამოქმედო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- **v შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2,1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან, რაც მათ შესძენს მიკუთვნებულობისა და ავტონომიურობის განცდას, აუმაღლებს მოტივაციას და გაზრდის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. საშუალო საფეხურზე სწავლა–სწავლება რომ იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ნათლად დასტურდება სკოლაში არსებულ პოზიტიური გარემო შექმნით. კათედრა ცდილობს მოსწავლეებში განავიTაროს 21-ე საუკუნის უნარ–ჩვევები, ამისათვის მოსწავლეებს რთავს მრავალფეროვან აქტივობებში, პროექტებში, სპორტულ, სახელოვნობო და საკლუბო

აქტივობებში; აცნობს ახალ ინფორმაციას; ისინი შემდგომში თავად ამუშავებენ და განიხილავენ სხვადასხვა კონტექსტს; ასრულებენ პრობლემაზე და მათი გადაჭრის გზებზე ორიენტირებულ დავალებებს.

მათემატიკის სასწავლო პროცესი ისეა ორგანიზებული, რომ გამოწვევები დაკავშირებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, ამაღლებს მოტივაციას იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც დასტურდება განხორციელებული კომპლექსური დავალებებით და პროექტებით. კერძოდ კომპლექსური „სამომხმარებლო სესხი“. პროექტი „მონაცემთა მოპოვება და მათი ანალზი“

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი ჩართული იქნან სასწავლო პროცესში,მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. გასაუბრებისას კათედრის წევრები აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალბების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს.

უცხო ენებისპედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა რამოდენიმე წლია ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და აქედან გამომდინარე, უცხოური ენის კათედრა მუშაობის პროცესს სისტემატიურად ახორციელებს კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. პედაგოგეთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ასეთი სტილის მუშაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მოსწავლის მოტივაციის, ჩართულობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უცხოური ენის კათედრა ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ დავალებებს (მაგ: რუსული ენა XII კლასი - პრეზენტაცია თემაზე „ჩემი სამომავლო გეგმები“; ინგლისური ენა X კლასში - ესე თემაზე „მობილური ტელეფონის ტარება სკოლაში“...). უცხოური ენის კათედრის პედაგოგები მრავალფეროვანი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეებს აქტიურად რთავენ სასწავლო პროცესში. ამასთან, საგნების კურიკულუმებში სასკოლო სახლმძღვანელოს, როგორც ძირითადი რესურსის გარდა, წარმოდგენილი დამხმარე რესურსების უმეტესობა და „მაგალითები შედარებისთვის“ შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. მაგალითად, ინგლისური ენის X კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების ძირითადი საკითხია სტატია თემაზე „მშობლიური და უცხო ქვეყნის განათლების სისტემებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება“, სადაც მასწავლებელს შეთავაზებული აქვს როგორც “მაგალითი შედარებისთვის” საგაზეთო სტატიის მახასიათებლები. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ის, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. ინტერვიუდან გამოიკვეთა, მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების ფარგლებში, მრავალფეროვანი პროდუქტების შექმნის გამოცდილება. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით შეირჩა დავალებები, რომლებიც კავშირშია ყოველდღიურობასთან, მათთვის ნაცნობ მოვლენასთან. კვლევის ტიპის სამუშაოები. რაც ზრდის მოსწავლეების შინაგან მოტივაციას და განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას აქტიურ შემოქმედებით პროცესში.

მომავალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმი ხელოვნებაში დამყარებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, რისი დასტურიცაა წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურისთვის ხელოვნებაში. როგორც მუსიკის მასწავლებელმა განაცხადა ინტერვიუში, მუსიკაშიც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავება მესამე თაობის ესგ კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე. ზემოხსენებული ფაქტორები კი იმის საწინდარია, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეები აქტიურ შემოქმედებით საქმიანობაში იქნებიან ჩართულნი და გააქტიურდება მათი შინაგანი ძალები.

ყველა საგნის კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. ინტერვიუდან გამოიკვეთა, მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების ფარგლებში, მრავალფეროვანი პროდუქტების შექმნის გამოცდილება. მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით შეირჩა დავალებები, რომლებიც კავშირშია ყოველდღიურობასთან, მათთვის ნაცნობ მოვლენასთან. კვლევის ტიპის სამუშაოები. რაც ზრდის მოსწავლეების შინაგან მოტივაციას და განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას აქტიურ შემოქმედებით პროცესში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წარმოდგენილ 10- 11- 12 კლასის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია თემებვი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით. თემების წესაბამისად, საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები და სპორტული ღონისძიებები, სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე, იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი. შესაძლებლობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში კათედრაზე კურიკულუმი მეტწილად სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით იყო შედგენილი, რომელშიც იყო შესაძლებლობა მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის კონსტრუირებისა. ამჯერად კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრილი თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, არის საშუალება, ახალი ცოდნა წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირდეს. ამ დროს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ამ ინდიკატორის რეალიზება ასევე იკითხება კათედრის მიერ პროექტების ინიცირების წახალისებისას.

მათემატიკაში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. თემის შიგნით არის ლოგიკური კავშირები საკითხების სწავლავლებასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. რაც დასტურდება მასწავლებლების გასაუბრების საფუძველზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნასა და

გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს კი ააქტიურებს მოსწავლის შინაგან ძალებს. სასწავლო პროცესის დროს პედაგოგები აღნიშნავენ რომ არიან ფასილიტატორის როლში. ხოლო მოსწავლე თვითონაა აქტიური მკვლევარი და ახალი ცოდნის აღმომჩენი. კომპლექსური დავალებები: კომპლექსური „სამომხმარებლო სესხი“. პროექტი „მონაცემთა მოპოვება და მათი ანალზი“ ხელს უწყობს ცოდნის აგებას.

სზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმში კათდრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედრი სასწავლო მიზანი, კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც იშვიათად/ფრაგმენტულად მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმში , რაც გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ სწავლა სწავლება დაეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

უცხო ენების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აგებულია სტანდარტით გათვალისწინებული თემატიკის მიხედვით, თემა ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და ბუნებრივად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, ნაცნობი კონტექსტები იკვეთება ასევე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებშიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან.

კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. წარმოდგენილ მატრიცებში ჩანს , რომ ყოველი ახალი ცოდნის შეძენას წინ უძღვის წინარე ცოდნის გააქტიურება და ამაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში აქტივობები განხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომებით.

მომავალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმი ხელოვნებაში დამყარებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, რისი დასტურიცაა წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურისთვის ხელოვნებაში. როგორც მუსიკის მასწავლებელმა განაცხადა ინტერვიუში, მუსიკაშიც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავება მესამე თაობის ესგ კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე.ზემოხსენებული ფაქტორები კი იმის საწინდარია, რომ სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება დაეფუძნება წინარე გამოცდილებას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებთან გასაუბრება და შექმნილი კურიკულუმების განხილვა, მოწმობს რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით , ახლის დაშენებით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს.

კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. წარმოდგენილ მატრიცებში ჩანს , რომ ყოველი ახალი ცოდნის შეძენას წინ უძღვის წინარე ცოდნის გააქტიურება და ამაზე დაფუძნებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში აქტივობები განხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი 6 კომპონენტური უნარი და მათთან დაკავშირებული კოგნიტური ოპერაციები, არსებით როლს ასრულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ცოდნად გარდაქმნის პროცესში. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, კომპლექსური დავალებების კრიტერიუმების დაფარვის წარმოდგენას – გასიტყვებისას, რაც გულისხმობს სწავლის სწავლაზე მხარდაჭერას რეფლექსიის სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტების დასმა მასწავლებელთა პრაქტიკის ბუნებრივი ნაწილია, რაც სკოლაში ვიზიტისას მკაფიოდ გამოიკვეთა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები.

კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალება „სამომხმარებლო სესხი“ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.( ექვსი კომპონენტური უნარი) მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები, და დავალებებლი უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. ასევე გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ შესრულებულ დავალებაზე მოსწავლეები საუბრობენ: -რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რას შეცვლიდა კეთების პროცესში და ა. შ. რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები.

სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

უცხო ენების წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მაგრამ მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს უსვავენ მეტაკოგნიტურ კითხვებს და ხელს უწყობენ მოსწავლეების რეფლექსიას.

სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ლაპარაკის და წერის თვითშეფასების რუბრიკები და ლაპარაკის და წერის სტრატეგიებზე სამუშაო რესურსები. ამას გარდა, ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ მაგალითად, სწავლის წინმსწრები და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

საბუნებისმეტყველო საგანებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების, შეფასების რუბრიკებისა და ინტერვიუს გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა: კურიკულუმის განხორციელების პროცესში ყურადღება მიექცევა არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. არის ისეთი აქტივობები, რომლის შესრულება მოსწვლეს გზას უხსნის ისეთი სტრატეგიის გამოყენებისკენ, რაც გაუადვილებს სწავლას და ასეთი სტრატეგიები ნათლად იკითხება მატრიცებში მოცემულ აქტივობებში.
მომავალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმი ხელოვნებაში დამყარებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, რისი დასტურიცაა წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურისთვის ხელოვნებაში. როგორც მუსიკის მასწავლებელმა განაცხადა ინტერვიუში, მუსიკაშიც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავება მესამე თაობის ესგ კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე. ზემოხსენებული ფაქტორები კი იმის საწინდარია, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა გაიაზრონ სწავლის სწავლის, ე.წ. მეტაკოგნიციის პრინციპები და სტრატეგიები.
ყველა საგანში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების, შეფასების რუბრიკებისა და ინტერვიუს გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა: კურიკულუმის განხორციელების პროცესში ყურადღება მიექცევა არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. არის ისეთი აქტივობები, რომლის შესრულება მოსწვლეს გზას უხსნის ისეთი სტრატეგიის გამოყენებისკენ, რაც გაუადვილებს სწავლას და ასეთი სტრატეგიები ნათლად იკითხება მატრიცებში მოცემულ აქტივობებში.
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების მონათხრობით, გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სკოლა ეროვნულ სასაწვლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობის აუცილებლობაზე. საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალური აქტივობები ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა ამოიცნობა. კათედრას საშუალო საფეხურზე ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის პრაქტიკად სკოლას გააჩნია პროექტული სწავლებები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები (მაგალიტდ, პროექტ „თეატრის დაარსების“ ფარგლებში) და შესაბამისი აქტივობების განხორციელება, რომელშიც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსები კი წარმოადგენს მოსწავლის მიერ მოძიებულ, გადამუშავებულ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზის დემონსტრირებას.
მათემატიკის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კომპლექსური ტიპის დავალებეები, პროექტები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. კომპლექსური დავალება „სამომხმარებლო სესხი“. პროექტი „მონაცემთა მოპოვება და მათი ანალზი“

სასწავლო პროცესი იქნება ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად ,მომდევნო წლისთვის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინება, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას . ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეარჩევს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ კომპლექსურ დავალებებს და სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ამ მეთოდიკით.

უცხო ენების სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში განხილული/დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ასეთებია მაგალითად, ინგლისური ენის X კლასის დავალება „წარმოიდგინე, რომ დროის მანქანით იმოგზაურე მე-16 საუკუნის ინგლისში: მაგ.,სტუმრობდი სამეფო კარს, გასინჯე კერძები, დაათვალიერე კულტურული დაწესებულებები, გაეცანი განათლების სისტემას. მოამზადე პრეზენტაცია თანაკლასელებისთვის, გაუზიარე შთაბეჭდილებები, გამოხატე შენი დამოკიდებულება-რა მოგეწონა/არ მოგეწონა, შეადარე შენი ქვეყნის 21-ესაუკუნის სიტუაციას; ისაუბრე, რა მსგავსება-განსხვავება აღმოაჩინე მათ შორის“. გარდა ამისა, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

საბუნებისმეტყველო საგნებში შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაკეთდეს ორიენტირება. რაც ნათლად იკითხება წარმოდგენილ მატრიცებში.

მომავალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმი ხელოვნებაში დამყარებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, რისი დასტურიცაა წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურისთვის ხელოვნებაში. როგორც მუსიკის მასწავლებელმა განაცხადა ინტერვიუში, მუსიკაშიც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავება მესამე თაობის ესგ კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე. ზემოხსენებული ფაქტორები კი იმის საწინდარია, რომ სასწავლო პროცესში ნაბიჯები ისე დაიგეგმოს, რომ აქცენტი გაკეთდება სამი ტიპის ცოდნის კონსტრუირებაზე - დეკლარატიულზე, პროცედურულსა და პირობისეულზე.

შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაკეთდეს ორიენტირება. რაც ნათლად იკითხება წარმოდგენილ მატრიცებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. პროცეში ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, არც მოგვითხოვია, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა კომპლექსური დავალებებს .

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართულის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს.

მათემატიკის პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგებზე დაყრდნობით, რამდენად უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალება გამოცდილების მობილიზებითა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით გამოწვევების გამკლავებას და პრობლემის გადაჭრას. კომპლექსური დავალება „სამომხმარებლო სესხი“. პროექტი „მონაცემთა მოპოვება და მათი ანალზი“ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ,რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.შესაბამისად,

უცხო ენების წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილვევი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარსა და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია. ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. მაგალითად, ინგლისური ენის X კლასის დავალების პირობა ასეთია „დაიყავით ორ ჯგუფად და მოაწყვეთ დებატი თემაზე: „უნდა აიკრძალოს თუ არა ვიდეო თამაშები“. წარმოადგინე შენი მოსაზრებები საპირისპირო აზრის მქონე ჯგუფის წინაშე. გამოხატე საკუთარი მოსაზრება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; მოიყვანე სათანადო არგუმენტები და კონრეტული მაგალითები შენი თვალსაზრისის გასამყარებლად“. მოცემული დავალება ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე,

გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ლოგიკურად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს მოძებნოს გამოსავალი. ეს აქტივობები კი მისგან მოითხოვს სხვადასხვა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.
მომავალი სასწავლო წლისთვის შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმი ხელოვნებაში დამყარებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, რისი დასტურიცაა წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურისთვის ხელოვნებაში. როგორც მუსიკის მასწავლებელმა განაცხადა ინტერვიუში, მუსიკაშიც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავება მესამე თაობის ესგ კონსტრუქტივისტულს პრინციპებზე. ზემოხსენებული ფაქტორები კი იმის საწინდარია, რომ ასე დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოსწავლეებს ხელს შეუწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ამასვე შეუწყობს ხელს განმავითრებელი შეფასების რუბრიკების შექმნაც, რისი მზაობაც გამოხატულია სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში.
ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.
კურიკულუმიდან და ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და დაკავშირებისთვის მასწავლებლები გამოიყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ და კოგნიტურ დიაგრამებს. ცოდნის ტრანსფერი ნათლად ჩანს განსახორციელებელ აქტივობებში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საკლასო პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მშობლებთან თანამშრომლობის ამსახველ ანგარიშებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- საგნობრივი კურიკულუმი;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებები;
- მოსწავლის ნამუშევარები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

ქართული ენისა და ლიტარაურის კათედრა საშუალო საფეხურზე აცნობიერბს, რომ SemuSavebuli საგნობრივი კურიკულუმი უნდა ეყრდნობოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. მასში კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, უნდა იკითხებოდეს, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალედებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები. მეორე მხრივ, ამოიცნობოდეს რეალიზებულ კომპლექსურ დავალებებსა და მათს რეფლექსიებში, რაც განხორციელდება როგორც მოსწვალეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით, ასევე ამ პროცესში მშობლისა და სკოლის ამდმინისტრაციის ჩართვით. ამისათვის სკოლა გეგმავს შეიმუშავებს

კომპლექსურ დავალებებზე გათვლილ კურიკულუმებს საშუალო საფეხურის ყველა კლასში. რახეც საუბრობს სასკოლო სასწავლო გეგმაში.

მათემატიკის წარმოდგენილი კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზრვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად კერძოდ: მე-10 კლასის კომპლექსური დავალება „სამომხმარებლო სესხი“ სადაც ნათლად გამოკვეთეს პედაგოგებმა მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხსა და საკვანძო კითხვას შორის კონტექსტთან კავშირში.

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმში კათედრას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის. უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კერძო ნიმუში. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მოლოდინები განსაზღვრულია თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყობს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. ამასთანავე, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს ( სწავლის მექნიზმს) შორის.

ყველა საგნის კურიკულუმში , სტანდარტით დადგენილი სავალდებულო თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების დასამუშავებლად შერჩეულია მეტწილად კომპლექსური დავალებები.სადაც სამიზნე ცნებების გააზრება ხდება მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შექმნილი შეფასების კრიტერიუმებით, რაც მიმართულია თემის შესასწავლად კონკრეტული საკითხის დამუშავებისკენ. ასევე კურიკულუმში ნათლადაა წარმოდგენილი საკითხთა კლასტერები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ესგ–ის შედეგების მისაღწევად სრულად დაიცავენ შეფასების კრიტერიუმების, მკვიდრი წარმოდგენებისა და სამიზნე ცნებების იერარქიულ დამუშავებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მოსწავლის აზროვნების, კოგნიციის განვითარებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. ფსიქო-სოციალური სფერო განსაზღვრავს მოსწავლის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ადამიანებთან ურთიერთობას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. კათედრა ამ თვალსაზრისით ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწვალეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას საშუალო საფეხურზე როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების, პროექტების განხორციელებისას. ასევე მომავალში გეგმავს გამოიკვლიოს და განახორციელოს შედეგების ანალიზი, რომელიც აჩვენებს, რამდენად ეფექტურია და შედეგიანი თითოეული განხორციელებული აქტივობა, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობებს განივითარონ პიროვნული თვისებები. მნიშვნელოვანია, რომ კათედრაზე საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების რეალიზების გზა თავისთავად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას,

მათემატიკაში წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემციურ განვითარებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კომპლექსურ დავალებებზე და პროექტებზე მუშაობის შემდეგ სვამენ ისეთ კითხვას რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მხოლოდ ძირითადი თემებია განსაზღვრული, კათედრას საშუალო საფეხურზე დამატებითი საგნობრივი კონტექსტები შერჩეული აქვს კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ნაწილი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმში , სტანდარტით დადგენილი სავალდებულო თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების დასამუშავებლად შერჩეულია მეტწილად კომპლექსური დავალებები.სადაც სამიზნე ცნებების გააზრება ხდება მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შექმნილი შეფასების კრიტერიუმებით, რაც მიმართულია თემის შესასწავლად კონკრეტული საკითხის დამუშავებისკენ. ასევე კურიკულუმში ნათლადაა წარმოდგენილი საკითხთა კლასტერები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ესგ–ის შედეგების მისაღწევად სრულად დაიცავენ შეფასების კრიტერიუმების, მკვიდრი წარმოდგენებისა და სამიზნე ცნებების იერარქიულ დამუშავებას.

საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტი ხელოვნებაში ცხადყოფს, რომ კომპლექსური ხასიათის ყველა პროექტში გამოყოფილია შესაბამისი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საგნობრივი საკითხი, რომლის გააზრებაც საწინდარია გრძელვადიანი მიზნების მიღწევისა. როგორც მუსიკის მასწავლებელმა განაცხადა ინტერვიუს დროს, იმავე პრინციპებზე იქნება დაფუძნებული საშუალო საფეხურის მუსიკის კურიკულუმიც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუდვილოებს ახალი აქტივობების გააზრებას დაა შესწავლას. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ შეიქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. თუმცა მაგალითისთვის არ იყო წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის დასტურად, წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ეს ასახულია საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკაში. გასაუბრებისას კი გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის აუცილებლობას).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების კურიკულუმში იკვეთება, რომ საგნობრივი კონტექსტების შერჩევისას მთავარი ამოსავალი არის მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დიდ ყურადღებას დაუთმობენ მოსწავლის პიროვნებულ, სოციო - ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას. ამ მიზნით განხორციელდება შეფასების რუბრიკების დახვეწა.

განსახორციელებელი პროექტები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი საფეხურის, კონტექსტების აქტუალობის გათვალისწინებით, რაც დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგოგებთან გასაუბრების შედაეგად ვლინდებადა წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ადასსტურებს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები უზრუნველყოფს ფიზიკური უნარების განვითარებას. მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.

ყველა საგნის კურიკულუმში იკვეთება, რომ საგნობრივი კონტექსტების შერჩევისას მთავარი ამოსავალი არის მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დიდ ყურადღებას დაუთმობენ მოსწავლის პიროვნებულ, სოციო - ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას. ამ მიზნით განხორციელდება შეფასების რუბრიკების დახვეწა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

შეფასების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. ამისათვის წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მეთოდოლოგია თუ რუბრიკები. შერჩეული განმავითარებელი შეფასებათა ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა დააკვირდეს თავის სწავლის პროცესს, რომელიც ეხმარება კოგნიტური უნარების განვითარებაში. საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ინსტრუმენტები (ზეპირი და წერილობითი კომენტარები, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები, რეფლექსია) მოსწავლის ჰოლისტურ შეფასებაზე არის ორიენტირებული, რადგან ფასდება როგორც მოსწავლის ცოდნა, ასევე ხდება მისი სოციალურ-ემოციური მხარდაჭერა. კათედრას ასევე აქვს განსაზღვრული შეიმუშაოს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა, კერძოდ, კომპლექსური დავალებისათვის შემუშავებული განმავითარებელი შეფასება, რომელიც მისცემს შესაძლებლობას დაინახოს მოსწავლე პიროვნული, ფსიქო-სოციალური და აკადემიური უნარების ჭრილში, რაც სკოლაში მხარდამჭერი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველია. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასების მექანიზმად, შედეგების დიაგნოსტირებასა და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში, რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე,მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა(განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. კათედრა შეიმუშავებს სტანდარტის შესაბამის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

სკოლის მიერ წამოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო საფეხურზე არ წარმოუდგენიათ უცხოური ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკები, საბაზო საფეხურზე წაროდგენილია ინგლისური ენის ორივე ტიპის რუბრიკები. იქ მკაფიოდ იკითხება ორივე ტიპის შეფასების მიზნები, ამოცანები, კრიტერიუმები მათი შეფასების ფორმები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. ასევე, ინტერვიუს შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა მიმართულების ( კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი არ არის შეფასების რუბრიკები. თუმცა კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების იდეიდან, კონტექსტ მაგალითებიდან და შედარებისთვის მაგალითებიდანდან ჩანს, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება მოსწავლეების როგორც ცოდნის , ასევე ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებაზე (მაგ: კრიტიკული აზროვნება, სემოქმედებიტობა, თანამშრომლობა და სხვა) . გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგეგმება სასწავლო თემების ფარგლებში ესგ–ის შედეგებისა და სამიზნე ცნებებიზე დაყრდნობით ფორმულირებული კრიტერიუმებით როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი არ არის შეფასების რუბრიკები. თუმცა კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების იდეიდან, კონტექსტ მაგალითებიდან და შედარებისთვის მაგალითებიდანდან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ჩანს, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება მოსწავლეების როგორც ცოდნის , ასევე ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებაზე (მაგ: კრიტიკული აზროვნება, სემოქმედებიტობა, თანამშრომლობა და სხვა) . გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგეგმება სასწავლო თემების ფარგლებში ესგ–ის შედეგებისა და სამიზნე ცნებებიზე დაყრდნობით ფორმულირებული კრიტერიუმებით როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა.
სკოლაში გამოიყენება და მომავალში უფრო სისტემურად შემუშავდება ხვადასხვა სახეობის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს ჰოლისტურად განიხილოს მოსწავლის როგორც კოგნიტური, ასევე ფსიქო-ემოციური განვითარება.
სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურისთვის თემების მიხედვით შედგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუდან ირკვევა, რომ პედაგოგები პრაქტიკაში განმავითარებელი შეფასებად საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სიტყვიერ კომენტარებს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დადასტურებად იგი მოიაზრებს საგანში შეფასების სისტემის შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით შეფასების მეორე მოდელის პრაქტიკის დანერგვას. კათედრაზე ფიქრობენ, რომ მოსწავლეთათვის კვლავ მოხდება არსებული თუ შემდგომში შესაქმნელი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გაცნობა–გააზრება, რათა შეფასების სისტემა მათთვის იყოს გამჭვირვალე, სანდო და სამართლიანობაზე დაფუძნებული.
მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავლების შეფასების რუბრიკებს, მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად შეფასების რუბრიკები თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს და მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე, აკეთებენ თვითშეფასებას.
კათედრის წევრები აღნიშნავენ , მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას.
სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმაში აღნიშნულია, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, კათედრები განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების შედეგებს, სწავლობენ მოსწავლეთა მიღწევების დინამიკას, ახორციელებენ თანმდევ დამატებით სამუშაოებს.
ფიზიკრი აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები ფლობენ შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გამოიკვეთა და კათედრის დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის დახვეწა, თემების მიხედვით ახალი რუბრიკების შექმნა რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

როგორც საერთოდ სკოლა, ისე საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფსების სისტემას. მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა, რის საფუძველზედაც გეგმავენ შეიმუშაონ მეთოდოლოგია, რომელიშიც გათვალისწინებული და სავალდებულო იქნება მოსწავლეთა შდეგების ანალიზის განხორციელება.

მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების დროს, აგრეთვე თვითშეფასებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების შემუშავებას, საბაზო საფეხურის შედეგების სტატისტიკური ანალიზისათვის.

როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება, თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება მუდმივად ხორციელდებოდეს, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ ის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, რაც მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, უმაღლეს განათლებაში, სამუშაო ადგილზე, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმატების მისაღწევად.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი სკოლას არ გააჩნია ამ ეტაპზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი მასწავლებლების ურთიერთდაკვირვებით, კათედრაზე შეფასების ინსტრუმენტების განხილვით და ანალიზით, რითიც ხდება შესაბამისობის დადგენა, შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. მომდევნო სასწავლო წელს კათედრა შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს.

ინტერვიუდან ისახება, რომ იგეგმება და არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტის შემუშავების მზაობა.

სკოლას არ აქვს შეფასების ვერიფიკაციის ოფიციალური სისტემა, თუმცა ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ კლასში მოხდა მოსწავლეთა ნამუშევრების გაანალიზება, შედეგების შეფასება. ასევე სკოლა გეგმავს ვერიფიკაციის ინსტრუმენტის შემუშავებას.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის პედაგოგებთან ინტერვიუც ნათელს ხდის, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები შემდგომში გაიწეროს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგიაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 სექტემბრის #119(1) ბრძანებით დამტკიცებულია „საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის #1 საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. კერძოდ, აცნობიერებს შეფასებისას მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის საჭიროებას არანაკლებ 3 წლის ვადით.
სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, კერძოდ, შემაჯამებელი სამუშაოების შენახვა და სხვა. მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით (ელ ჟურნალი), პირადი საქმე

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, როგორ ახორციელებს შეფასების სიტემის ვერიფიკაციას და ზოგადად სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- საკლასო პროექტები
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- კომპლექსური დავალების ბარათები;
- შეფასების მასალები.

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი მანდატურის, ექთნის, დამრიგებლის, მორიგე მასწავლებლებისა და მთლიანად სკოლის კოლექტივის ჩართულობით. საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ მომდევნო სასწავლო წლისათვის დაგეგმილი პროცესები ასევე უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობას, რაც კომპლექსური დავალებების საშუალებითაა შესაძლებელი. იგი იკითხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე,

სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს , რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმები. საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის წევრები ზრუნავენ თანამშრომლობის განვითარებაზე, როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. აქვთ ღიაობა და მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე,მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ.

სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია სკოლის მისია და ხედვა, რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია და ა.შ. იძლევა იმის თქმის

საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა, ეთიკა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა , საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის. სასკოლო ცხოვრება მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრების მიერ ერთობლივად დაგეგმილი საქმიანობები.

სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამები, კლასის საათი, მუშავდება ინდივიადუალური სასწავლო გეგმები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესში შექმნილ მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კათედრის მუშაობისას სწავლა –სწავლება ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ისინი აცნობიერებენ, რომ კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება ექნებათ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა/სწავლებაში.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ რომ, სკოლაში მოსწავლეთათვის შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალება, „სამომხმარებლო სესხი“ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და გეგმავს სასწავლო პროცესს შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მისცემს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, რაც შექმნის ეფექტური გარემოს მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.

კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს, ჩაერთონ სხვადასხვა შემოქმედებითსა და შემეცნებით პროექტებში, ხელი შეეწყოს ფორმალური და არაფორმალურ განათლების მიღებას, განხორციელდეს მეტი კომპლექსური ხასიათის პროექტი, ჩატარდეს კვლევები მოსწავლეთა მიღწევების გაანალიზებისთვის მესამე თაობის ესგ პრინციპების განვითარების მიმართებით, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს , რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

გამოიკვეთა, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატა კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმებით. იგი გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრორმლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლათფორმად მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. საშუალო საფეხურზე კათედრას გააჩნია საუკეთესო პრაქტიკა, მათმა წევრებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, დაგეგმონ და მოაწყონ სხვადასხვა ღონისძიება და მრავალფეროვანი აქტივობები. კათედრა ფიქრობს, რომ მოქმედი პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი, ასევე ,,კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი, რომელზედაც ხდება აზრთა გაცვლა-გაზიარება თუ რეკომენდაციების გათვალისწინება, ქმნის მიმღებლობით და პოზიტიურ გარემოს. გარდა ამისა სკოლის დირექცია მაქსიმალურად მხარს უჭერს თითოეული პედაგოგის პროფესიულ განვითარებას, უზრუნველყოფს ფორმალური და არაფორმალური აქტივობების წარმატებით განხორციელებას, სასკოლო საზოგადოებას აწვდის დროულ ინფორმაციას, საჭირო რესურსებს. აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, როდესაც აწყობს შეხვედრებს მშობლებთან ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის მიზნით. ეს ყოველივე თანამშრომლობითი კულტურის მაჩვენებელია.

სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის წევრების ურთიერთანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრებთან. თითოეული სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს და აფასებს პროცესებს, განსხვავებულია მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).
კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია. სკოლაში არის კათედრათაშორისი თანამშრომლობის კულტურა, რაზეც მეტყველებს ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები. სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი, „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, კათედრებზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებასა და რესურსებს, აწყობს შეხვედრებს მშობლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით, დირექცია ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. იგივე დაადასტურეს ინტერვიუს დროს.
სკოლაში დამკვიდრებულია გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებული მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და მომავალშიც სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას საშუალო საფეხურზე გააზრებული აქვთ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერსებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე, რაც დადასტურებად მოხატული დერეფნებით, კედლებზე გაკრული მხიარული და სახალისო ნამუშევრებითა და სხვა გარემოებებით მოჰყავთ.
სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი, სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა არამედ მთლიანი სასკოლო საზოგადოების. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ

ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.
პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში.
პედაგოგებთან შეხვედრის დროს იგრძნობოდა თანამშრომლებს შორის პოზიტიური და ურთიერთპატივისცემით განმსჭვალული დამოკიდებულება. ჩანს, რომ სკოლას და კათედრებს აქვს ურთიერთ თანამშრომლობითი ურთიერთობები.
კათედრებზე ხდება გამოცდილებისა და თითოეულ ბავშვზე არსებული ინფორმაციის გაზიარება, სკოლის ფოიეში გამოკრულია სკოლის ღვაწლმოსილი ადამიანებისა და წარჩინებული მოსწავლეების ფოტოები, ბავშვების ნამუშევრებითაა გამშვენებული დერეფნებისა და საკლასო ოთახების კედლები, სკოლა მოსწავლეებს ხელს უწყობს მოსწავლეებს გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, შექმნილია მშვიდი გარემო, რაც მიგვითითებს, რომ სკოლა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. მასწავლებლებმა იგივე დაადასტურეს ინტერვიუს დროს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- საკლასო პროექტები
- შეფასების რუბრიკები.
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**
კათედრაზე პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი ახორციელებს მონიტორინგს სკოლაში შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. რომ იგი არის მექანიზმი, რომლითაც ხორციელდება დაკვირვება არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მიზნით. სკოლაში მუშაობს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რომლის მტკიცებულებად წარმოდგენილია კოლეგასთან ურთიერთდასწრების ფორმა. ბუნებრივია, მასწავლებლები იცნობენ ამ მიმართულებით მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს. მნისვნელოვანია ისიც, რომ სკოლაში კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოზე ხდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა შედეგების ანალიზი წინასწარ განსაზღვრული და შემუშავებული ინსტრუმენტების გამოყენებით. კათედრას განსაზღვრული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტთაგან პირველი მოდელი, რომელსაც ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად გეგმავს, რომ განახორციელოს ოქტომბრისა და მაისის თვეებში. შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტარატურის კათედრას სწორად აქვს დანახული ობიექტური სურათი, რის გამოც კვლევის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს ეტაპობრივად გააუმჯობესოს მეთოდოლოგია.
მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის მასწავლებლები. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრის წევრები, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. თუმცა კონკრეტულად ეს პროცედურა როგორ ხორციელდება არა აქვთ გაწერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მათემატიკის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ ინტენსიურად ითანამშრომლებენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. მიაწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია; სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, თუ რა პრობლემის გადაჭრას ცდილობს კურიკულუმი, რა არის მისი მიზანი, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და როგორ დავრწმუნდებით, რომ კურიკულუმით წარმოებულმა პროცესებმა წარმატებით გადაჭრა პრობლემა;

კათედრის წევრები თანხმდებიან, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. კათედრა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს დამატებით ინსტრუმენტებს სარეკომენდაციო მასალებიდან.

სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმის თანახმად დირექციის მხრიდან მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მონიტორინგი, მასწავებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, არსებობს შეფასების ამსახველი რუბრიკა, თუმცა უმჯობესია პროცესი წარიმართოს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, კერძოდ, გაირკვეს, წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტებით დანერგილი კურიკულუმი მოსწავლის, მასწავლებლისა და სკოლის დონეზე რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად და რამდენად შედეგის მომტანია დაგეგმილი აქტივობები.

სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები , ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი დაგეგმილია უმოკლეს დროში და ახალი სასწავლო წლისთვის ექნებათ განახლებული კურიკულუმები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. იგი გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ მიზნით სკოლას ჰყავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აკვირდება სასწავლო პროცესს, რომლის შედეგად ადგენს მოსაწვლეთა და მასწავლებელთა საჭიროებებს, პრობლემურ საკითხებს განიხილავენ კათედრებზე და შემდეგ აწვდიან კონსტრუქციულ უკუკავშირს პედაგოგს. თუმცა საჭირეობების დადგენის შემდეგ არ ხდება ამ საჭიროებაზე მორგებული შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა . სამომავლოდ სკოლა ფიქრობს არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა–განახლებას, რომელიც ორიენტირებული

იქნება პრობლემის გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე. მათ აზრით, „ფორმსში" წარმოებული გამოკითხვები უზრუნველყოფს მოსწავლეების, მასწავლებლებისა თუ მშობლების მხარდაჭერასა და დახმარებას.
სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებელთა ჩატარებულ გაკვეთილებს. აძლევენ უკუკავშირს პედაგოგებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ადგენენ არსებული ხარვეზებს და ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს . მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეხმარება მათ გამოიკვეთოს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი.
სასკოლო სასწავო გეგმაში, ასევე, პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ-ერთ საჭიროებად. მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.
გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კათედრა პერიოდულად ახორციელებს მონიტორინგს, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებაზე და არა ხარვეზების მარკირებაზე. ხდება სწავლის პროცესზე დაკვირვება და მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენა თვითშეფასების კითხვარების, შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, კონსტრუქციული უკუკავშირი მიაწოდოს მოსწავლეს.
მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოთქმული იქნა მზაობა, შეირჩეს SWOT ანალიზის ინსტრუმენტებიდან სკოლისთვის ოპტიმალური ვერსია, რადგან კვლევის მეთოდოლოგია გამიზნულია სასკოლო საზოგადოების წევრების ურთიერთმხარდაჭერასა და დახმარებაზე.
სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ( თუმცა ამისი ამსახველი დოკუმენტაცია არ იყო ). იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. ამას ისინი განახორციელებენ სადიაგნისტიკო შეფასების ინსტრუმეტის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი არჩეული ინსტრუმენტის გამოყენებით.
სასწავლო პროცესისი მონიტორინგი დაიწყება ახალ სასწავლო წელს, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით და შესაბამისი ინსტრუმენტებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

საშუალო საფეხურზე კათედრა აცნობიერებს, რომ სასწვლო პროცესის მონიტორინგი იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს სკოლის საჭიროებები და სწორად განისაზღვროს წინსვლისთვის საჭირო ნაბიჯები, რომლებიც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალებაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სამომავლოდ სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოებამ შეიმუშაოს შეფასების ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც პასუხებს გასცემს კვლევით კითხვებსა და დასკვნებს მოქმედებისათვის.
მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და შეფასების ჯგუფი ახდენს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ახდენენ ანალიზს რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად გეგმავენ კვლევითი კითხვარის შექმნას, რომლის ანალიზის შედეგებს ასახავენ სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში.
მნიშვნელოვანია, სკოლამ გამოკვეთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში თუ როგორ ესახება მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები, სკოლამ ანალიზზე დაფუძნებით უნდა შეიმუშავოს პრიორიტეტული და სტრატეგიულ ხედვა კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის და ასახოს სამოქმედო გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში.
იმისათვის, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმები იყოს უფრო დახვეწილი, ხდება კურიკულუმების ვერიფიკაცია. გამოვლენილი სირთულეების გაანალიზება. საშუალო საფეხურის კლასების მასწავლებლები კათედრაზე შევხედრების დროს აკეთებენ პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოთქმული იქნა მზაობა, შეირჩეს SWOT ანალიზის ინსტრუმენტებიდან სკოლისთვის ოპტიმალური ვერსია, რადგან კვლევის შედეგების ანალიზი განაპირობებს პრობლემების გადაჭრის გზასა და საშუალებებს.

კურიკულუმის მონიტორინგი და შესაბამისი შეფასება განხორციელდება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით და მშობლების აქტიური ჩართვით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო
- კათედრის ოქმები
- საგნის მეთოდოლოგიური ჩარჩო,
- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

## 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად მკაფიო გახდა, რომ სკოლას დაგეგმილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი წყაროები. კერძოდ, მასწავლებლები, კათედრის ხელმძღვანელი, კლასის დამრიგებლები, რომელთა გათვალისწინებით მომზადდება რეკომენდაციები. აღნიშნულის პრაქტიკული გამოცდილება დასტურდება სხვადასხვა რგოლის მუშაობის ოქმებში. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ხშირად იყენებენ განხორციელებული აქტივობების შეფასების რუბრიკებს, რომლებსაც ავსებენ მოსწავლეები. ვერბალური უკუკავშირიც იძლევა საშუალებას, განისაზღვროს, თუ რამდენად მოერგება მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს განხორციელებული აქტივობა.

)მასწავლებლებმა შეხვედრაზე გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას გვაძლევს განმავითარებელი შეფასება, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, შეფასების რუბრიკები საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებს არა აქვთ, ძირითადად ზეპირი შეფასებით სარგებლობენ, ვერბალურ უკუკავშირს ახდენენ. ხშირად სვამენ კითხვებს, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი? რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვაალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს. სამომავლოდ საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები გეგმავენ შექმნან შეფასების რუბრიკები და შეფასების ფორმას მიეცეს სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სასკოლო სასწავლო გეგმაში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლას აღნიშნული აქვს, რომ მოახდენს პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება მოიცავდეს მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროებს.

მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზრვრელი შეფასებებით. უკვე შექმნილი სანიმუშო განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში პედაგოგები შექმნიან განმსაზღვრელ და გამანავითარებელ შეფასების რუბრიკებს, შექმნიან და განახორციელებენ თვითშეფასების რუბრიკებს და ასევე აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას.

სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევ, რომ სკოლაში გამოყენებულია, მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვაგვარი რუბრიკები. ინტერვიუებმა გამოვლინა სკოლის მზაობა, შეფასების პროცესი ეყრდნობოდეს კიდევ უფრო მრავალფეროვან წყაროებს სრული სურათის მისაღებად, საჭიროებების გამოსაკვეთად და შემდგომი ინტერვენციების დასანერგად.

საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგანში, შეფასება ითვალისწინებს , არამხოლოდ მოსწავლეების ფიზიკურ უნარებს, არამეტ მათ ძლიერი თუ სუსტ მხარეებს, პიროვნულ მ ახასიათებლებს, დამრიგებლებისგან მიღებულ ინფორმაციას...თუმცა .დამადასტურებელი დოკუმენტები არაა.

კურიკულუმის შეფასება განხორციელდება ჰოლისტურად სხვადასხვა მიმართულებებზე დაყრდნობით, როგორიცაა სასწავლო პრინციპები და სხვა მეთოდოლოგიური ორიენტირები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება, იძლევა წარმოდგენას, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. რამეთუ სრულყოფილი ინფორმაციისთვის სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, კერძოდ მშობლებთან გასაუბრებას თუ მოსწავლეთა ინტერესის სფეროს დადგენას.

პედაგოგებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მოსწავლეების შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალ კონტექსტს. აფასებებენ არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო უნარებს. ითვალისწინებენ იმ სოციალურ გარემოს რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგზე.

მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის მართებულობას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები.

განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევ, რომ სკოლაში გამოყენებულია, მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვაგვარი რუბრიკები. ინტერვიუებმა გამოვლინა სკოლის მზაობა, შეფასების პროცესი ხორციელდებოდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით სრული სურათის მისაღებად, საჭიროებების გამოსაკვეთად და შემდგომი ინტერვენციების დასანერგად.
ფიზიკური აღზრდისა დასპორტის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, ხორციელდება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებითწარმოდგენილი იყო განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში სკოლამ გამოთქვა ამისთვის მზაობა ამ პროცესის დახვეწისათვის.
კურიკულუმის შეფასება მოხდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, როგორიცაა ფუნქციურ კომპონენტური უნარები, 21–ე საუკუნის კომპეტენციები და სხვა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

თვითშეფასებითა და სკოლაში ვიზიტისას გაირკვა, რომ კურიკულუმის შეფასების პროცესში სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს, როგორებიცაა: კათედრებზე საკითხის ზეპირსიტყვიერი განხილვა, კომუნიკაცია მშობლებსა და მოსწავლეებთან. ასევე ხორცილედება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს.
გასაუბრებაზე გამოიკვეთა რომ შეფასებისას საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრა იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს . თუმცა ამის სისტემური ხასიათი არა აქვს. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. თუ გვსურს, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაცია, ეს შესაძლებელია საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. შეფასება სხვადასხვა მეთოდით განხორციელდება, როგორიცაა კვლევა, დაკვირვება და სხვა.
შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლები გეგმავენ უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.
სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევ, რომ სკოლაში გამოყენებულია, მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვაგვარი რუბრიკები. ინტერვიუებმა გამოვლინა სკოლის მზაობა, შეფასებისას გამოყენებულ იქნას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები სრული სურათის მისაღებად, საჭიროებების გამოსაკვეთად და შემდგომი ინტერვენციების დასანერგად.
სკოლას აქვს გამოცდილებ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. საგან ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში საშუალო საფეხურზე, არის ამისი მცდელობა და ინტერვიუშიც, პედაგოგებმა , გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით. შესაბამისად 2023 - 2024 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

კათედრაზე პედაგოგები აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. მათი აზრით, შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. შეფასება განხორციელდება , სკოლის მისია ხედვის, მოსწავლეთა საჭიროებების, სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა არსებულ გარემოს, კერძოდ, რელიგიას, კულტურას, ეროვნებას, სოციალ ფონს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის შედეგებზე.

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება: „სამომხმარებლო სესხი"შესაძლებლობას იძლევა შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ შეფასების ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი კონტექსტიდან მოსწავლის შედეგის შეფასებას, თუმცა როგორ არ კონკრეტდება.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. შესაბამისად, კათედრას გააზრებული აქვს, რომ სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს. სკოლას აქვს მზაობა, შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევ, რომ სკოლაში გამოყენებულია, მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვაგვარი რუბრიკები. ინტერვიუებმა გამოვლინა სკოლის მზაობა, შეფასება განხორციელდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით სრული სურათის მისაღებად, საჭიროებების გამოსაკვეთად და შემდგომი ინტერვენციების დასანერგად.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივიდან , იკვეთება, თუ როგორ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.. სასურველია მომავალშიც, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტშიც მოხდეს განმავითარებელ შეფასებაში იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომელის დროსაც მასწავლებელი ეყრდნობა მოსწავლეთა საერთო განვითარების დონეს და შედეგის შეფასებას.. ამ ეტაპზე წარმოდგენილია მხოლოდ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიულ მხარდაჭერთა ჯგუფის ოქმი;
- კვლევა შეფასებასთან დაკავშირებით;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- v **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

ფაქტია, რომ სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლაში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების შედეგებს გამოიყენებს არსებულ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმისთვის, რომ ეს ცვლილებები იყოს შედეგიანი და რეალურად გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი, მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება მოუწევს სკოლაში შექმნილ პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს. სკოლას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც, სკოლის აზრით, ასახავს პრიორიტეტებსა და მოქმედების არეალს. მასში გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. გეგმავს, რომ არსებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ.

პედაგოგებთან გასაუბრებაზე აღინიშნა რომ მომდინარეობს წინა წლის პროცესის შეფასება თუ, რამ იმუშავა კარგად, ცუდად, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში ? კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას დაეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე კათედრას არ აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. სკოლაში ჩატარდა სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ქოუჩინგი, რომლის მიზანი იყო 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის შექმნა, შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა და შერჩევა, სადიაგნოსტიკო შეფასების შერჩევა სკოლის დონეზე. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ იზიარებდნენ ქოუჩების მითითებებს და გეგმავდნენ სასწავლო პროცესში. მხარდაჭერ ჯგუფთან ერთად მიმდინარეობს იმ კურიკულუმების გადასინჯვა-განახლება, რაზეც საშუალო საფეხურზე უცხოური ენის კათედრამ იმუშავა. თუმცა კურიკულუმზე მუშაობა გაგრძელდება 2023-24 სასწავლო წლის დაწყებამდე. კურიკულუმის განვითარება მოხდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე და ამისთვის შეიქმნება საჭიროებათა პაკეტი.სკოლას აქვს მზაობა, მომდევნო სასწავლო წლის ბოლოსთვის გამოყენებულ იქნას კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის ინსტრუმენტები. შეიქმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით, სკოლას, როგორც ჩანს აქვს გარკვეული გამოცდილება. ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023 - 2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საშუალო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. სკოლამ გამოთქვა მზაობა ამ პროცესისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

კათედრა გეგმავს, კურიკულუმის განვითარების პროცესში დაეყრდნოს წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. ამ ეტაპზე 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების მომზადებაში საგნობრივი ექსპერტები მხარს უჭერდნენ, თუმცა შესაბამის ვადაში დამტკიცდება ახალი კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს სრულყოფილი ვერსია, სადაც გაწერილი იქნება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ფარავენ ერთი თემის ფარგლებში ყველა ცნებას და მიეთითება საჭირო რესურსები თუ კონტექსტმაგალითები.

მუშავდება კურიკულუმის ახალი ვერსია, რომელიც ეფუძნება წინარე გამოცდილებას. ახალ რევიზირებულ დოკუმენტში აისახება ანალიზის საფუძველზე დადგენილი მიგნებები. საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში აისახოს მოსწავლეთა ინტერესები, შედეგები

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკლუმები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, თუმცა ნაკლებადაა გათვალისწინებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. მასწავლებლები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ წლევანდელი სასკოლო კურიკულუმი შარშანდელთან შედარებით უფრო გამართული დოკუმენტია, რის გამოცდილებაც ქოუჩინგის პროცესში შეიძინეს და სასწავლო წლის დაწყებამდე სრულ შესაბამისობაში მოიყვანეს მოთხოვნებთან.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას, გადამუშავება კურიკულუმის მოხდება არსებულ კურიკულუმებზე დაყრდნობით და სკოლისთვის სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითისთვის ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023 - 2024 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის გადამუშავებული კურუკულუმები მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო.
- სასკოლო სასწავლო გეგმმა;
- საგნობრივი კურიკულუმები.

**შეფასება:**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

v **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

..................................................................................................................................................

22 ოქტომბერი 2023 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: